რეიტინგი: 100 ყველაზე გავლენიანი ქალბატონი

აგვისტო, 2014

Forbes GEORGIA

გელა ენდრიუ სული

„ქართულმა ფილმმა ახალი სიცოცხლე უნდა დაიწყოს“

ექსკლუზივი

სოფელ ანაკლიიდან **მეგაპოლის კაზანტიპამდე**

100 ყველაზე **მაღალ-ანაგზაურებადი ათლეტი**

აგვისტოს პოლიტიკური ალმანახი

გიგი უგულავას საქმე და კონტექსტი • მოსკოვს ცრემლების არ სჯერა • სახელმწიფო ბიუჯეტის მიმოხილვა • 2014 წლის ეკონომიკური ზრდა

ფასი 7 ლარი
ISSN 2233-3487
9 772233 348006

GPHG
GRAND PRIX D'HORLOGERIE DE GENÈVE
2013
Sports Watch Prize

EL PRIMERO STRATOS FLYBACK STRIKING 10th
TRIBUTE TO FELIX BAUMGARTNER

The first watch ever to cross the sound barrier in a near space environment, it nurtures the legend of the El Primero movement. Equipped with Striking 10th and flyback functions, the first high-frequency automatic column-wheel chronograph movement accompanied the historical records set by Felix Baumgartner during the Red Bull Stratos mission. A legendary watch that pays tribute to the enterprising spirit, to human beings and to their accomplishments.

ZENITH
SWISS WATCH MANUFACTURE
SINCE 1865

WWW.ZENITH-WATCHES.COM

Forbes

10 | ფაქტი და კომენტარი
სუსტი აშშ დიდი პრობლემების მაუწყებელია
ავტორი: სტივ ფორბსი

LEADERBOARD

16 | ელექტროინოვაციები ახალგაზრდა „რევოლუციონერებისგან“

18 | 100 ყველაზე მაღალანაზღაურებადი ათლეტი

მოსაზრება

20 | შევძლებთ თუ არა ისტორიის გაკვეთილების შეთვისებას?
ავტორი: ევიკ როი

22 | ინგლისური ენა გადარჩება
ავტორი: ლი კუან იუ

©2013 Harry Winston, Inc. harrywinston.com

HARRY WINSTON

OCEAN TOURBILLON JUMPING HOUR
by HARRY WINSTON

H
W

Harry Winston

ეფესუს

23, Rustaveli Ave., 0108 Tbilisi, Georgia - Tel.: +995 32 29 22292 - Fax: +995 32 2921656 - E-mail: georgia@geneva.ge

0108, საქართველო, თბილისი, რუსთაველის გამზირი 23 - ტელ.: +995 32 29 22292 - ფაქსი: +995 32 2921656 - ელ. ფოსტა: georgia@geneva.ge

24 | ლონდონი და ზემდიდრები
ავტორი: პოლ ჯონსონი

26 | სახელმწიფო ბიუჯეტის მიმოხილვა
ავტორი: ნუცა თოხაძე

30 | ჯარიმებისა და პრივატიზაციის წილი ბიუჯეტში
ავტორი: ნუცა თოხაძე

34 | 2014 წლის ეკონომიკური ზრდის ტენდენციები
ავტორი: თეონა აბსანძე

36 | ჯაყოს ხიზნები
ავტორი: ზაზა ბიბილაშვილი

42 | მოსკოვს ცრემლების არ სჯერა
ავტორი: ზურაბ ჭიაბერაშვილი

სტრატეგიები

46 | ხალიჩა ამერიკაში
$150-ის ღირებულების მანქანის იატაკის ხალიჩების დროშაში გახვევით, WeatherTech-ის დევიდ მაკნილი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მოულოდნელ ლუქსის კლასის ბრენდს ქმნის.
ავტორი: დეილ ბასი

48 | ქვანახშირის საქმე
აქციების ფასები მკვეთრად დაეცა,

ОСНОВАНА В 1755 ГОДУ НА ОСТРОВЕ В ЖЕНЕВСКОМ ОЗЕРЕ. И ПО СЕЙ ДЕНЬ НАХОДИТСЯ ТАМ.

1839 – год, когда в мастерских Vacheron Constantin появляются на свет многочисленные приборы, в том числе и знаменитый пантограф. Благодаря этому механическому приспособлению впервые в истории часового искусства стало возможным с предельной точностью воспроизводить все основные детали часов, повысив таким образом качество изделий. Это изобретение, позволившее компании сделать существенный шаг вперед, произвело революцию в часовом искусстве Швейцарии.

Оставаясь верным историческому наследию, Vacheron Constantin обязуется обеспечивать техническое обслуживание, восстановление и ремонт всех часовых изделий, произведенных с момента основания компании. Гарантия непревзойденного качества и доверие, которые и сегодня поддерживают репутацию мануфактуры.

Patrimony Traditionnelle Калибр 2755

Женевское клеймо, Платина 950 пробы, механические часы с ручным заводом, с минутным репетиром, турбийоном и вечным календарем

Арт. 80172/000P-9589

GENEVE

VACHERON CONSTANTIN

Manufacture Horlogère, Genève, depuis 1755.

Geneva Ingeos

23, Rustaveli Ave., 0108 Tbilisi, Georgia, tel.: +995 32 2922292 - Fax: +995 32 2921656, e-mail: georgia@geneva.ge

0108, საქართველო, თბილისი, რუსთაველოს გამზირი 23, ტელ.: +995 32 2922292 - ფაქსი: +995 32 2921655, ელ. ფოსტა: georgia@geneva.ge

www.vacheron - constantin.ru www.thehourlounge.com

დრაკონული კანონები და ბუნებრივ აირზე ფასების ვარდნა აშშ-ის მაღაროელებს ზიანს აყენებს. სამთო წარმოებაში, როგორც ჩანს, ინვესტიციების განსახორციელებლად შესაფერისი მომენტია.
ავტორი: კრისტოფერ ჰელმანი

52 | წარმოების არაჩვეულებრივი რევოლუცია
მიჩიგანელი ინჟინრის რადიკალურ იდეას - ნაწილების სათითაოდ შექმნას - შეუძლია ქარხნული მუშაობის ერთი საუკუნე გააუქმოს და მრეწველობას მილიარდობით დოლარი დააზოგვინოს.
ავტორი: ჯონ მიულერი

ტექნოლოგიები

56 | 99-ცენტიანი ცეცხლისმფრქვეველი კატები გასაყიდად
ახალგაზრდა აზიელები მილიონებს ხარჯავენ საყვარელ გამოსახულებებზე, რომლებსაც ისინი ტექსტურ შეტყობინებებში ერთმანეთს აკვიატებულად უგზავნიან. ბიზნესმენები სანაძლეოს დებენ, რომ ეს მანია, დასავლეთის მიმართულებით მიგრირების პროცესში, თარგმანში არ დაიკარგება.
ავტორი: პარმი ოლსონი

58 | ქართული ტელემაუწყებლობის კოსმოსური ოდისეა
ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის გააქტიურებასთან ერთად, ქვეყანაში ფასიანი თანამგზავრული მაუწყებლობის პროვაიდერები ჩნდებიან. მათგან უდიდესი Forbes Georgia-ს მედიაპარტნიორი SES-ია.
ავტორი: კოტე აბაშიძე

მეწარმეები

60 | სოფლიდან მეგაპოლისამდე
კაზანტიპის რესპუბლიკა ანაკლიაში ემიგრირდა. რამდენად აქვს ქალაქის სტატუსისთვის მებრძოლ სოფელ ანაკლიას შანსი, იქცეს რეგიონის მუსიკალურ მეგაპოლისად, წელიწადში ასი ათასზე მეტი ადგილობრივი და უცხოელი ტურისტის მიზიდულობის ცენტრად და გართობის ინდუსტრიის ახალგაზრდულ დედაქალაქად, სხვა არაფერზეა დამოკიდებული, თუ არა ნაქებ ქართულ სტუმართმოყვარეობაზე.
ავტორი: მოთა დიღმელაშვილი

66 | გელა ენდრიუ სულის მორიგი დუბლი - „ქართული ფილმი“
ოცი წლის განმავლობაში სრულ სტაგნაციაში მყოფ კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ ახალი დირექტორი ჰყავს. აშშ-ს მოქალაქე და წარმატებული ბიზნესმენი გელა ენდრიუ

Freak Cruiser

2001 წელს, ყველაზე მოწინავე ადამიანების მიერ შექმნილი Freak-ი, ულტრათანამედროვე ტექნოლოგიათა გაშლილ ზღვაში მოგზაურობის შემდგომ, თავის მშობლიურ პორტში ბრუნდება. შთამბეჭდავი, როგორც ყოველთვის, თავისი Carrousel-Tourbillon-ით ახალი Freak Cruiser-ი აფრებს სწევს და ტალღებს შინ, Ulysse Nardin-ისკენ მიჰყვება. ის სრულიად გარდაქმნილია, გარშემორტყმული ტალღისებური ფორმის ჩარჩოთი და გოფრირებული კანტით წყლის შთაბეჭდილების ხაზგასასმელად, გასახსნელი ხიდის ფორმის მოტივტივე ღუზით. ეს არის გაბედული ნაბიჯი მომავლისკენ! ეს არის მესაათეობაში გაკეთებული ჯერ არნახული კონცეპტუალური და ტექნოლოგიური ნახტომი, დღემდე განუმეორებელი გმირობა. Freak Cruiser-ი, რომელსაც არა აქვს ციფერბლატი და ისრები, ისე არის შექმნილი, რომ მექანიზმს ბრუნვით საკუთარი თავი მოჰყავს მოძრაობაში. ამ უჩვეულო ნაკეთობის ცენტრთან მიმაგრებული ქვედა ხიდი საათებს უჩვენებს, ხოლო ზედა ხიდი – რომელიც გადამცემი კბილანას მექანიზმის, დამბალანსებელი ზამბარისა და Dual Ulysse-ის სილიციუმის ექსკლუზიური სასხლეტის (ანკერის) ფუნქციას ასრულებს – წუთებს. ფანტაზიის მიღმა არსებული, Carrousel-Tourbillon-ის სახელის მატარებელი ეს სისტემა მთლიანად მოძრავია. აღარ არის საფირონების კრისტალებით დამშვენებული ცენტრალური ღერძი, რომელიც ადრინელ ეგზემპლარებში მთელ სტრუქტურას ამაგრებდა.

Freak Cruiser-ი 45-მილიმეტრიანი დიამეტრის საათია, ალიგატორის ტყავის სამაჯურითა და გასაშლელი შესაკრავით, მისი წყალგაუმტარობა 30 მეტრამდეა. წარმოდგენილია 18-კარატიან ვარდისფერ, ან 18-კარატიან თეთრ ოქროში და ისეთივე შთამბეჭდავია, როგორიც ზღვის ფსკერზე დამალული ნებისმიერი საგანძური. მოირგებთ თუ არა მაჯაზე, ის თქვენი ოცნებების ოკეანეში შეგაცურებთ.

ტექნიკური მონაცემები

Reference 2050-131

მექანიზმი:	· კალიბრი UN-205 · მექანიზმი აჩვენებს დროს · Flying Carrousel (მოლივლივე კარუსელი)
სვლის მარაგი:	შვიდ დღეზე მეტი, ზამბარის დამჭერი.
სიხშირე:	4Hz (28,800 v/h)
ინერციის მომენტი:	8 მგ*2 სმ, რეგულირდება 4 ხრახნით.
ბეწვი:	სილიციუმი, Ulysse Nardin-ის ექსკლუზიური დიზაინის სასხლეტი. მექანიზმი Dual Ulysse-ის სილიციუმის ექსკლუზიური სასხლეტი მექანიზმი, შეზეთვას არ საჭიროებს.
ორბიტა:	1 ბრუნი საათში
მომართვა:	ხელით მომართვა ხდება კორპუსის უკანა ნაწილის საშუალებით, 1 სრული ბრუნი უდრის სვლის მარაგის თორმეტ საათს.
ფუნქციები:	საათსა და წუთებს გვიჩვენებს სვლის ბრუნი.
დროის გასწორება:	გახსენით მოწყობილობა და მოატრიალეთ ბაზელი.

ჟენევა
0108, საქართველო, თბილისი,
რუსთაველის გამზირი 23
ტელ.: +995 32 29 22292
ფაქსი: +995 32 2921656
ელ. ფოსტა: georgia@geneva.ge

Geneva
23, Rustaveli Ave., 0108
Tbilisi, Georgia
Tel.: +995 32 29 22292
Fax: +995 32 2921656
E-mail: georgia@geneva.ge



სული სამშობლოში ახალი იდეებითა და კინოსტუდიის მძლავრ ბიზნესად ქცევის სურვილით დაბრუნდა. მისი მთავარი მიზანი ჰოლივუდის კინოსტუდიებთან თანამშრომლობაა.
ავტორი: ია ვეკუა

რეიტინგი: 100 ყველაზე გავლენიანი ქალბატონი

72 | ძალაუფლების გადართვა
მერი ბარამ დეტროიტის მამაკაცთა საავტომობილო კლუბისკენ გზა გაიკაფა და პირველი ქალი გახდა, რომელმაც General Motors-ის გენერალური დირექტორის თანამდებობა დაიკავა, რაც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო. შეძლებს თუ არა ის კომპანიის საქმეების გამოსწორებას?
ავტორი: ჭონან მიულერი

ინვესტიციები

84 | მოელოდეთ შესანიშნავ მეოთხე კვარტალს
ავტორი: კენ ფიშერი

86 | დაუბეგრავი მინიმუმი
ავტორი: დავით ჭუტიძე

FORBES LIFE

88 | ელისო ბოლქვაძე
„მე არ ვარ ფანატიკოსი პიანისტი, მე თავისუფალი ვარ“
ავტორი: ნინო თარხნიშვილი

94 | ზურმუხტის სანაპიროს ახალი მარგალიტი
ნიკარაგუის პირველი მდიდრული კურორტის - მუკულის გახსნით მეწარმე კარლოს პელასმა კაპიტალი თავისი ქვეყნის მომავალში დააბანდა.
ავტორი: ენ აბელი

96 | აზრები
კინოს შესახებ

ფოტო ყდაზე: ხათუნა ხუციშვილი

GRASS
REFORMANDA

Forbes Georgia -
საერთაშორისო სავაჭრო პალატის
მედიაპარტნიორი

100 GEORGIA
International Chamber of Commerce
The world business organization

Forbes

მთავარი რედაქტორი
გუგა სულხანიშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
შოთა დიღმელაშვილი

არტდირექტორი
ანა შუხაევა

ლიტერატურული რედაქტორი
ირინა ბიაშვილი

ვებდირექტორი
გოგი ქავთარაძე

დამკაბადონებელი, ფოტო რედაქტორი
სერგი ნემსიწვერიძე

მთარგმნელები
შპს "ბეიკერლოო"

ფოტოგრაფი
ხათუნა ხუციშვილი

.....

ჟურნალ Forbes Georgia-ს გამოსცემს
სააქციო საზოგადოება
Media Partners

გამომცემელი
მაია მირიჯანაშვილი

გაყიდვების დირექტორი
თინა ოსეფაშვილი

ლოგისტიკის მენეჯერები
ლაშა ლაზარაშვილი
ლევან ლორთქიფანიძე

FORBES, INC
PRESIDENT AND EDITOR-IN-CHIEF Steve Forbes
CHIEF OPERATING OFFICER Timothy C. Forbes
VICE CHAIRMAN Christopher Forbes
VICE PRESIDENT, BUSINESS DEVELOPMENT Miguel Forbes
ჟურნალი Forbes დაარსდა 1917 წელს

აგვისტო 2014 N: 33

რედაქციის მისამართი: საქართველო, 0179, თბილისი,
ფალიაშვილის ქ. 15; ტელ.: (+995 32) 223 77 07; ი-მეილი: info@forbes.ge
Forbes Georgia ბრის ყოველთვიური გამოცემა. საცალო ფასი 7 ლარი.
ჟურნალი გამოდის 2011 წლის დეკემბრიდან. Forbes Georgia დარეგისტრირებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის მიერ 2011 წლის 16 ნოემბერს. ISSN 2233-3487

PRINTING HOUSE CEZANNE
ციფრული ფირმა

Copyright 2011 სააქციო საზოგადოება Media Partners, საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივ ან მთლიანად გამოყენება აკრძალულია. Copyright 2011 Forbes, as to materials published in the US Edition of Forbes. All rights reserved. სამარკო ნიშანი Forbes წარმოადგენს Forbes Inc.-ის საკუთრებას. გამოყენების უფლებით სარგებლობს სააქციო საზოგადოება Media Partners შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულებით. Forbes Georgia is published by the Media Partners JSC under a license agreement with Forbes Media LLC, 60 Fifth Avenue, New York, New York 10011. Forbes is a trademark used under the license from FORBES LLC.

UDC (UAK) 338.22 (051.2) F-75
გამოცემა იყენებს ბესარიონ გუგუშვილის BPG-InfoTech ფონტებს:
„ბპგ გარდიან ეგვიპტური“ და „ბპგ პრიმა“.

PASHA Bank

ახალი მწვერვალებისკენ. ერთად.

აღმოაჩინე ბიზნესის განვითარების ახალი გზა!

· დაფინანსება საზღვრების გარეშე
· ექსპერტთა მხარდაჭერა სავაჭრო ოპერაციებში
· ინდივიდუალური მიდგომა შენი ბიზნესის წარმატებისთვის

პაშა ბანკი

(+995) 322 265 000
15, რუსთაველის გამზირი,
თბილისი, 0108, საქართველო
www.pashabank.ge

ფაქტი და კომენტარი – სტივ ფორბსი

„ყოველთა მოსახვეჭელთაგან მოიხვეჭე სიბრძნე“

სუსტი აშშ დიდი პრობლემების მაუწყებელია

ავტორი: სტივ ფორბსი, FORBES-ის მთავარი რედაქტორი

ასი წლის წინ, ბალკანეთში ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის, ფრანც ფერდინანდის მკვლელობას შედეგად მოვლენათა მთელი ჯაჭვი მოჰყვა, რამაც კაცობრიობის მიერ ჩადენილი კატაკლიზმი გამოიწვია.

„დიდი ომი“, რომელსაც უინსტონ ჩერჩილი სამართლიანად უწოდებდა არმაგედონს, არასოდეს არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მოხდა და რადგანაც ის მაინც მოხდა, ჩვენ უნდა დაგვაფიქროს მოვლენათა იმგვარად განვითარებამ, რასაც დღევანდელ მსოფლიოში ვხედავთ. მეორე მსოფლიო ომისგან განსხვავებით, პირველი წინასწარ ჩაფიქრებული ჰიტლერული აგრესიის მსგავსი მიზეზით არ მომხდარა. ერთ მოვლენას მეორე გადაება, საოცრად არასწორი ნაბიჯები გადაიდგა და მრავალჯერადი წარმოუდგენელი საშინელება დატრიალდა.

ჩინეთს, რუსეთსა და ტერორისტებს ჭეშმარიტად სჯერათ, რომ დღეს აშშ-ის ძალაუფლების პოტენციალი იკლებს, რომ ფინანსურმა კრიზისმა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ხარვეზები გამოავლინა და რომ ჩვენი პოლიტიკური უწესრიგობა მტკიცებულებაა ამერიკის უუნარობისა, ქვეყანაში რაიმე სერიოზულ სტრუქტურულ ცვლილებებს მისცეს დასაბამი. მათ გონებაში, ჩვენ კონტინენტის ზომის ბელგიის მსგავსი ქვეყანა ვართ, რომლის სამხედრო ძლიერება მცირდება და, რომელსაც არავითარი სურვილი არა აქვს, მსოფლიოს შეებას. დაახლოებით იგივე კლიშე იყო გავრცელებული გასული საუკუნის ავადსახსენებელ 70-იან წლებში, მაგრამ იმ დღეებში, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გვყავდა ისეთი პრეზიდენტი, რომლის მთავარი იდეოლოგია მდგომარეობს იმაში, რომ აშშ-ის ჩაბმა მსოფლიო მოვლენებში არის ყველანაირი ბოროტების საწყისი და პირველწყარო და რაც უფრო მეტად იზოლირებულები ვიქნებით მსოფლიოსგან, მით უკეთესია. ობამას ურყევი რწმენა, რომ ეს ჭეშმარიტებაა, საოცრად არასწორი, არაისტორიული და ნამდვილად სახიფათოა.

2008 წლიდან ჩინეთის სულ უფრო მზარდი აგრესიულობა იაპონიის, ფილიპინების, ვიეტნამისა და სხვა ქვეყნების მიმართ, ზედაპირზე არასოდეს ამოტივტივდებოდა, პეკინს კვლავინდებურად ჩვენი ქვეყანა რეიგანისეულ ამერიკად რომ ჩაეთვალა, არც ვლადიმირ პუტინი იმოქმედებდა ასე სწრაფად და აგრესიულად დანგრეული საბჭოთა კავშირის მაგივრად ახალი რუსული იმპერიის შესაქმნელად. არც ირანი ამოძრავდებოდა ასე თავხედურად ბირთვული იარაღის შესაქმნელად და არც საუდის არაბეთი, ირანთან ერთად, არ აიღებდა კატასტროფის მომასწავებელ კურსს ნგრევის პროცესში მყოფ ერაყში.

BOVET
1822

SERGIO SPLIT-SECOND CHRONOGRAPH
LIMITED EDITION
DESIGNED BY pininfarina
THE FIRST FULLY CONVERTIBLE AUTOMATIC CHRONOGRAPH

Chronograph
watches & jewellery

თავისუფლების მოედანი 2,
0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 250 50 00
www.chronograph.ge

BOVET FLEURIER SWITZERLAND

FOUNDING MEMBER OF THE QUALITY FLEURIER CERTIFICATION AND PARTNER OF THE FONDATION DE LA HAUTE HORLOGERIE

BOVET.COM

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ევროკავშირის კონფერენციაზე ბრუსელში. 27 ივნისი, 2014.

ეს ის გარემოა, რომელშიც, როგორც წესი, დაუგეგმავი კრიზისების დაწყება და საბედისწერო შეცდომების დაშვება მოსალოდნელია. მსოფლიო განუსაზღვრელად მეტი საფრთხის შემცველი და ბევრად უფრო არასაიმედო იქნებოდა, იაპონია, სამხრეთი კორეა, საუდის არაბეთი, თურქეთი, ირანი და სხვები ბირთვული იარაღის მფლობელები რომ გამხდარიყვნენ.

ღრმა, 1930-იანი წლებისთვის დამახასიათებელი უმეცრება ეკონომიკის სფეროში, განსაკუთრებით, ფულად პოლიტიკაში, კიდევ ერთი მერყევი ფაქტორია, რაც არასათანადო ზრდისა და ახალი კრიზისების წყაროდ გადაიქცევა.

უკრაინის გადარჩენა

უკრაინის ახალი, დემოკრატიულად არჩეული მთავრობა ურთულესი ამოცანის წინაშე დგას, არ დაუშვას ეკონომიკის თავისუფალი ვარდნა. ვლადიმირ პუტინი, უკრაინაზე მოსკოვის კონტროლის აღსადგენად, გათვლას ეკონომიკურ ქაოსზე აკეთებს. ყირიმის დაკავების შემდეგ მისი მაქინაციები მეზობელი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მოულოდნელად წყალქვეშა რიფებს წააწყდნენ, მაგრამ საიდუმლო პოლიციის ამ ყოფილმა აგენტმა იცის, როგორ გაიყვანოს დრო და ახალი შესაძლებლობების შექმნის საშუალება მიიღოს.

სამწუხაროდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებულმა არასწორმა ეკონომიკურმა რეკომენდაციამ, შესაძლოა, კრემლის მმართველის წისქვილზე დაასხას წყალი. ორი თვის წინ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა უკრაინის დროებითმა მთავრობამ, ფულადი დახმარების მიღების მიზნით (რაც ასე ძალიან ესაჭიროებოდა), საერთაშორისო სავალუტო ფონდთან უგუნურ გარიგებას მოაწერა ხელი. ამ გარიგების საფუძველზე, კიევმა დაუყოვნებლივ მიიღო 3 მილიარდი დოლარი და კიდევ მომავალი ორი წლის განმავლობაში 14 მილიარდი დოლარის მიღების შესაძლებლობა მიეცა. ვაი, რომ ამ გარიგების პირობები სახასიათოა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ხშირად გამოყენებული განვითარების საწინააღმდეგო პოლიტიკისთვის და მოიცავს ყველა უარყოფით ეკონომიკურ დოგმას, რომლებიც პრობლემებს უქმნის თანამედროვე მსოფლიოს. როგორც ელიზაბეთ ეიმესთან თანაავტორობით დაწერილ ჩემს ახალ წიგნში Money: How the Destruction of the Dollar Threatens the Global Economy and What We Can Do About It-ში („ფული: როგორ უქმნის საფრთხეს გლობალურ ეკონომიკას დოლარის ნგრევა და რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამასთან დაკავშირებით“ - McGraw-Hill, $28) ვწერ, ყველაზე მთავარი ფაქტორი, რომელიც ეკონომიკის ენერგიულ, მდგრად განვითარებას განაპირობებს, ჯანსაღი ვალუტაა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქვეყანა სწორ პოლიტიკას აწარმოებს საგადასახადო სისტემასთან, ხარჯებთან, კანონის უზენაესობასა და საკანონ-

ფოტო: REUTERS/PHILIPPE WOJAZER

ისხოვრე უზრუნველად

მე მაძლევრებს

Samsung GALAXY S5

შეიძინეთ სამსუნგის მობილურები
სამსუნგის პოლოგრამით

SAMSUNG
FOR SALES
IN GEORGIA

* IP67 მტვერ და წყალგაუმტარი

მდებლო ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებით, მისი ეკონომიკა სტაბილური მაინც არ გახდება, თუ მისი ეროვნული ვალუტისთვის კურსის შემცირების ტენდენცია იქნება დამახასიათებელი. ფული ისევე ზომავს ღირებულებას, როგორც საათი ზომავს დროს. როდესაც 300 წლის წინ ბრიტანეთმა საკუთარი ეროვნული ვალუტა, გირვანქა, ოქროთი გაამაგრა, გაერთიანებული სამეფო მეორე რიგის სახელმწიფოდან მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნად გადაიქცა. 1790-იანი წლების დასაწყისში აშშ გამოვიდა წინა პლანზე და ბრიტანეთს გაუსწრო, როდესაც ჩვენმა პირველმა ფინანსთა მინისტრმა, ალექსანდერ ჰამილტონმა - ჯორჯ ვაშინგტონის ენერგიული მხარდაჭერით - დოლარი ოქროს დაუკავშირა. ამ კავშირმა, ფინანსურ რეფორმებთან ერთად, აშშ მაღალშემოსავლიანი, მაგრამ არასაიმედო ობლიგაციების ქვეყნიდან, ფინანსური თვალსაზრისით, ყველაზე მაღალი და საიმედო კრედიტუნარიანობის რეიტინგის მქონე ქვეყნად აქცია. აქედან გამომდინარე, აშშ უცხოური კაპიტალისთვის გადაულახავ მაგნიტად იქცა და ქვეყნის შიგნით მუდმივად მზარდი კაპიტალის დაგროვების კატალიზატორი გახდა.

თუმცა საერთაშორისო სავალუტო ფონდი ოქროსა და ჯანსაღ ვალუტას შორის კავშირს უგულვებელყოფს. აქ მოყვანილია ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის სიტყვები უკრაინის გარიგებასთან დაკავშირებით: „პროგრამა ფოკუსირებულია მოქნილი გაცვლითი კურსის შენარჩუნებაზე კონკურენტუნარიანობის აღსადგენად“, რაც კეინზიანური ლაპარაკია ისედაც სუსტი გრივნის კიდევ უფრო მეტად გასაუფასურებლად. არგენტინა უკვე ერთი საუკუნეა, ამ შეხედულების მიმდევარია და მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ეკონომიკის მქონე ქვეყნიდან მუდმივად მზარდი სიღატაკისა და ეკონომიკური სტაგნაციის მქონე ქვეყნად გადაიქცა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ეკონომიკური უმეცრება გამოამჟღავნა, როდესაც განაცხადა, რომ უკრაინამ „შიდა ფასების სტაბილურობას“ ხელი უნდა შეუწყოს. ეს ისე ჟღერს, თითქოს უკრაინა დანარჩენი მსოფლიოსგან გამოყოფილ სამყაროში განცალკევებით არსებობდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კიევს შეეძლო დაემახინჯებინა გრივნის ღირებულება, რათა მისი ექსპორტი „უფრო კონკურენტუნარიანი“ გაეხადა, ჯანსაღი გრივნა კი ქვეყნის შიგნით შეენარჩუნებინა. ყველა ის ქვეყანა, რომელსაც კი ამ ხრიკისთვის მიუმართავს, შედეგად უვარგისი, ზრდაშეჩერებული ეკონომიკის ანაბარად დარჩენილა.

ცხადია, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა „სახელმწიფო შემოსავლების გაზრდას“ ხელი შეუწყო, რაც ევფემიზმია გადასახადების გასაზრდელად გამოყენებული ევფემიზმია. ეს სწორედ ის გახლავთ, რაც გაჭირვებულ ეკონომიკას არ სჭირდება.

იმედი უნდა გვქონდეს, რომ უკრაინის ახალი პრეზიდენტი პოროშენკო ამ დესტრუქციულ ნონსენსს მიხვდება და დაუფუძნებს სავალუტო საბჭოს, რომელიც გრივნის დოლარსა და ევროსთან ძველ შესაბამისობას აღადგენს, რითაც ვარდნას სამუდამოდ შეაჩერებს. მან, ასევე, ჰონკონგის, სინგაპურისა და შვეიცარიის მსგავსად, უფრო დაბალი გადასახადები უნდა დააწესოს.

პუტინი საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაუდევრობაზე ამყარებს იმედებს, ეს მას უკრაინაში ექსპანსიონისტური გეგმების განხორციელებაში დაეხმარება.

წყალწყალა ჩაი

ევროკავშირის გამუდმებულ, შენელებულ ქმედებებთან საბრძოლველად, ევროპის ცენტრალური ბანკის მმართველმა, მარიო დრაგიმ, ღონისძიებების პაკეტი წარადგინა, რათა ბანკები წაექეზებინა, სესხების გაცემა გაეზარდათ, უპირველეს ყოვლისა, ბანკების დეპოზიტებისთვის ECB-ში უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის დაკისრებით. ასევე ამ ღონისძიებებით გათვალისწინებული იყო ბანკებისთვის ოთხწლიანი ფონდების მიცემის შესაძლებლობა მცირე ბიზნესის წარმომადგენელი საწარმოებისთვის სესხების გასაცემად.

დრაგი ამჟამად ასევე ჩართულია არასაკმარისი ინფლაციის შესახებ რიტუალურ გაფრთხილებებში, იაპონური სტილის დეფლაციის თავიდან ასაცილებლად. ამ სცენარის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ფასების დაცემა დაარწმუნებს მომხმარებლებს, რომ არ უნდა იყიდონ - თეორია აბსურდულად ჟღერს საცალო მოვაჭრეებისთვის, რომლებიც შეჩვეული არიან საქონლის გასაღების მიზნით ფასების შემცირებას.

ევროპის პრობლემა - და იაპონიისაც - არის დიდი რაოდენობის სულისშემხუთველი გადასახადები, რეგულაციები და სამთავრობო ხარჯები, რომლებიც ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდას ხელს უშლიან. საფრანგეთმა, ფაქტობრივად, უმაღლესი საშემოსავლო გადასახადი 75%-მდე გაზარდა. იაპონიამ ახლახან 60%-მდე გაზარდა გაყიდვებიდან მიღებული ეროვნული საშემოსავლო გადასახადი და ახლა სახელფასო გადასახადის დაახლოებით 30%-დან 37%-მდე გაზრდის პროცესშია. მიუხედავად ქრონიკული წარუმატებლობებისა, კეინზიანური/სავალუტო მცნება იმის შესახებ, რომ სავალუტო პოლიტიკას შეუძლია ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა იყოს, ჯერ კიდევ არსებობს.

2012 წელს დიდმა ბრიტანეთმა რაოდენობრივი შერბილების მისეული ვერსიის განხორციელება შეწყვიტა, რამაც მათი კორპორაციული გადასახადის სიდიდე 20%-მდე შეამცირა. მცირედით იკლო ასევე ბრიტანეთის უმაღლესი საშემოსავლო გადასახადის სიდიდემ. ამას სახელმწიფო აპარატში დასაქმების დაახლოებით 10%-ით შემცირება მოჰყვა. მისი ეკონომიკა - ყოველ შემთხვევაში ევროპული სტანდარტების მიხედვით - გამოცოცხლებულია. შვედეთიც სწორ გზას ადგას მას შემდეგ, რაც გადასახადების შემცირების მთელი სერიები განახორციელა.

გლობალური ეკონომიკური შენობის უდიდესი ნაწილის გამანადგურებელი სიჩლუნგე, გააზრებას უგულვებელყოფს. F

Trilling contradictions

You could say they take uniting contradictions to a whole new level – with even greater dynamic agility and efficiency, even higher levels of comfort and an even sharper design. For everyday driving pleasure that is far from ordinary. For long journeys. For every inch of the road.

Porsche Panamera

PORSCHE

Official fuel economy figures for the Porsche Panamera models in l/100km: Urban 15.7-7.8, extra urban 7.8-5.5, Combined 10.7-6.3
CO^2 emissions: 249-166

Porsche Center Tbilisi. Tegeta Premium Vehicles Ltd. #5, D. Agmashenebeli Alley, 0131 Tbilisi, Georgia, Tel: +99532 2244911; www.porsche-georgia.com

30

ალექსანდრე მაკედონელის ასაკი მისი იმპერიის სიდიდისა და გავლენიანობის პიკზე (თუმცა, ორ წელიწადში გარდაიცვალა კიდევაც)

30-ს ქვემოთ

კაშკაშა სინათლე

ელექტროინოვაციები ახალგაზრდა „რევოლუციონერებისგან“ 30 ან ნაკლები სიტყვით.

მაილს ბარი, 30
UBIQUITOUS ENERGY

გამოიგონა უხილავი, მზის ენერგიაზე მომუშავე საფარი ეკრანებისთვის, რომლებიც ხელსაწყოების დასატენად მზის ენერგიას იყენებენ. გრძელვადიან პერსპექტივაში, ამ საფარით დაფარულმა ფანჯრებმა შესაძლოა თქვენი სახლის ენერგიის ნახევრის გენერირება მოახდინონ. მიიღო $7,2 მილიონი.

დენიელ მერენი, ენდრიუ პონეკი, დერენ ჰაუ (Hau), 20, 21, 20
DRAGONFLY SYSTEMS



მათი მოდერნიზებული გამანაწილებელი ბლოკები, რომლებიც მზის ჩასვლის შემდეგ, დანაკარგების წარმოქმნას ხელს უშლიან, მზის პანელებს დასამონტაჟებლად უფრო იაფს და უფრო ეფექტიანს ხდიან. პოტენციური ეკონომია მთელი დარგის მასშტაბით? $3,2 მილიარდი წელიწადში.

ჯესიკა მეთიუსი, 26
UNCHARTED PLAY

მისი, $99-იანი Soccket-ის ფეხბურთის ბურთით 30 წუთის განმავლობაში თამაში LED ნათურის საათობით ასამუშავებლად საკმარის კინეტიკურ ენერგიას ქმნის. ეს ნაკლებად განვითარებული სამყაროსთვის საუკეთესო თამაშია.



როგორები იყვნენ ისინი

ბიზნესვიქტორინა

მარკ ცუკერბერგის 30-ე დაბადების დღის პატივსაცემად, ამ ასაკთან მიახლოებულ სხვა მილიარდერთა ფოტოები ჩვენ არქივებში მოვიძიეთ. შეადარეთ პლუტოკრატი ფოტოს.

1. სტივენ სპილბერგი
2. დევიდ გეფენი
3. რალფ ლორენი
4. რუპერტ მერდოკი
5. ოპრა უინფრი
6. უორენ ბაფეტი
7. როს პერო



ყველგან სადაც ხედავ ჰარმონიას, იქ არის სიმენსი....

მომავლის ინოვაციური ტექნოლოგია და დახვეწილი დიზაინი: დღეს სიმენსის ტექნიკა გელოდებათ ახალ ადგილას. სიმენსის ტექნიკის შეძენისას, თქვენ ეზიარებით მსოფლიო კლასის ხარისხს. თქვენ ისიამოვნებთ სიმენსის საყოფაცხოვრებო ტექნიკის მარადიული დიზაინით მრავალი წლის განმავლობაში - მათი მინიმალისტური დიზაინით, მაღალი ხარისხის მასალით და მაღალი დონის პროფესიონალიზმით. ბედნიერებაა ასეთი ტექნიკის გამოყენება მათი დახვეწილი დიზაინის გამო.

siemens-home.com/bt

ელიტ ელექტრონიქსი
ELIT ELECTRONICS

Siemens. მომავალი ჩვენთან იწყება.

Forbes | LEADERBOARD

სიმდიდრისა და ძალაუფლების შეფასება

RANK

1
2
3
4
5
6
7
8
9 **რაფაელ ნადალი / $14.5 / 30.0 / 44**
10 **მეტ რაიანი / $42.0 / 1.8 / 43.8 /** ამერიკ
11 **მანი პაკიაო / $41.0 / 0.8 / 41.8 /** ფილიპინელი
12 **ზლატან იბრაჰიმოვიჩი / $36.4 / 4.0 / 40.4 /** შვედი
13 **დერიკ როუზი / $17.6 / 19.0 / 36.6 /** ამერიკელი
14 **გარეტ ბეილი / $25.4 / 11.0 / 36.4 /** უელსელი
15 **რადამელ ფალკაო / $32.4 / 3.0 / 35.4 /** კოლუმბიელი
16 **ნეიმარი / $17.6 / 16.0 / 33.6 /** ბრაზილიელი
17 **ნოვაკ დიოკოვიჩი / $12.1 / 21.0 / 33.1 /** სერბი
18 **მეთიუ სტეფორდი / $31.5 / 1.5 / 33.0 /** ამერიკელი
19 **ლუის ჰამილტონი / $29.0 / 3.0 / 32.0 /** ბრიტანელი
20 **კევინ დურანტი / $17.9 / 14.0 / 31.9 /** ამერიკელი
21 **ფერნანდო ალონსო / $29.0 / 2.0 / 31.0 /** ესპანელი
22 **მაჰენდრა სინგჰ დონი / $4.0 / 26.0 / 30.0 /** ინდოელი
23 **დუანი უეიდი / $18.9 / 11.0 / 29.9 /** ამერიკელი
24 **კარმელო ენტონი / $21.4 / 8.0 / 29.4 /** ამერიკელი
25 **ვლადიმირ კლიჩკო / $24.0 / 4.0 / 28.0 /** უკრაინელი
26 **კეიტონ მანინგი / $15.1 / 12.0 / 27.1 /** ამერიკელი
27 **ალარე სტოუდმარე / $21.7 / 5.0 / 26.7 /** ამერიკელი
28 **დეილ ეინჰარდტი უმცროსი / $14.9 / 11.0 / 25.9 /** ამერიკელი
29 **დუაინ ჰოვარდი / $20.5 / 5.0 / 25.5 /** ამერიკელი
30 **კლიფ ლი / $25.1 / 0.2 / 25.3 /** ამერიკელი
31 **ჯო მაუერი / $23.0 / 1.8 / 24.8 /** ამერიკელი
32 **მიგელ კაბერერა / $22.6 / 2.0 / 24.6 /** ვენესუელელი
33 **ზეკ გრეინკე / $24.4 / 0.1 / 24.5 /** ამერიკელი
34 **მარია შარაპოვა / $2.4 / 22.0 / 24.4 /** რუსი
35 **დერეკ ჯეიტერი / $15.3 / 9.0 / 24.3 /** ამერიკელი
35 **რორი მაკილროი / $4.3 / 20.0 / 24.3 /** ჩრდილოირლანდიელი
37 **სისი საბათია / $23.0 / 1.2 / 24.2 /** ამერიკელი
37 **კრის პოლი / $18.7 / 5.5 / 24.2 /** ამერიკელი
39 **პრინს ფილდერი / $23.5 / 0.4 / 23.9 /** ამერიკელი
40 **დარელე რევისი / $23.0 / 0.8 / 23.8 /** ამერიკელი
41 **ლი ნა / $5.6 / 18.0 / 23.6 /** ჩინელი
42 **ჰიმი ჯონსონი / $17.0 / 6.5 / 23.5 /** ამერიკელი
43 **ვეინ რუნი / $18.4 / 5.0 / 23.4 /** ბრიტანელი
44 **სერხიო აგერო / $18.3 / 5.0 / 23.3 /** არგენტინელი
45 **დირკ ნოვიცკი / $22.7 / 0.5 / 23.2 /** გერმანელი
45 **უსეინ ბოლტი / $0.2 / 23.0 / 23.2 /** იამაიკელი
47 **ბლეიკ გრიფინი / $16.5 / 6.5 / 23.0 /** ამერიკელი
48 **ალექს როდრიგესი / $22.6 / 0.3 / 22.9 /** ამერიკელი
48 **იოჯან სანტანა / $22.5 / 0.4 / 22.9 /** ვენესუელელი
50 **მარკ ტეიქეირა / $22.5 / 0.2 / 22.7 /** ამერიკელი
51 **მეტ კემპი / $21.8 / 0.8 / 22.6 /** ამერიკელი
52 **ჯო ჯონსონი / $21.5 / 1.0 / 22.5 /** ამერიკელი
53 **გენო ატკინსი / $22.3 / 0.1 / 22.4 /** ამერიკელი
53 **რაიან ჰოვარდი / $21.7 / 0.7 / 22.4 /** ამერიკელი
55 **აარონ როჯერსი / $14.5 / 7.5 / 22.0 /** ამერიკელი
55 **სერენა უილიამსი / $11.0 / 11.0 / 22.0 /** ამერიკელი
57 **კრის ბოში / $19.3 / 2.5 / 21.8 /** ამერიკელი
57 **პაუ გასოლი / $19.3 / 2.5 / 21.8 /** ესპანელი
59 **იაია ტოურე / $19.2 / 2.5 / 21.7 /** კოტდივუარელი
60 **ადრიან გონსალესი / $21.1 / 0.4 / 21.5 /** ამერიკელი
60 **რობინსონ კანო / $18.0 / 3.5 / 21.5 /** დომინიკელი
62 **ჯო ჰადენი / $21.2 / 0.2 / 21.4 /** ამერიკელი
63 **ფერნანდო ტორესი / $17.8 / 3.5 / 21.3 /** ესპანელი
64 **ჰენრიკ სტენსონი / $18.0 / 3.2 / 21.2 /** შვედი
65 **ვერნონ უელსი / $21.0 / 0.1 / 21.1 /** ამერიკელი
66 **საულ ალვარესი / $19.5 / 1.5 / 21.0 /** მექსიკელი
66 **ელი მანინგი / $13.5 / 7.5 / 21.0 /** ამერიკელი
66 **დრუ ბრისი / $10.0 / 11.0 / 21.0 /** ამერიკელი
69 **ჯულიუს პეპერსი / $20.4 / 0.4 / 20.8 /** ამერიკელი
70 **ჯეისონ პეტერსი / $20.7 / 0.1 / 20.7 /** ამერიკელი
70 **კოულ ჰემელსი / $20.5 / 0.2 / 20.7 /** ამერიკელი
70 **ჯასტინ ჰერლანდერი / $20.2 / 0.5 / 20.7 /** ამერიკელი
73 **ტიმ ლინსეკამი / $20.3 / 0.3 / 20.6 /** ამერიკელი
74 **კარლ კროუფორდი / $20.2 / 0.3 / 20.5 /** ამერიკელი
75 **ბარი ზიდო / $20.3 / 0.1 / 20.4 /** ამერიკელი
75 **მეტ კეინი / $20.0 / 0.4 / 20.4 /** ამერიკელი
77 **ფელიქს ერნანდესი / $20.1 / 0.2 / 20.3 /** ვენესუელელი
77 **ალბერტ პუჯოლსი / $18.3 / 2.0 / 20.3 /** დომინიკელი
79 **დერონ უილიამსი / $18.5 / 1.5 / 20.0 /** ამერიკელი
80 **დევიდ ორტისი / $14.8 / 5.0 / 19.8 /** დომინიკელი
81 **რობინ ვან პერსი / $16.5 / 3.0 / 19.5 /** ჰოლანდიელი
82 **რასელ უესტბრუკი / $14.7 / 4.5 / 19.2 /** ამერიკელი
83 **სებასტიან ვეტელი / $18.0 / 1.0 / 19.0 /** გერმანელი
84 **კარლოს დანლეკი / $18.7 / 0.1 / 18.8 /** ამერიკელი
84 **ზაკ რენდოლფი / $18.3 / 0.5 / 18.8 /** ამერიკელი
86 **ჯეფ გორდონი / $13.7 / 5.0 / 18.7 /** ამერიკელი
86 **სტივენ გერარდი / $13.2 / 5.5 / 18.7 /** ბრიტანელი
88 **რუდი გეი / $17.9 / 0.7 / 18.6 /** ამერიკელი
89 **ლარი ფიცჯერალდი / $17.0 / 1.5 / 18.5 /** ამერიკელი
89 **მესუტ ოზილი / $12.5 / 6.0 / 18.5 /** გერმანელი
91 **ბრენდონ ალბერტი / $18.4 / 0.0 / 18.4 /** ამერიკელი
92 **ფრანკ რიბერი / $16.8 / 1.5 / 18.3 /** ფრანგი
93 **ალფონსო სორიანო / $18.0 / 0.1 / 18.1 /** დომინიკელი
94 **ჯაირუს ბირდი / $17.9 / 0.1 / 18.0 /** ამერიკელი
95 **ადამ ს

99%
ეს არის **უსეინ ბოლტის** მიერ სპონსორებისაგან მიღებული შემოსავლის სიდიდე, ასევე ღონისძიებებში მონაწილეობის ან გამოჩენისთვის. მისი $23 მილიონიდან მხოლოდ 1%-ია საპრიზო ფული.

25
ეს არის Papa John-ის ფრანშიზის, Broncos' QB-ის რაოდენობა, რომლებიც **პეიტონ მენინგის** მფლობელობაშია დენვერის რაიონში.

15 წელი
აი, ამდენ ხანს გრძელდებოდა Electronic Arts-ის პარტნიორობა **ტაიგერ ვუდსთან** მისივე სახელობის ვიდეოთამაშის PGA Tour-ის გამოსაშვებად, სანამ მასთან თანამშრომლობა გასულ წელს არ შეწყვიტა. ამ სერიებმა, 1998 წლიდან მოყოლებული, გაყიდვებით დაახლოებით $800 მილიონი მოიპოვა.

$56 მილიონი
სერენა უილიამსის პროფესიული საპრიზო ფულია, რომელიც თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე მისი ყველაზე მთავარი მეტოქის, მარია შარაპოვასი.

ფული სპორტში

100 ყველაზე მაღალანაზღაურებადი ათლეტი

სპორტის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავები 27 ქვეყნის წარმომადგენლები არიან და სპორტის ათ სხვადასხვა სახეობაში ასპარეზობენ. მათმა ანაზღაურებამ ბოლო 12 თვის განმავლობაში 2,75 მილიარდი დოლარი შეადგინა და მთელი იმ მითქმა-მოთქმის მიუხედავად, რომელიც პროფესიულ სპორტში კორპორაციულ ფულთან დაკავშირებით არის ამტყდარი, ამ ფულის მხოლოდ 27% მომდინარეობს ინდოსამენტებიდან. სპორტსმენმა ყველაზე მაღალი ანაზღაურებით – მოკრივემ, ფლოიდ „მანი“ მეივეზერმა, მთელი თანხა – 105 მილიონი დოლარი – ძველმოდური გზით - რინგზე მოიპოვა.

113 მილიონი
კრისტიანო რონალდოს გულშემატკივრების რიცხვია Facebook-სა და Twitter-ში. ლებრონ ჯეიმსს, საუკეთესო ამერიკელ ათლეტს, მხოლოდ 33 მილიონი გულშემატკივარი ჰყავს იმავე სოციალურ ქსელებში.

2.2 მილიონი
ფლოიდ მეივეზერის სანახავად გადაცემის ერთჯერადი გადახდით მიღებული თანხა, როდესაც ის საულ „კანელო“ ალვარესს შეხვდა. ეს იყო ისტორიაში მეორე უდიდესი შეხვედრა კრივში.

ევიკ როი – კაპიტალის ნაკადები

შევძლებთ თუ არა ისტორიის გაკვეთილების შეთვისებას?

2012 წელს ევროგაერთიანება ნობელის მშვიდობის პრიზით დააჯილდოვეს. ნობელის კომიტეტი წერდა: ის, რაც ერთ დროს European Coal & Steel Community („ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის საზოგადოება“) იყო, „მშვიდობის, თანხმობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის წარმატებულ ბრძოლად“ იქცა. ბევრი რამ შეიძლება ითქვას იმის შესახებ, რომ ევროპის ეკონომიკურმა ინტეგრაციამ ხანგრძლივი დროით მშვიდობა დაამყარა, მაგრამ უკრაინაში მიმდინარე კრიზისი იმაზე მეტყველებს, რომ გლობალური ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება იყოს როგორც სისუსტის, ისე ძლიერების წყარო.

ყირიმის დაპყრობის შემდეგ ერთ ბრიტანელ ჩინოვნიკს სურათი გადაუღეს დოკუმენტით ხელში, რომელშიც მოცემული იყო რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთი არ უნდა დათანხმებოდა რუსეთის წინააღმდეგ „სავაჭრო სანქციების“ მიღებას ან ნებისმიერი ისეთი ზომის გატარებას, რომელიც რუსებს „ლონდონის ფინანსური ცენტრის კარებს დაუხურავდა“. მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ გერმანია ენერგორესურსების 35%-ს რუსეთიდან იღებს. ევროპამ, საბოლოო ჯამში, კიდევ უფრო ნაკლები მონდომება გამოამჟღავნა, ვიდრე ამერიკამ, რომ ვლადიმირ პუტინის მიერ სხვისი მიწების მითვისების გამო, რუსეთისთვის პრეტენზიები წაეყენებინა.

რაღაც მომენტში აშშ-ის რესპუბლიკურმა პარტიამ პუტინის სამხედრო ავანტიურის წინააღმდეგ ყველაზე ხმამაღლა გაილაშქრა. რობერტ ტაფტი, სენატის უმრავლესობის ლიდერი, რომელიც „მისტერ რესპუბლიკელის“ სახელით იყო ცნობილი, სიტყვით გამოსვლისას ხშირად გააფთრებული იხსენებდა პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტის გადაწყვეტილებას ამერიკის მეორე მსოფლიო ომში ჩაბმის წინააღმდეგ. ომი, ამბობდა ტაფტი, „პრეზიდენტისთვის თვითნებური ძალაუფლების მინიჭების გზით ამ ქვეყანაში დიქტატურის დამყარებას შეუწყობს ხელს და ფინანსურ და ეკონომიკურ კრახს გამოიწვევს. ასევე არა მგონია, რომ ევროპაში ჩვენს ინტერვენციას ევროპული პრობლემების სამუდამოდ გადაჭრა უფრო მეტად შეეძლოს, ვიდრე ეს 1919 წელს მოხდა“.

ტაფტის სიტყვის ბოლო ნაწილი, რა თქმა უნდა, სიმართლეს შეესაბამება: მართლაც, ევროპული პრობლემები საბოლოოდ არ გადაჭრილა.

პრობლემა ის გახლავთ, რომ ეთნოცენტრული სახელმწიფოების მოქალაქეები საკუთარ თავს რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს არ მიაკუთვნებენ, რაზეც ერთ დროს ვუდრო ვილსონი ოცნებობდა. კვებეკი იქნება ეს თუ შოტლანდია, კატალონია, ყირიმი თუ ქაშმირი, ის თუ ერთი ადამიანისთვის საკუთარი სახლია, მეორისთვის დაქირავებული საცხოვრებელია. პუტინმა საბჭოთა კავშირის დაშლას, არც მეტი და არც ნაკლები, „მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ უწოდა, რადგან მან 25 მილიონი ეთნიკური რუსი რუსეთის საზღვრებს გარეთ დატოვა.

ჩვენ, ამერიკელები, მამაცურად ვცდილობდით, რომ ყველა ამ პრობლემის გადაჭრა სხვებისთვის მიგვენდო, მაგრამ თუ რუსეთი აღმოსავლეთ ევროპაში რუსულად მოლაპარაკე ანკლავების ანექსიას გააგრძელებს, ჩვენ ვეღარ შევძლებთ ამ პრობლემების თავიდან აცილებას. შეეხება პუტინი ნატოს საზღვრებს? რა მოხდება, როდესაც ჩინეთი მიიტაცებს სამხრეთ

ჩინეთის ზღვას ან, უარეს შემთხვევაში, ტაივანს?

საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, აშშ-ს ბევრი რამის გაკეთება ძალუძს იმისათვის, რომ რუსეთის ევროპაზე ზეგავლენის ძალა შეასუსტოს – უმთავრესად, კონტინენტზე ნავთობისა და გაზის ექსპორტის გზით. მაგრამ ზემოქმედება ჩინეთზე, რომელსაც 1,3 მილიარდი დოლარი აქვს დაბანდებული აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციებში და 562 მილიარდი დოლარი წლიურ ორმხრივ ვაჭრობაში, უფრო რთული საქმეა.

ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება იყოს როგორც სისუსტის, ისე ძლიერების წყარო.

რესპუბლიკელების მიერ პრეზიდენტ ობამას კრიტიკის მიუხედავად, იოლად განსახორციელებელი ალტერნატივები არ არსებობს. რესპუბლიკელი სენატორის, რონ პოლის მიერ Time-ში გამოქვეყნებულ ერთ არათანამიმდევრულ პუბლიცისტურ სტატიაში, ავტორი აშშ-ს მოუწოდებს, უკრაინას დახმარება შეუწყვიტოს და ძვირად ღირებული ამერიკული საჰაერო თავდაცვის სისტემების საფასური ევროპას გადაახდევინოს. თუმცა, იმავდროულად, რონალდ რეიგანის პროგრამას, „მშვიდობა ძალის გამოყენებით“, ის მიესალმება. ამ პროგრამამ წარმატებას მიაღწია რეიგანის მიერ სამხედრო ძლიერების ზრდის დეფიციტური დაფინანსებით, რომლის წინააღმდეგ პოლი დღეს ილაშქრებს.

პრეზიდენტმა ობამამ 2009 წელს თავმომწონედ განაცხადა, რომ ის ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებთან დაკავშირებით „გადატვირთვის“ პოლიტიკას იწყებდა. ამ პოლიტიკის ცენტრალური საკითხი, 2008 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის პატიება იყო. 2001 წელს პუტინმა ჯორჯ ბუშს უამბო სულისშემძვრელი ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო პუტინის დედის ჯვარმა ლოცვა-კურთხევა იერუსალიმში; შემდგომში ბუშმა თქვა, რომ ამ ისტორიის მოსმენისას მან „პუტინის სული შეიგრძნო“. ამდენად, რუსეთის ზრდადი საომარი განწყობილებით გამოწვეული პრობლემების გადაჭრის კრახი ორპარტიულ და მრავალეროვნულ ხასიათს ატარებს.

სწორედ ასე იწყება ომები. დემოკრატიული ეკონომიკური სისტემები ღელავენ მოსალოდნელი მატერიალური დანაკარგების თაობაზე, აგრესიისთვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ ეს მათ თავიდან ააცილებს კონფლიქტის უფრო მეტად გაფართოებას. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ „ისტორიის გაკვეთილების“ შეთვისებაზე, მაგრამ გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელმა ერთხელ შენიშნა: „გამოცდილება და ისტორია გვასწავლის, რომ ხალხი და მთავრობები ვერასოდეს ვერაფერს სწავლობენ ისტორიიდან“.

„ისტორიის დასასრული“ ჯერ არ დამდგარა. თავისუფალმა ვაჭრობამ და დემოკრატიულმა ექსპანსიამ ბევრი გააკეთა მთელ მსოფლიოში კონფლიქტების შესამცირებლად და მოსაგვარებლად, მაგრამ ამერიკულმა ჰეგემონიამაც ასევე ბევრი გააკეთა. აშშ მიხვდება, რომ ლიდერობაზე უარის თქმა მას ბევრად უფრო ძვირი დაუჯდება, ვიდრე მისი შენარჩუნება. F

ფოტო: © STRINGER / REUTERS

ინგლისური ენა **გადარჩება**



ის, რომ ინგლისური მსოფლიო დომინანტური ენა გახდა, ისტორიის მსვლელობის შედეგს წარმოადგენს. ბრიტანეთის იმპერიამ ინგლისური მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გაავრცელა, თავდაპირველად, მე-17-18 საუკუნეებში კოლონიზაციის მეშვეობით, შემდეგ სამრეწველო რევოლუციაში თავისი ლიდერობით. აშშ-ის ეკონომიკურმა უპირატესობამ და პოლიტიკურმა ლიდერობამ კი ინგლისურის, როგორც პირველი ან მეორე ენის, ადგილი გაამყარა. ბევრ ქვეყანაში ნებისმიერ სხვა მნიშვნელოვან ენაზე გადასვლა, ისეთზე, როგორიცაა ფრანგული ან ესპანური, ალბათ უკიდურესად რთული და პრობლემატური იქნებოდა.

მე ვერ ვხედავ გარემოებებს, რომელთა გავლენით, ჩრდილოჩინური ენა (ჩინეთის ოფიციალური ენა) ინგლისურს შეცვლიდა და მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი ენა გახდებოდა. მართალია, ჩრდილოჩინურ ენაზე მსოფლიო მოსახლეობის ყველაზე დიდი სეგმენტი ლაპარაკობს, მაგრამ, ფაქტობრივად, ყველა ეს ადამიანი ჩინეთში იმყოფება. ჩინელები კი ისტორიულად კოლონიზატორები არ იყვნენ, ამიტომაც, დღესდღეობით, ჩრდილოჩინურ ენაზე მოსაუბრე ფართოდ გაშლილი ყოფილი ჩინური კოლონიები არ არსებობს, მსგავსად ინგლისის, საფრანგეთისა და ესპანეთის ყოფილი კოლონიებისა, რომლებიც კვლავ ამ ქვეყნების ენებზე მეტყველებენ.

ნებისმიერ შემთხვევაში, ჩრდილოჩინური დანარჩენი მსოფლიოსთვის შესასწავლად და დასაუფლებლად მეტისმეტად რთული ენა იქნებოდა, მაშინაც კი, თუ თქვენ ჩინურ სიტყვებს პინ-ინის (რომაული სიმბოლოები) ფორმაში გადაიყვანდით. თითოეულ სიმბოლოს შეესაბამება ოთხი ბგერა (ხშირად ერთმარცვლიანი), რომლებიც მის მნიშვნელობას აზუსტებს. ასეა თუ ისე, არა მგონია, რომ ჩინელებმა თავიანთ ჩრდილოჩინურ ენაზე უარი თქვან და მთლიანად პინ-ინზე გადავიდნენ, რადგან ისინი ამაყობენ მშობლიური ენით, რომელიც 5000 წელზე მეტი ხანია არსებობს.

ჩინური, დღეს გამოყენებული სხვა ენების უმრავლესობისგან სრულიად განსხვავდება, რადგან ის პიქტოგრამებისა და იდეოგრამებისგან შედგება, ყოველგვარი ტრანსკრიფციის ან სიმბოლოების გარეშე, რომლებიც მიუთითებენ, თუ ოთხი ბგერიდან, თითოეული ასოსთვის განკუთვნილი რომელია. ჩინეთის სხვადასხვა რეგიონის ხალხებს შორის ბილინგვიზმს ხშირად ვერ შეხვდებით, რადგან დიალექტები მკვეთრად განსხვავებულია. ბილინგვიზმი ევროპელებს შორის გაცილებით უფრო გავრცელებულია, ვინაიდან ევროპაში არსებულ ენათა უმრავლესობას ლათინური ფესვები აქვს.

ჩინეთსა და სინგაპურში მცირე ბიკულტურული ელიტა ჩამოყალიბდა, რომელიც თავის მშობლიურ ენას თავისუფლად ფლობს და ინგლისურის ცოდნაც სხვადასხვა დონეზე აქვს შეძენილი. ეს მნიშვნელოვანწილად ვაჭრობისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით მოხდა. და მაინც, ისეთი ადამიანების მოძებნა, რომლებიც ორივე ენას ერთნაირად კარგად ფლობენ, რთულია.

ჩინეთის ზეგავლენა

ჩინეთის განცხადება იმის შესახებ, რომ მან საჰაერო თავდაცვის ამოცნობის ზონა (ADIZ) აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის დიდი ნაწილის თავზე განალაგა, მის მიერ თავისი უშუალო რეგიონალური გარემოს განსაზღვრის აუცილებლობის შედეგია. ეს ADIZ-ი არაერთმნიშვნელოვანია ნაწილობრივ იმიტომ, რომ, როდესაც ის პირველად იქნა პრომულგირებული, მან, ჩვეულებრივად დაკისრებულის გარდა, დამატებითი მოთხოვნები დააწესა. ის აგრეთვე საკამათო საზღვაო ტერიტორიებს ფარავს, სენკაკუ/დიაოიუს კუნძულების ჩათვლით და კვეთს ADIZ-ს, რომელიც იაპონიას უკვე შექმნილი

ლი კუან იუ, სინგაპურის ყოფილი პრემიერ-მინისტრი; დევიდ მალპასი, გლობალური ეკონომისტი, ENCIMA GLOBAL LLC-ს პრეზიდენტი; კოლ ჯონსონი, გამოჩენილი ბრიტანელი ისტორიკოსი და მწერალი; ემიტი ფლაესი, THE 4 % GROWTH PROJECT-ის დირექტორი ამ სვეტში ერთმანეთს ცვლიან. მიმდინარე მოვლენების ადრინდელი პუბლიკაციების სანახავად ეწვიეთ ჩვენს ვებსაიტს მისამართზე WWW.FORBES.COM/CURRENTEVENTS.



ფოტო: SHUTTERSTOCK

ჰქონდა. ამან ურთიერთსაწინააღმდეგო მითითებების გაცემა გამოიწვია იმ კომერციული თვითმფრინავების მიმართ, რომლებიც ურთიერთგადამკვეთი ზონების თავზე დაფრინავენ. არსებითად, ADIZ-ებს, მთელ საჰაერო სივრცესა და ყველა ოკეანის თავზე ნავიგაციის თავისუფლების შეზღუდვა არ შეუძლიათ და ეს საერთაშორისო სამართლის მიერ მიღებული წესია. წესი, რომელიც უკვე სულ უფრო და უფრო ურთიერთდაკავშირებული მსოფლიოს ინტერესებშია. არა მგონია, რამე შეიცვალოს, თუმცა ვერ ვრწმუნდები, რომ ისეთი მსხვილი სახელმწიფო, როგორიც ჩინეთია, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს როდისმე დაემორჩილება, ან დაეთანხმება იმას, რომ ორმხრივი მოლაპარაკების წარუმატებლობის შემთხვევაში, შეიარაღებულ კონფლიქტთან შედარებით, საარბიტრაჟო სასამართლო ან განჩინების გამოტანა უფრო სასურველი შედეგია.

ჩინეთს 1,3-მილიარდიანი მოსახლეობა ჰყავს, – აშშ-ის 300-მილიონიანისგან განსხვავებით – და ძალზე მზარდი ეკონომიკა გაჩენია. ამ საუკუნის განმავლობაში გარდაუვალია ის ფაქტი, რომ ჩინეთის მშპ ამერიკისას დაჩრდილავს. ძალაუფლების ამგვარი გადანაწილების დროს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ცვლილებებს იმასთან დაკავშირებით, თუ სად გადის აშშ-ის გავლენის გამყოფი ხაზი წყნარ ოკეანეში – სადღაც გუამსა და ჰავაის შორის.

აშშ-ს აზიაში ბევრი მეგობარი და მოკავშირე ჰყავს, მაგრამ მას უნდა ახსოვდეს, რომ ჩინეთის ინტერესები და ზეგავლენა რეგიონში იზრდება. ჩინეთი აზიის იმ ბევრი ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთაც ასევე აშშ-თან მეგობრობის შენარჩუნება სურს. მისი კომპანიების ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩინეთი საზღვარგარეთ ინვესტირებასაც ახორციელებს, რადგან მას მინერალებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების წვდომა სჭირდება. ჩინეთმა აგრეთვე გამოაცხადა თავისი განზრახვის შესახებ, გახდეს საზღვაო სახელმწიფო. ამიტომ უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ აშშ-მ აზიასთან თავისი კავშირები გაამყაროს. ობამას ადმინისტრაციის მიერ აზიის მიმართ „წონასწორობის აღდგენა“ არის ნაბიჯი სწორი მიმართულებით, მაგრამ ის გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა შენარჩუნდეს. F

პოლ ჯონსონი – მიმდინარე მოვლენები

ლონდონი და ჯემდიდრები

თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრებაში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლონდონი, ყველა სხვა დედაქალაქს შორის, ძალიან მდიდარი ადამიანების რაოდენობით ერთ-ერთი პირველია. 45 მილიარდერი ლონდონელით, ის მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა (პირველი მოსკოვია, 88 მილიარდერით, მაგრამ ისეთი გრძნობა რჩება, რომ მათ შორის, არც ერთი არ არის ისეთი, ვისაც ლონდონში სახლი არა აქვს – რაც, თავისთავად, ლონდონის სასარგებლოდ მეტყველებს).

უპირველესი მიზეზი, რომელიც ძალიან მდიდრებს ლონდონში საცხოვრებლად იზიდავს, არის უსაფრთხოება. აქ არც ერთი მათგანისთვის არ არსებობს საშიშროება მოსალოდნელი დაპატიმრებისა, სიკვდილით დასჯისა, ციხეში მოხვედრისა ან ქონების კონფისკაციისა მხოლოდ იმის გამო, რომ რომელიმე მათგანისადმი უბრალოდ მტრული განწყობა შეინიშნება.

მეორე ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ბორის ჯონსონის წარმატებული მმართველობა. იგი ლონდონის მერად ორჯერ იქნა არჩეული. ბორისი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, შესანიშნავი ოპტიმიზმითა და სამეწარმეო საზრიანობით გამოირჩევა, ამავე დროს, ის საოცარი შარმის მატარებელია. სანამ იგი ამ თანამდებობაზე იქნება, მილიარდერებს მშვიდად ყოფნის საშუალება აქვთ, რადგან დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არ იქნება მიღებული არც ერთი ისეთი კანონი – ეროვნულ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე – რომელიც ადამიანებს ფულის კეთებაში ხელს შეუშლის.

ბრიტანეთის ამბივალენტობა ევროკავშირის მიმართ მდიდრების მოზიდ-

ვის საქმეში დამაბრკოლებელ ფაქტორად შეიძლებოდა მიგვეჩნია, მაგრამ ეს ასე არ არის. ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ბრიტანეთი ბრიუსელთან მოგებიან გარიგებას დადებს. გარდა ამისა, ბოლო ათი წლის მანძილზე, ლონდონმა ფრანკფურტთან, პარიზთან, ბერლინსა და ამსტერდამთან საკუთარი ფინანსური მდგომარეობა განამტკიცა.

ფაქტია, რომ ლონდონი უმაღლესი კლასის ბიზნესის საწარმოებლად საუკეთესო ადგილია. ნებისმიერი სახის ფინანსური მოწყობილობა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თქვენ ხელთაა – ჩვეულებრივ, ხუთი წუთის სავალზე. ლონდონში მულტიმილიარდდოლარიანი გარიგების დადება შეიძლება შესამჩნევად ნაკლებ ფასად, ბევრად მცირე დროში და წარმატების მნიშვნელოვნად მეტი შანსით, ვიდრე ნებისმიერ სხვა ფინანსურ ცენტრში.

გარდა ამისა, ლონდონს საოცრად მოქნილი, მრავალმხრივი და უფრო პატიოსანი სამართლებრივი სისტემა აქვს. ამით აიხსნება ის, თუ ძალიან მდიდარი ადამიანები, უმეტეს შემთხვევაში, რატომ აძლევენ უპირატესობას საქმის ლონდონის სასამართლოში გარჩევას, მაშინაც კი, თუ იქ არ ცხოვრობენ. ისინი ასევე ლონდონში განქორწინებას ამჯობინებენ. წარსულში აშშ იყო ის ადგილი, სადაც მდიდრები ცოლქმრულ უთანხმოებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად ჩადიოდნენ იოლი კანონებისა და სასამართლოების მხრიდან უხვი ფინანსური ჯილდოების გამო, მაგრამ ლონდონის 45 მილიარდერთან შედარებით, დაღასს მხოლოდ 17 მილიარდერი ჰყავს, ლოს-ანჯელესს – 19, ხოლო სან-ფრანცისკოს – 20. ნიუ-იორკი გამონაკლისია თავისი 71 მილიარდერით.

გლობალური გადმოსახედიდან ჩანს, რომ ლონდონი უსაფრთხო ადგილად დარჩება იმ შემთხვევაში, თუ სიმდიდრის მიმართ იმავე გონივრულ დამოკიდებულებას შეინარჩუნებს, რაც მას ამჟამად აქვს. მისი უმსხვილესი კონკურენტი მოსკოვია, რუსი ოლიგარქების მიმართ თავისი განსაკუთრებული – და უაღრესად საეჭვო – მოპყრობით. პარიზს ახლა მხოლოდ 21 მილიარდერი ჰყავს და ის, ფრანსუა ოლანდის მიერ შემოღებული 75%-იანი საგადასახადო რეჟიმით, ამ რიცხვს სწრაფად ამცირებს. მუმბაი, რომელსაც მთელი ინდოეთის სიმდიდრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასევე უამრავი მილიარდერი უნდა ჰყავდეს, მხოლოდ 21 მილიარდერის ქალაქია. პეკინს, კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებით დაწესებული მკაცრი შეზღუდვებით, რაც ხელს უშლის მის დიდად წარმატებულ ექსპორტიორებს თავიანთი კაპიტალის ქვეყნიდან გატანაში, 36 მილიარდერი ჰყავს, ხოლო ტაიბეიში,

რომლის ეკონომიკა კონტინენტური ჩინეთის ეკონომიკის 5%-ს შეადგენს, სულ 20 მილიარდერია.

ორი ყველაზე თვალსაჩინო თავშესაფარი ძალიან მდიდრებისთვის არის ჰონკონგი - 46 მილიარდერით და სინგაპური - 18 მილიარდერით. ბრიტანეთის ამ ყოფილი კოლონიების ფინანსური უწყებების მოდელირება ქალაქ ლონდონის შესაბამისად განხორციელდა, ამიტომაც კაპიტალის სამივე ცენტრში გადაადგილება მდიდრებისთვის ადვილია.

ყველაფერი - როგორც საჭიროა

ლონდონი საცხოვრებლად მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ქალაქად იქცა. სიძვირის მიუხედავად, სახლები იქ შესანიშნავია და ღირებულება სტაბილურ ზრდას განიცდის. საკვები პროდუქტების ხარისხისა და მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ის პარიზს კონკურენციას უწევს. როგორც ტურიზმის ცენტრი, ლონდონი, ალბათ, მსოფლიოში საუკეთესო ქალაქების რიცხვშია. მას ასევე ჰყავს გლამურული და სტაბილური სამეფო ოჯახი, რომელიც დიდი რაოდენობის ახალგაზრდა პრინცებითა და პრინცესებით გამოირჩევა - არისტოკრატია, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ისტორიულ შენობებში ცხოვრობს, ხოლო მხატვრული, მუსიკალური და, უპირველეს ყოვლისა, თეატრალური სიმდიდრის მხრივ, მასთან შედარებით, ნიუ-იორკი, პარიზი და რომი, არასრულყოფილად წარმოჩნდებიან.

როგორც ნებისმიერი დიდი ქალაქის შემთხვევაში, ლონდონის ყველა ეს მიმზიდველი ფაქტორი მაინც არასაიმედოა. მხოლოდ ერთი თავნება ლიდერია საჭირო იმისათვის, რომ ყოვლისმომცველი არეულობა შექმნას. თუმცა, თუ ბორის ჯონსონი დევიდ კამერონისგან პრემიერ-მინისტრის თანამდებობის მიღებას გადაწყვეტს, რაც დღითი დღე სულ უფრო მოსალოდნელი ხდება, მაშინ კონსერვატორები, როგორც ჩანს, ბრიტანეთის მართვას გარკვეული დროის განმავლობაში განახორციელებენ. ეს კი ძალიან მდიდრებისთვის უსაფრთხო სამოთხეს შექმნის. უსაფრთხოება ხომ მათთვის ყველაზე მეტადაა დასაფასებელი. F

Forbes Georgia
უკვე App Store-შია!

Forbes Georgia
June 2014

Forbes Georgia
July 2014

Forbes Georgia
August 2014
(მალე)

გადმოწერეთ უფასო აპლიკაცია თქვენს iPad-ზე

ნუცა თოხაძე – მაკროეკონომიკა

სახელმწიფო ბიუჯეტის მიმოხილვა

ბიუჯეტი, იგივე შემოსულობები, შედგება: შემოსავლების, არაფინანსური, ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდისგან. შემოსავლები თავის თავში მოიცავს: საგადასახადო შემოსავლებს (ფიზიკური პირებიდან: საშემოსავლო გადასახადი; გადასახადი საწარმოებიდან: მოგების გადასახადი და სხვა; გადასახადები ქონებაზე: გადასახადები უძრავ ქონებაზე; გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე: დღგ, აქციზი; გადასახადები საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე: იმპორტის გადასახადი და სხვა გადასახადები), გრანტებს (საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები) და სხვა შემოსავლებს (შემოსავლები საკუთრებიდან: პროცენტები, დივიდენდები; საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან: საბაჟო მოსაკრებლები და სხვა; სანქციები (ჯარიმები და საურავები) და სხვა შემოსავლები). არაფინანსური აქტივების კლება ბიუჯეტში სახელმწიფოს არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ ფინანსურ რესურსს, ხოლო ფინანსური აქტივების კლება სახელმწიფოს მიერ ეროვნულ ბანკში რეზერვების სახით

ფოტო: SHUTTERSTOCK

2010-2013 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემები (ათას ლარებში)

ბიუჯეტი	2010 წლის დამტკიცებული გეგმა	2010 წლის შესრულება	გეგმიდან გადახრა	2011 წლის დამტკიცებული გეგმა	2011 წლის შესრულება	გეგმიდან გადახრა	2012 წლის დამტკიცებული გეგმა	2012 წლის შესრულება	გეგმიდან გადახრა	2013 წლის დამტკიცებული გეგმა	2013 წლის შესრულება	გეგმიდან გადახრა
შემოსულობები	**7,088,226.5**	**7,097,828.1**	**9,601.6**	**7,626,556.1**	**7,447,727.1**	**-178,829.0**	**8,158,000.0**	**8,004,006.1**	**-153,993.9**	**8,425,500.0**	**7,717,436.0**	**-708,064.0**
შემოსავლები	**5,363,552.6**	**5,421,474.0**	**57,921.4**	**6,471,545.2**	**6,442,307.7**	**-29,237.5**	**7,158,280.0**	**7,115,329.3**	**-42,950.7**	**7,422,500.0**	**6,839,493.6**	**-583,006.4**
გადასახადები	4,522.000.0	4,592,367.6	40,367.6	5,775,000.0	5,801,989.3	26,989.3	6,300,000.0	6,311,078.1	11,078.1	6,920,000.0	6,287,685.0	-632,315.0
გრანტები	464,552.6	471,422.9	6,870.3	306,545.2	223,096.7	-83,448.5	318,280.0	269,634.9	-48,645.1	202,500.0	238,861.1	36,361.1
სხვა შემოსავლები	347,000.0	357,683.4	10,683.4	390,000.0	417,221.7	27,221.7	540,000.0	534,616.4	-5,383.6	300,000.0	312,947.4	12,974.4
არაფინანსური აქტივების კლება	**150,000.0**	**146,775.9**	**-3,224.1**	**170,000.0**	**189,820.3**	**19,820.3**	**75,000.0**	**80,223.8**	**5,223.8**	**100,000.0**	**77,514.5**	**-22,485.5**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**62,000.0**	**82,333.7**	**20,333.7**	**60,000.0**	**80,669.5**	**20,669.5**	**40,000.0**	**60,243.7**	**20,243.7**	**35,000.0**	**62,536.4**	**27,536.4**
ვალდებულებების ზრდა	**1,512,673.9**	**1,447,244.5**	**-65,429.4**	**925,010.9**	**734,929.6**	**-190,081.3**	**884,720.0**	**748,209.3**	**-136,510.7**	**868,000.0**	**737,891.5**	**-130,108.5**

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; MOF.GE

განთავსებულ დეპოზიტებს გვიჩვენებს, რომელთაც ის საჭიროებიდან გამომდინარე იყენებს ხოლმე. რაც შეეხება ვალდებულებების ზრდას, ის სახელმწიფოს ვალის აღების შედეგად მიღებულ ფინანსებს ასახავს. აქედან ნათელია, რომ შემოსულობები ბიუჯეტში სხვადასხვა წყაროდან მიღებული ფინანსური სახსრების შემოდინებას გვიჩვენებს, თუმცა ამ წყაროებიდან ქვეყანაში ეკონომიკურ მდგომარეობას ყველაზე რეალურად მხოლოდ საგადასახადო შემოსავლები ასახავს. ამას ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ბიუჯეტის თითოეული ქვეპუნქტის დახასიათებაც ადასტურებს, სადაც საგადასახადო შემოსავლები ყველა იმ შემოსავალს მოიცავს (მოგების, საშემოსავლო გადასახადი, დღგ და ა.შ), რაც ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის ყველაზე რეალური ამსახველია. რაც შეეხება ვალდებულებების ზრდას, ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს მიერ ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული ფინანსური რესურსია, რაც სახელმწიფოს ვალად ედება და რისი გადახდაც მომავალში მას უწევს. აქედან, როგორც საგადასახადო შემოსავლების დიდი ოდენობაა ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი, ამის საპირისპიროდ ვალდებულებების ზრდის სიმცირეა ეკონომიკისთვის უფრო სახარბიელო.

2010 წელს ბიუჯეტი 7,088 მლნ ლარით იყო დაგეგმილი, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ 7,097 მლნ ლარი შეადგინა (ანუ ბიუჯეტი გეგმასთან მიმართებით 9,601 ათასი ლარის გადაჭარბებით შესრულდა და მასში გარღვევას ადგილი არ ჰქონია), რაც ეკონომიკისთვის დადებითი ფაქტია. რაც შეეხება 2010 წლის საგადასახადო შემოსავლებსა და ვალდებულებებს, საგადასახადო შემოსავლების გეგმა 40,367 ათასი ლარის გადაჭარბებით შესრულდა (გეგმასთან შედარებით 40 მლნ ლარით ზედმეტი შემოვიდა), ხოლო ვალდებულებები 65,429 ათასი ლარით გაირღვა (გეგმასთან მიმართებით 65 მილიონი ლარით ნაკლები ვალი ავიღეთ), რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის ასევე პოზიტიური ფაქტია.

2011 წელს ბიუჯეტი 179 მლნ ლარით გაირღვა (ანუ ბიუჯეტში გეგმასთან შედარებით 179 მლნ ლარით ნაკლები შემოვიდა). საგადასახადო შემოსავლები გეგმასთან მიმართებით 27 მლნ ლარის გადაჭარბებით შესრულდა, ხოლო ვალდებულებები 190 მლნ ლარით ნაკლები ავიღეთ. 2011 წელს საგადასახადო შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის მონაცემები დადებითი მაჩვენებლებია, თუმცა ის ფაქტი, რომ ბიუჯეტი ვერ შესრულდა და 179 მლნ ლარის გარღვევა დაფიქსირდა (რისი მიზეზიც გრანტებისა და ვალდებულებების გეგმასთან მიმართებით შეუსრულებლობაა), უარყოფითი მოვლენაა. ყველა წელს ბიუჯეტის გაწერა ხდება და დაგეგმვა იმისა, თუ რა ოდენობის თანხა, რა პროექტებისა და აქტივობების შესასრულებლად უნდა იქნას გამოყენებული. ის ჩვენ ყველა წელს ქვეყნის ეკონომიკის ზრდისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსის ოდენობას გვიჩვენებს; ამიტომ ბიუჯეტში დანაკლისის ქონა, დაგეგმილი პროექტების (რისი გაკეთებაც ეკონომიკის წინსვლისთვის იმ კონკრეტულ წელს იყო მნიშვნელოვანი) შეუსრულებლობასა და, გარკვეულწილად, ეკონომიკის შეფერხებას უკავშირდება.

2012 წელს ბიუჯეტი 154 მლნ ლარით გაირღვა, რაც ასევე უარყოფითი ფაქტია; თუმცა 2011 წლის მონაცემთან – 179-მილიონლარიან გარღვევასთან შედარებით უფრო ნაკლებია. რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლებსა და ვალდებულებების ზრდას, საგადასახადო შემოსავლები 11 მლნ ლარის გადაჭარბებით, ხოლო ვალდებულებები 137 მლნ ლარის დანაკლისით შესრულდა. 2011 წლის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც საგადასახადო შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის მონაცემები ქვეყნის ეკონომიკისთვის სახარბიელო მაჩვენებლებია, თუმცა ის, რომ ბიუჯეტში 154 მლნ ლარის დანაკლისი აღირიცხა (რისი მიზეზიც გრანტების, სხვა შემოსავლებისა და ვალდებულებების გეგმასთან მიმართებით შეუსრულებლობაა), ეს უკვე უარყოფითი მოვლენაა.

2013 წელს ბიუჯეტში უკანასკნელ

2010-2013 წლების საგადასახადო შემოსავლებისა და ვალდებულებების პროცენტული წილი დამტკიცებულ ბიუჯეტში (პროცენტული მაჩვენებლები)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; MOF.GE

სამ წელთან შედარებით ყველაზე დიდი ოდენობის - 708 მლნ ლარის გარღვევა დაფიქსირდა, რაც საგადასახადო შემოსავლების (632 მლნ ლარის დანაკლისი), არაფინანსური აქტივების კლებისა (22 მლნ ლარის დანაკლისი) და ვალდებულებების ზრდის (130 მლნ ლარის დანაკლისი) გეგმასთან მიმართებით შეუსრულებლობით იყო გამოწვეული. როგორც ვხედავთ, 2013 წელს საგადასახადო შემოსავლებში დიდი ოდენობის გარღვევას ჰქონდა ადგილი (ეკონომიკური აქტივობა კერძოდ კი მოგების, საშემოსავლო გადასახადები, დღგ და სხვა შემოსავლების ოდენობა შემცირდა), რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, 2012 და 2013 წლებში ქვეყანაში ჩატარებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებით გამოწვეული პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა იყო.

როგორც ზემოთ არსებული ანალიზიდან ვხედავთ, ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლებს რაც უფრო დიდი და ვალდებულებების ზრდას რაც უფრო ნაკლები წილი უკავია, მით უფრო უკეთესია; თუმცა ვალდებულებების გეგმასთან მიმართებით შეუსრულებლობა ხშირად ბიუჯეტის გარღვევას იწვევს, რაც ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებს. ამიტომ უმჯობესია, ბიუჯეტის დაგეგმვა ისე მოხდეს, რომ საგადასახადო შემოსავლებს ბიუჯეტის დიდი, ვალდებულებებს კი ბიუჯეტის მცირე წილი ეკავოს (ანუ ბიუჯეტი ვალდებულებებზე ნაკლებად იყოს დამოკიდებული); ამ კუთხით საინტერესოა, ზემოთ მოყვანილ უკანასკნელ წლებში საგადასახადო შემოსავლებისა და ვალდებულებების წილი სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში მიმოვიხილოთ.

2010 წელს საგადასახადო შემოსავლების წილი ბიუჯეტში 64,2%, ხოლო ვალდებულებების 21,3% იყო. შემდეგ წლებში საგადასახადო შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლები ზრდის, ხოლო ვალდებულებების მაჩვენებლები კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც ეკონომიკისთვის მეტად დადებითი ფაქტია. გასულ წლებში ასეთი ტენდენცია სახელმწიფოს მოლოდინებზე მიუთითებს; ბიუჯეტის ასეთი დაგეგმარება იმის მანიშნებელია, რომ სახელმწიფო ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მაღალ ეკონომიკურ აქტივობას ელის, ამიტომ ბიუჯეტის ვალდებულებების ხარჯზე ზრდას იგი თანდათან ამცირებს. რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლებისა და ვალდებულებების წილს ფაქტობრივ ბიუჯეტში, ისიც დამტკიცებული ბიუჯეტის მსგავსად თითქმის იმავე ტენდენციით მიდის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფოს მოლოდინები ქვეყანაში ეკონომიკურ აქტივობასთან დაკავშირებით მეტწილად მართლდება.

იმისათვის, რომ ვნახოთ, თუ რა მდგომარეობა გვაქვს ეკონომიკაში დღეს, ამ მონაცემებთან ერთად აუცილებელია მიმდინარე, ანუ 2014 წლის ბიუჯეტის მონაცემებიც მიმოვიხილოთ.

2014 წელს ბიუჯეტი 9,105 მლნ ლარით, საგადასახადო შემოსავლები 6,820 მლნ ლარით, ხოლო ვალდებულე-

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემები (ათას ლარებში)

ბიუჯეტი	2014 წლის დამტკიცებული გეგმა	2014 წლის II კვარტალის დამტკიცებული გეგმა	2014 წლის II კვარტალის შესრულება	II კვარტალის გეგმიდან გადახრა
შემოსულობები	**9,105,000.0**	**4,079,977.0**	**3,953,371.1**	**-126,605.9**
შემოსავლები	**7,319,000.0**	**3,364,201.0**	**3,376,431.2**	**12,230.2**
გადასახადები	6,820,000.0	3,103,800.0	3,202,911.0	99,111.0
გრანტები	144,000.0	100,121.0	47,093.0	-53,028.0
სხვა შემოსავლები	355,000.0	160,280.0	126,427.0	-33,853.0
არაფინანსური აქტივების კლება	**80,000.0**	**36,000.0**	**51,138.1**	**15,138.1**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**70,000.0**	**38,500.0**	**32,180.3**	**-6,319.7**
ვალდებულებების ზრდა	**1,636,000.0**	**641,276.0**	**493,621.4**	**-147,654.6**

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; MOF.GE

ბები 1,636 მლნ ლარით არის დაგეგმილი. 2014 წლის ორ კვარტალში ბიუჯეტში დაახლოებით 127 მლნ ლარის გარღვევა დაფიქსირდა (რისი მიზეზიც გრანტების, სხვა შემოსავლების, ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის გეგმასთან მიმართებით შეუსრულებლობაა), რაც ეკონომიკისთვის უკვე უარყოფითი ფაქტია; თუმცა წინა, 2013, წლის ანალოგიური პერიოდის ბიუჯეტის 490 მლნ ლარის გარღვევასთან შედარებით გაცილებით მცირეა. რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლებისა და ვალდებულებების კლების მაჩვენებლებს, ორ კვარტალში საგადასახადო შემოსავლების გეგმა 99 მლნ ლარის გადაჭარბებით, ხოლო ვალდებულებების 148 მლნ ლარის დანაკლისით შესრულდა. შესაბამისად, ამ ეტაპზე საგადასახადო შემოსავლებში კარგი მდგომარეობა გვაქვს, ხოლო ვალდებულებების ქვემუხლში 148-მილიონლარიანი გარღვევა, ერთი მხრივ, დადებითი ფაქტია – სამომავლოდ სახელმწიფოს ნაკლები ვალის გადახდა მოუწევს, თუმცა მეორე მხრივ უარყოფითი მოვლენაა – ის ბიუჯეტის შეუსრულებლობას (ანუ გარღვევას) იწვევს.

2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმის მიხედვით საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტის 74,9%-ს შეადგენს, რაც 2013 წლის მონაცემზე – 82,1%-ზე ნაკლებია, ხოლო ვალდებულებების წილი 18%-ია, რაც 2013 წლის მონაცემზე – 10,3%-ზე მეტია. აქედან ვხედავთ, რომ 2014 წლის ბიუჯეტი, წინა 2013 წლის ბიუჯეტთან შედარებით ნაკლებად პოზიტიურად არის დაგეგმილი: საგადასახადო შემოსავლები შემცირებულია, ვალდებულებები კი გაზრდილი. აქედან შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ბიუჯეტის დაგეგმვისას სახელმწიფოს მოლოდინი 2014 წელს ეკონომიკურ აქტივობასთან დაკავშირებით 2013 წელთან შედარებით უფრო ნაკლები იყო. რაც შეეხება 2014 წლის ორ კვარტალს, ბიუჯეტის გეგმის მიხედვით მასში საგადასახადო შემოსავლების წილი 76,1%, ხოლო ვალდებულებების 15,7% უნდა ყოფილიყო.

2010-2013 წლების საგადასახადო შემოსავლებისა და ვალდებულებების პროცენტული წილი დამტკიცებულ ბიუჯეტში (პროცენტული მაჩვენებლები)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; MOF.GE

ფაქტობრივი შესრულებით საგადასახადო შემოსავლების პროცენტულმა წილმა დაგეგმილზე უფრო მეტი – 81%, ხოლო ვალდებულებებმა დაგეგმილზე უფრო ნაკლები – 12,5% შეადგინა. როგორც აღვნიშნეთ, საგადასახადო შემოსავლების შესრულების ეს მაჩვენებლები ქვეყნის ეკონომიკისთვის დადებითი შედეგის მომტანია, ხოლო ვალდებულებების გეგმასთან მიმართებით შეუსრულებლობა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოვლენაა. მისი დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, მომავალში გადასახდელი ვალების ოდენობა მცირდება, თუმცა თუ საგადასახადო შემოსავლებმა ამ დანაკლისის დაბალანსება ვერ შეძლო, ვალდებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა ბიუჯეტის გარღვევა გამოიწვიოს. ამის შედეგი კი ორ კვარტალში, მართალია, არც იმდენად დიდი (ბიუჯეტში 127 მლნ ლარის გარღვევა დაფიქსირდა), თუმცა მაინც უკვე იკვეთება.

ზემოთ არსებული ანალიზიდან ნათელია, რომ 2010 წლიდან დღემდე, ეკონომიკაში ყველაზე მძიმე მდგომარეობა 2013 წელს გვქონდა. 2013 წელს ბიუჯეტი 708 მლნ ლარის, ხოლო საგადასახადო შემოსავლები 632 მლნ ლარის დანაკლისით შესრულდა. ამის მიზეზად 2012 და 2013 წლებში ქვეყანაში არსებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად გამოწვეული ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა შეიძლება მივიჩნიოთ. რაც შეეხება მიმდინარე ანუ 2014 წლის ბიუჯეტს, აქ საგადასახადო შემოსავლების წილი წინა წლის მონაცემზე ნაკლებია, ვალდებულებების ზრდის მონაცემები კი მეტი, რაც არასახარბიელო ფაქტია. ამის მიუხედავად, მიმდინარე წლის ორ კვარტალში ბიუჯეტში 127 მლნ ლარის გარღვევა დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან – 490 მლნ ლარის გარღვევასთან შედარებით გაცილებით მცირეა. აქედან შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ქვეყანაში დღეს ეკონომიკური მდგომარეობა მეტ-ნაკლებად გაუმჯობესებისკენ მიდის, თუმცა ვინაიდან საქართველო მაინც განვითარებადი ქვეყანაა და სახელმწიფოს ბევრი ბერკეტი გააჩნია ეკონომიკის ზრდის წასახალისებლად (როგორიც არის მარეგულირებელი სისტემის სრულყოფა, ქვეყანაში პრიორიტეტული სექტორების დაფინანსება და მათთვის საწყისი კაპიტალის შექმნა, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება და ა.შ), ამიტომ მომავალში მოვლენების განვითარება მეტწილად მთავრობის რაციონალურ მიზნებსა და მათ მიერ სახელმწიფოს მართვის პოლიტიკაზე იქნება დამოკიდებული. F

ნუცა თოხაძე – კაპიტალის ნაკადები

ჯარიმებისა და პრივატიზაციის წილი ბიუჯეტში

საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზრით, წინა ხელისუფლების – „ნაციონალური მოძრაობის“ – მმართველობის პერიოდში, ეკონომიკა ძირითადად ჯარიმებიდან და პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე იზრდებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გასულ წლებში ეკონომიკის რეალური ზრდა არ ხდებოდა, რაც ქვეყნისთვის მეტად ნეგატიური ფაქტია. ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები ორ კატეგორიად იყოფა: საბაჟო და საპატრულო და სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის. საბაჟო და საპატრულო ჯარიმები, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების „სხვა გადასახადების“ ქვეპუნქტს მიეკუთვნება, სისხლის და ადმინისტრაციული ჯარიმები კი ბიუჯეტის შემოსავლების „სხვა შემოსავლების“ ქვეპუნქტს. რაც შეეხება პრივატიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს, ის „შემოსულობაა არაფინანსური აქტივიდან“, რაც ასევე შემოსულობებში (იმავე ბიუჯეტში) აღირიცხება. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოყვანილი მონაცემები კონსოლიდირებული (იგივე ნაერთი) ბიუჯეტის მაჩვენებლებია, რაც სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის ჯამია.

შემოსულობები (იგივე ბიუჯეტი) შედგება: შემოსავლების, ფინანსური, არაფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდისგან. საბაჟო და საპატრულო ჯარიმები მოიცავს: ჯარიმებსა და საურავებს საბაჟო და საგადასახადო სამართალდარღვევების გამო.

ფოტო: SHUTTERSTOCK

ცხრილი #1: შემოსულობების, ჯარიმებიდან და პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების მაჩვენებლები დინამიკაში (ლარებში

წლები	შემოსულობები	ჯარიმები (საბაჟო და საპატრულო	ჯარიმები (სისხლის და ადმინისტრაციული)	ჯარიმები სულ	პრივატიზაცია
2004	1,997,766,491.77	93,681.47	7,811,964.18	7,905,645.65	71,130,778.97
2005	3,289,223,826.12	271,814.40	13,355,894.27	13,627,708.67	419,407,849.10
2006	4,537,916,325.14	1,098,053.60	55,056,069.84	56,154,123.44	564,458,259.18
2007	6,356,421,170.06	19,939,841.58	103,342,344.89	123,282,186.47	643,786,983.39
2008	7,418,387,826.03	21,409,650.23	88,146,832.30	109,556,482.53	697,786,194.25
2009	7,206,093,691.77	27,272,310.84	103,404,800.29	130,677,111.13	211,496,783.95
2010	7,445,380,698.42	36,903,760.09	149,165,867.39	186,069,627.48	219,896,288.56
2011	8,084,531,859.16	24,485,983.57	163,595,307.34	188,081,290.91	283,840,794.25
2012	8,279,756,747.68	19,137,496.86	176,251,574.76	195,389,071.62	168,976,086.42
2013	8,683,147,643.26	21,227,164.53	173,708,949.73	194,936,114.26	125,671,235.06

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა; TREASURY.GOV.GE

სისხლის და ადმინისტრაციული ჯარიმები მოიცავს: შემოსავალს სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, საზღვრის უკანონოდ დარღვევის, გაცემული სესხების დაფარვის ვადების დარღვევის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამო და ა.შ. პრივატიზაციიდან მიღებული თანხები მოიცავს: შემოსულობებს ძირითადი აქტივების (შენობები და ნაგებობები, მანქანა-დანადგარები) გაყიდვიდან, მატერიალური მარაგების (ნედლეული და მასალები, შემდგომი რეალიზაციისთვის შეძენილი საქონელი და სხვა) გაყიდვიდან, არაწარმოებული აქტივების (მიწა, სხვა ბუნებრივი აქტივები) გაყიდვიდან და სხვა.

როგორც ცხრილ 1-ში არსებული მონაცემებიდან ნათელი ხდება, ბიუჯეტი (იგივე შემოსულობები) 2004 წლიდან (1,997 მლნ ლარი) 2009 წლამდე ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ხოლო 2009 წელს (რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ომის შემდგომი პერიოდი) მცირედით – 212 მლნ ლარით იკლებს. 2009 წლიდან შემოსულობები კვლავ ზრდას განაგრძობს და ეს ტენდენცია დღემდე ნარჩუნდება. რაც შეეხება ჯარიმებს სულ (რაც საბაჟო, საპატრულო და სისხლის და ადმინისტრაციული ჯარიმებისგან შედგება) 2004 წელს მათი ოდენობა დაახლოებით 8 მლნ ლარს შეადგენს. 2008 წლამდე ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იზრდება და 2007 წელს 123 მლნ ლარზე ფიქსირდება. 2008 წელს ჯარიმების ოდენობა მცირედით – დაახლოებით 14 მლნ ლარით იკლებს, თუმცა 2009 წლიდან ის კვლავ ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2010 წლამდე ჯარიმების ზრდის ტემპი მაღალია (საშუალოდ ყოველ წელს დაახლოებით 2-ჯერ იმატებს), რაც, როგორც ცხრილ 1-დან ვხედავთ, ძირითადად სისხლის და ადმინისტრაციული ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების ზრდით არის გამოწვეული, კერძოდ კი: საბაჟო პროცედურების, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევიდან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში, გაცემული სესხების დაფარვის ვადების დარღვევისთვის გადახდილი საურავებიდან და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმებიდან. 2011 წლიდან ჯარიმების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად იკლებს და 2013 წელს წინა 2012 წელთან შედარებით მისი ოდენობა სულ უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც – 453 ათასი ლარით მცირდება. რაც შეეხება

2011 წლიდან ჯარიმების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად იკლებს და 2013 წელს წინა 2012 წელთან შედარებით მისი ოდენობა სულ უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც – 453 ათასი ლარით მცირდება.

გრაფიკი 1: ჯარიმების პროცენტული წილი ნაერთ ბიუჯეტში (პროცენტული მაჩვენებლები)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა; TREASURY.GOV.GE

პრივატიზაციიდან მიღებულ თანხებს, მათმა ოდენობამ 2004 წელს 71 მლნ ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2005 წელს მნიშვნელოვნად, დაახლოებით 6-ჯერ გაიზარდა და 2009 წლამდე სულ ზრდის ტენდენციით (მართალია, ზრდის ტემპმა იკლო) ხასიათდებოდა (ასეთი ზრდის მიზეზი მეტწილად ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების სიდიდე იყო). პრივატიზაციიდან მიღებული თანხები 2009 წელს (წინა, 2008 წელთან შედარებით) მნიშვნელოვნად, დაახლოებით 3-ჯერ შემცირდა, ხოლო 2012 წლამდე კვლავ ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. 2013 წელს ამ მაჩვენებელმა, წინა 2012 წელთან შედარებით, მცირედით, მაგრამ მაინც - 43 მლნ ლარით დაიკლო.

ცხრილ 1-ში ჯარიმებისა და პრივატიზაციის შესახებ არსებული აბსოლუტური მონაცემები ერთი შეხედვით თითქოს მაღალი მაჩვენებლებია, თუმცა მათი რეალური სიდიდის დასადგენად მთლიან ბიუჯეტში მათი წილის მიმოხილვაა აუცილებელი.

გრაფიკ 1-დან ნათელია, რომ „ჯარიმების სულ" პროცენტული წილი ბიუჯეტში 2004-2008 პერიოდში ზრდის, ხოლო 2008 წლიდან 2013 წლამდე მუდმივი ვარიაციებით ხასიათდება. ეს ინდიკატორი მის მაქსიმუმს 2010 წელს 2,50%-იანი მაჩვენებლით აღწევს, რისი მიზეზიც ძირითადად საბაჟო და საპატრულო ჯარიმების ნამატია (2010 წელს ამ მაჩვენებელმა მის მაქსიმალურ ნიშნულს - 37 მლნ ლარს მიაღწია), ხოლო სისხლის და ადმინისტრაციული ჯარიმები ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მაჩვენებელზე - 149 მლნ ლარზე დაფიქსირდა. 2010 წელს ბიუჯეტში ჯარიმების პროცენტული წილის ასეთი მაღალი მაჩვენებელი 2008-2009 პერიოდში მძიმე ეკონომიკურ ჩავარდნას შეიძლება მივაწეროთ. ეკონომიკური გაჭირვების ჟამს, საზოგადოების მხრიდან კანონდარღვევის მცდელობებისა და, შესაბამისად, შემთხვევების რიცხვიც უფრო მაღალია, ვიდრე ეკონომიკური სტაბილურობის დროს; ასევე რეცესიის პერიოდში სახელმწიფოც გარკვეულწილად მისი მწირი ბიუჯეტის შევსებაზეა ორიენტირებული, რამაც შესაძლოა მას ჯარიმების გაზრდისკენ უბიძგოს. 2010 წლის შემდეგ ჯარიმების პროცენტული წილი ბიუჯეტში კვლავ კლების ტენდენციით ხასიათდება. ამ მონაცემებიდან ვხედავთ, რომ 2004-2012 წლებში („ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდი) ჯარიმების პროცენტული წილი შემოსულობებში 0,40%-2,50% ფარგლებში მერყეობს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებლებია. რაც შეეხება გასული 2013 წლის მონაცემს, ის წინა 2012 წელთან შედარებით მცირედით იკლებს და 2,24% ნიშნულზე ფიქსირდება.

გრაფიკ 2-ზე არსებული მონაცემებიდან იკვეთება, რომ 2004 წელს ბიუჯეტში პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების პროცენტულ წილს 3,56% უკავია. 2005 წელს ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით იზრდება და 2004-2013 წლების განმავლობაში მის მაქსიმალურ მაჩვენებელს - 12,75%-ს აღწევს. 2005 წელს ამ ინდიკატორის ასეთი მაღალი მაჩვენებელი იმით შეიძლება ავხსნათ, რომ ამ პერიოდში პრივატიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების ზრდის ტემპი 2004-2013 წლების განმავლობაში ყველაზე მაღალი იყო (2005 წელს, 2004 წელთან შედარებით, დაახლოებით 6-ჯერ გაიზარდა). როდესაც ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლება მოდის და სახელმწიფოს მართვის ახალ სისტემაზე გადასვლა ხდება (ქვეყანაში გარდამავალი ეტაპის დროს), ამ პერიოდში პრივატიზაციების ოდენობაც იმატებს. შესაბამისად, 2005 წელს ბიუჯეტში პრივატიზაციიდან შემოსული თანხების პროცენტული წილის ასეთი მაღალი მაჩვენებელი ამ ფაქტს შესაძლოა მივაწეროთ. 2005-დან 2009 წლამდე ჩვენ მიერ განხილული ინდიკატორი კლების ტენდენციით ხასიათდება, ხოლო 2009-დან 2013 წლამდე მცირედით მუდმივად ვარირებს. 2013 წელს წინა 2012 წელთან შედარებით ის უმნიშვნელოდ იკლებს

და 2004-2013 პერიოდში მის მინიმალურ მაჩვენებელზე (1,45%) ფიქსირდება. 2004-2012 წლების განმავლობაში ბიუჯეტში პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი 2,04%-12,75% ფარგლებში მერყეობს, რაც ჯარიმების მონაცემებზე უფრო მაღალი, თუმცა ასევე საკმაოდ დაბალი მაჩვენებლებია.

ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ცხადია, რომ წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში (2004-2012 წლებში), ჯარიმებიდან და პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების აბსოლუტური მაჩვენებლები, ერთი მხრივ, თითქოს მაღალი მონაცემებია, თუმცა საქართველოს ბიუჯეტთან მიმართებით (პროცენტული მაჩვენებლები) ეს ასე არ არის. ზემოთ განხილული ცხრა წლის განმავლობაში ბიუჯეტში ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების პროცენტული წილი 0,40-2,50% ფარგლებში, ხოლო პრივატიზაციიდან მიღებული თანხების პროცენტული წილი 2,04-12,75% ფარგლებში მერყეობს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებლებია. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გასული წლების განმავლობაში, ეკონომიკის ძირითადად ჯარიმებიდან და პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე ზრდა ნამდვილად არ ხდებოდა. F

გრაფიკი 2: პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების პროცენტული წილი ნაერთ ბიუჯეტში (პროცენტული მაჩვენებლები)



ფოტო: SHUTTERSTOCK

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა; TREASURY.GOV.GE

თეონა აბსანძე – განვითარების სტრატეგია

2014 წლის ეკონომიკური ზრდის ტენდენციები

მიმდინარე წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რაც ჩვენს ქვეყანასა და ევროკავშირს შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების საფუძველი ხდება. ექსპერტების აზრით, აღნიშნული თავისთავად გამოიწვევს ეკონომიკის ზრდას. ამ ეტაპზე კი არსებულ ვითარებაზე გავამახვილოთ ყურადღება.

2013 წელს მშპ-ის რეალურმა ზრდამ 3,2% შეადგინა, რაც წინა წლების მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა.



საქართველოს მშპ-ის დაბალი რეალური ზრდის ტემპი 2012 წლის IV კვარტალიდან დაიწყო და 2013 წლის III კვარტალის ჩათვლით გაგრძელდა. 2013 წლის IV და 2014 წლის I კვარტალში ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი დაფიქსირდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2014 წლის პირველ კვარტალში მშპ-ის რეალურმა ზრდამ 7,4% შეადგინა, ხოლო იანვარ-მაისის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 6% იყო. იანვარში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 7,8%, თებერვალში 5,4%, ხოლო მარტში 8,3% იყო. 2014 წლის აპრილში ეკონომიკური ზრდის ტემპი 2,7%-მდე დაეცა. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მაისში ისევ გაიზარდა და 6,3% შეადგინა. 2014 წლის აპრილში მშპ-ის ზრდის ტემპის ვარდნის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა, სათამაშო ბიზნესსა და კომუნალურ ბიზნესში ბრუნვის შემცირება დაასახელა. მისივე თქმით, აღნიშნულმა მთლიანი მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 0,7%-ით შეამცირა. ფინანსთა მინისტრს აპრილის თვეში ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელების სხვა გამომწვევი მიზეზები არ განუმარტავს.

„პოლიტიკის, მართვისა და კონსულტაციის კვლევითი ცენტრის“ (PMC) განმარტებით, „სახელმწიფოს მხრიდან ბიუჯეტის ხარჯების ზრდამ 2013 წლის მეოთხე კვარტალსა და 2014 წლის პირველ კვარტალში მშპ-ის ზრდის ტემპის მატება გამოიწვია. აპრილის თვეში კი ეკონომიკური ზრდის შენელება 2,7%-მდე გამოწვეული იყო სახელმწიფოს მხრიდან ფისკალური ეფექტის შენელებით“.

ეკონომიკური ზრდის ტემპის მატებასთან დაკავშირებით ანალოგიური შეფასება გააკეთა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) „2013 წლის ბოლო კვარტალში სახელმწიფოს დანახარჯების ზრდა შესაბამისად აისახა ეკონომიკური ზრდის ტემპის გაზრდაზეც“ - ნათქვამია EBRD-ის მაისის ანგარიშში.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი ზურაბ ჯაფარიძე 2013 წლის IV კვარტალსა და 2014 წლის I კვარტალში დაფიქსირებული მაღალი ზრდის ტემპს ბეიზ-ეფექტს უკავშირებს. საუბარია ისეთ ვითარებაზე, როდესაც დაბალი საწყისი ოდენობის მაჩვენებლიდან პატარა აბსოლუტური ცვლილება მაღალ პროცენტულ ზრდას იწვევს. დეპუტატის განმარტებით, „2012 წლის IV კვარტალით დაწყებული, 2013 წლის III კვარტალის ჩათვლით, მშპ-ის დაბალი ზრდა ფიქსირდებოდა. შესაბამისად, 2013 წლის მეოთხე კვარტალსა და 2014 წლის პირველ კვარტალში დაფიქსირებული მშპ-ის ზრდის მაჩვენებლები შედარებულია დაბალი ზრდის მქონე მაჩვენებლებს, რაც მაღალ პროცენტულ ცვლილებას იწვევს“.

ეკონომისტების აზრით, მიმდინარე წლის მაისში დაფიქსირებული მშპ-ის ზრდის შედარებით მაღალი ტემპი გარკვეულწილად ბეიზ-ეფექტის შედეგია. შეგახსენებთ, რომ გასული წლის მაისში მშპ-ის ზრდის ტემპი მხოლოდ 0,2%-ს შეადგენდა.

2014 წლისთვის საქართველოს მშპ-ის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი მსოფლიო ბანკის მიერ 6,3%-ით განისაზღვრა, ხოლო EBRD-ის მიერ - 4,5%-ით. მიმდინარე წლის მაისში EBRD-მა 2014 წლისთვის საქართველოს მშპ-ის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 4%-მდე შეამცირა. „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, სავარაუდოდ, გაზრდის ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნებში და შესაბამისად აისახება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე. თუმცა, მეორე მხრივ, უკრაინის კრიზისი გეოპოლიტიკური ვითარების გამო უარყოფითად მოქმედებს აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონზე (რომელშიც თავისთავად მოიაზრება საქართველოც), რაც გამოიწვევს ექსპორტის შემცირებას. ამასთან აღნიშნული რეგიონი არახელსაყრელი ხდება როგორც ინვესტირებისათვის, ასევე ტურიზმისთვის“, - ნათქვამია EBRD-ის ანგარიშში. F

EY
უკეთესი ბიზნესი,
უკეთესი მსოფლიო

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

გენერალური სპონსორი

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
იგრძენი მომავალი

მედია სპონსორი

Forbes GEORGIA

ზაზა ბიბილაშვილი – მიმდინარე მოვლენები

ჯაყოს ხიზნები

2014 წლის აპრილში „ქართული ოცნების“ ყრილობაზე ვიცე-პრემიერ კალაძის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომ მისმა პოლიტიკურმა ძალამ წელიწად-ნახევრის წინ „აღადგინა ძალადობა და უსამართლობა“, ბევრმა მექანიკურ შეცდომად მონათლა. თუმცა ფსიქოლოგიის ენაზე ამგვარ შეცდომას „ფროიდული წამოცდენა“ ჰქვია. ფროიდული წამოცდენაა, როდესაც ადამიანი უნებლიეთ ამჟღავნებს მის ქვეცნობიერში დალექილ რეალურ სურვილებსა თუ წარმოდგენებს.

მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, ძნელია არ დავეთანხმოთ კალაძეს. საქმე სწორედ აღდგენილ ძალადობასა და უსამართლობასთან გვაქვს - იმგვართან, რომელიც დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდათ საქართველოს კანონმორჩილ მოქალაქეებს. ძნელია, სხვანაირად შევაფასოთ ის ცინიკური რეალობა, რომელშიც სახელმწიფო, ერთი მხრივ, აჯილდოებს შევარდნაძისდროინდელი მილიციის ერთ-ერთ ყველაზე ოდიოზურ ფიგურას, სოსო ალავიძეს და, მეორე მხრივ, აპატიმრებს მათ, ვინც კანონმორჩილი მოქალაქეები ალავიძის მილიციისგან გაათავისუფლა; რეალობა, რომელშიც სანიმუშო ქართველი სამხედროების წინააღმდეგ შეკერილ საქმეებში მტკიცებულებად სეპარატისტი ბაღაფშის სიტყვები ფიგურირებს; რეალობა, რომელშიც პოლიტიკური პარტიის უკანონო დაფინანსების ბრალდებით ივანიშვილი(!) იჭერს გიგი უგულავას...

ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობის შემდეგ, რომელიც შეკვეთილი

ფოტო: ხათია ფაცაცია (ჯუფა)

მკვლელობის ყველა ნიშანს ატარებდა, რომლის მსგავსიც შევარდნაძის ეპოქის მერე აღარ გვინახავს და რომელიც ხელისუფლებამ ფაქტის გახმაურებიდან რამდენიმე წუთში „თვითმკვლელობად" მონათლა, ბევრმა აღნიშნა, რომ 90-იანი წლების სრულად დასაბრუნებლად მხოლოდ გატაცებული და გამოსასყიდში გაცვლილი (ან მოკლული) ბიზნესმენიღა გვაკლდა.

აღდგენილი ძალადობისა და უსამართლობის სახე არა იმდენად კონკრეტული სისხლისსამართლებრივი საქმეებია (თუმცა თავისთავად ეს საქმეები გამაოგნებელია ძიების პროცესში ჩადენილი დანაშაულების მასშტაბით), რამდენადაც ამ საქმეების კონტექსტი, რომელიც ცალსახად აჩვენებს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ღირებულებებსა და პრიორიტეტებს. როდემდე შეიძლება დავაჯეროთ ადამიანები, რომ ბოროტების იმპერიის მსახური ჩახალიანი, უდანაშაულო ადამიანების მკვლელი მარეკ დუდაევი, ანტიდასავლური იდეის მოქადაგე რელიგიური ექსტრემისტები და რუსული დაზვერვის შტატიანი ოფიცრები იმსახურებენ თავისუფლებას, ხოლო ისინი, ვინც კანონმორჩილ მოქალაქეებს ასეთი არსებებისგან იცავდნენ, ციხეში უნდა ისხდნენ?

არა მარტო ის, თუ ვის იჭერს ხელისუფლება, არამედ თუ ვის არ იჭერს ის, არის შერჩევითი სამართლის ცალსახა მიმანიშნებელი. შერჩევითია სამართალი, როცა ერთი და იმავე ტიპის ქმედება ნარმანიას მშობლის შემთხვევაში „დედობრივ მზრუნველობად" კვალიფიცირდება, ხოლო უგულავას შემთხვევაში – კრიმინალად. „ქართული ოცნების" მიერ დანერგილი სტანდარტით, პრაქტიკულად ყველა იმ „დანაშაულზე", რომლისთვისაც დევნიან წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს, დღესვე იქნებოდა შესაძლებელი ამჟამინდელი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მიცემა (სხვა, უფრო მძიმე სავარაუდო დანაშაულებს რომ არ შევეხოთ). რაც ყველაზე საგანგაშოა, „აღდგენილი ძალადობა და უსამართლობა" სრულ თანხვდენაშია რუსეთის გაცხადებულ მიზნებსა და მოთხოვნებთან...

ქართული ჯამაჰირია

„ლიბიის დიადი სოციალისტური სახალხო არაბული ჯამაჰირია" – ასე ერქვა ოფიციალურად მუამარ კადაფის სამფლობელოს. „ჯამაჰირია" ხალხის მასების მმართველობას ნიშნავს, თუმცა, რეალურად, კანონზე მაღლა მდგომი ერთი ინდივიდის შეუზღუდავ ძალაუფლებას გულისხმობდა.

ლიბიისა და ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ისტორია ყოველთვის „წინ" (განვითარებისა და თავისუფლებისკენ) არ მიდის. გვხვდება შემთხვევები, როცა განვითარებული, სეკულარული სახელმწიფოები ჩამორჩენილ, ფუნდამენტალისტურ, ცივილიზაციის პერიფერიაზე მოდრეიფე ტერიტორიებად დეგრადირდებიან. ამ სცენარისგან დაზღვეული არც საქართველო აღმოჩნდა, რომელსაც სულ რაღაც 2005 წელს აშშ-ის პრეზიდენტი „თავისუფლების ჩირაღდნად" მოიხსენიებდა, დღეს კი არანაირ ეჭვს არ იწვევს, რომ ქვეყნის რეალური მმართველი კანონს მიღმა მდგომი ოლიგარქია.

ივლისის დასაწყისში გიგი უგულავას დაპატიმრება ქვეყნის კადაფიზაციისა და ჯამაჰირიად ქცევის ერთ-ერთი ბოლო ნიშანი იყო. უგულავას დაპატიმრების შემდეგ NY Times-ი წერდა, რომ თბილისის ყოფილი მერი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე იჯდებოდა ციხეში. მაღალი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ავტორიტეტული გამოცემა ცდება: უგულავა ციხეში არა „სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე", არამედ ივანიშვილის ჯამაჰირიის დასასრულამდე იჯდება, ნებისმიერი უკანონობის ფასად. შინაგანი რწმენა მყარად გვკარნახობს, რომ არსებული პოლიტიკური რეალობის პირობებში, მას ციხიდან არავინ გამოუშვებს (ან მას და სხვა პოლიტპატიმრებს გამოუშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ოლიგარქს ყველაზე დიდი თევზის დაჭერასა და „9 წლის" დელეგიტიმაციაში დაეხმარებიან, რაც იმთავითვე მიუღწევადი ამოცანაა). ამდენად, უგულავა არა მხოლოდ კლასიკური გაგებით პოლიტპატიმარია (განსხვავებით „ოცნების" მიერ ამ სტატუსით გათავისუფლებული გრუ-ს აგენტებისგან), არამედ – ივანიშვილის პირადი პატიმარი. ამ მხრივ, ეს შევარდნაძისდროინდელი საქართველოს ანალოგიც კი არაა. ეს დაახლოებით ასლან აბაშიძის აჭარაა, ოღონდ უარესი, ვინაიდან აბაშიძისგან განსხვავებით, ჯამაჰირიის ლიდერი მთლიანად კანონს გარეთაა...

რისთვის ზის ივანიშვილის პირადი პატიმარი გიგი უგულავა ციხეში? მოდი, ყველასათვის გასაგები ენით ავხსნათ ეს შემთხვევა.

გიგი უგულავას დაპატიმრება

ქართულენოვანი რუსული მედიის მიერ ტირაჟირებულ ჭორებში, გიგი უგულავა შედარებით დაბლა დგას ზიზღის სკალაზე, ვიდრე სხვა პოლიტპატიმრები – ახალაია და მერაბიშვილი. მიუხედავად ამისა, ის იყო მერი, რომლის დროსაც მოხდა დედაქალაქის სრული ტრანსფორმაცია, მოწესრიგდა მუნიციპალური სერვისები, გალამაზდა ქალაქის ისტორიული უბნები, აშენდა ახალი პარკები და განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, რის შედეგადაც თბილისი ჩამორჩენილი პერიფერიული დასახლებიდან თანამედროვე ქალაქად იქცა. გიგი უგულავა ასევე არის ერთადერთი ცალსახად პროდასავლური პოლიტიკური ძალის ლიდერი, რომლის განადგურებაც ეგზოტიკური ცხოველებით გარშემორტყმული ოლიგარქის მოსაწყენ ცხოვრებაში ცოცხალი ვნებების გამომწვევ ერთადერთ მიზნად რჩება...

საგამოძიებო უწყებების პირველი მიზანი თვითმმართველობების გა

კონტროლება გახდა. უამრავ საქმეზე დაიწყო გამოძიება, ხდებოდა თბილისის თვითმმართველობაში დასაქმებული ადამიანების საგამოძიებო ორგანოებში მასობრივი დაბარება-დაკითხვები. ერთი მხრივ პოლიტიკური მოვლენებისა და მეორე მხრივ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ქრონოლოგიის, პერიოდულობის, ინტენსივობის თანხვდენა და ამ პროცესში კანონის მოთხოვნათა სრული უგულებელყოფა ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ გამოძიებები მიმდინარეობდა არა ობიექტური სურათის დასადგენად, არამედ წინასწარ დაკვეთილი ცრუ ლეგენდის დასადასტურებლად.

დღეის მდგომარეობით, უგულავა ოთხ საქმეზეა ბრალდებული. დეტალურად ამ საქმეებზე შეკრებილი მტკიცებულებების არადამაჯერებლობისა და არასანდოობის შესახებ საუბარი შორს წაგვიყვანს, თუმცა უნდა აღინიშნოს, ყველა საქმეში ბრალდებას გააჩნია მხოლოდ თითო მოწმე, რომლებიც თავად არიან დანაშაულის ჩამდენნი და, მოსალოდნელი სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, მზად არიან, ბრალდების მხარის მიერ შეთხზულ ლეგენდაზე მორგებული ნებისმიერი შინაარსის ჩვენებები მისცენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა გადაწყვეტილება, რომლის უკანონობასაც უგულავას ედავებიან, მიღებულია არა მის მიერ, არამედ კოლექტიური ორგანოების (საკრებულოსა და მთავრობის) მიერ, ხოლო უგულავას მიერ ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას ადასტურებენ იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროები.

2013 წლის 21 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ბესელიამ პირდაპირ ეთერში გაახმოვანა პოლიტიკური გადაწყვეტილება უგულავას დაპატიმრებასთან დაკავშირებით, პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. ბრალდების მხარე აპელირებდა უგულავას მხრიდან მოწმეზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ, თუმცა დაცვის მიერ წარდგენილ იქნა აუდიო- და ვიდეოჩანაწერები, რომლითაც ამ ფაქტზე გამოძიებისას მტკიცებულებათა ფალსიფიცირება დასტურდებოდა. უგულავა ამჯერად არ დაიჭირეს, მაგრამ სასამართლომ იგი თანამდებობიდან გადააყენა. ამ ქმედებას ბევრმა „პარტიზანული მართლმსაჯულება", ხოლო საკონსტიტუციო სასამართლომ „საიდუმლო მართლმსაჯულება" უწოდა (აღსანიშნავია, რომ თანამდებობიდან გადაყენებასთან დაკავშირებით 23 მაისს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა უგულავას სარჩელი).

30 ივნისს პროკურატურამ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით აღკვეთის დამატებითი ღონისძიების სახით უგულავას ჩამორთმეოდა პასპორტი და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები. პროკურატურა ამჯერად მიმალვის საფრთხეზე აპელირებდა. უგულავამ განაცხადა, რომ თუ მის მიმართ სასამართლო არ გამოიყენებდა დამატებით ღონისძიებას, იგი სამუშაო ვიზიტით გაემგზავრებოდა უცხოეთში. ამდენად, სასამართლოსთვის ცნობილი იყო უგულავას განზრახვა უცხოეთში გამგზავრების შესახებ. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ ჩათვალა, რომ მიმალვის საფრთხე არსებობდა და პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

ამის შემდეგ გიგი უგულავამ საჯაროდ განაცხადა, რომ აპირებდა უცხოეთში გამგზავრებას, თუმცა ამასობაში ჯამაჰირიამ ახალი უწყება „გამოაცხო" და უგულავა დილის 6 საათზე, სასამართლოს განჩინების გარეშე დააკავა. იმავე დღეს სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა უგულავას დაპატიმრების შესახებ, ისე, რომ არ გაითვალისწინა მის მიმართ აცილების საფუძვლების არსებობა, გიგი უგულავას უკანონოდ დაკავების ფაქტი, მტკიცებულებათა მოპოვებისას პროცესუალური დარღვევები, საქმეში არსებული ფალსიფიცირებული მტკიცებულებები და ის, რომ უგულავას არც ერთხელ არ დაურღვევია ადრე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების პირობები, რაც ობიექტურ ადამიანს გაუჩენდა განცდას, რომ იგი მიმალვას აპირებდა.

საყურადღებოა, რომ უგულავას მოწმედ დაბარებიდან მის ბრალდებულად დაკავებამდე არც ერთი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა. ანუ ამ შუალედში არ შექმნილა რაიმე ახალი მტკიცებულება, რომელიც სხვა, ადრე მოპოვებულ მტკიცებულებებთან ერთად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძვლებს წარმოშობდა. ამდენად, ცალსახაა, რომ უგულავას დაკავება პოლიტიკური რეპრესიების ნაწილია.

უცხოელი პროკურორების ჩამოყვანა პოლიტიკური რეპრესიების დასავლეთისთვის მისაღები ფორმით შესაფუთად კრახისთვის არის განწირული.

გიგი უგულავას საქმეების შეფასებისას მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მის ბრალდებებში „თანამზრახველებად" ნახსენებ პირთაგან ერთი (საბანაძე) პოლიტლტოლვილის სტატუსით სარგებლობს ევროპაში, ხოლო მეორე (კეზერაშვილი) საფრანგეთის სასამარ

98.5 FM
შოკოლადი

ნუ მკითხავ რატომ!

2 985 985 | info@radioshokoladi.com | facebook.com/shokoladi

თლომ არ გადმოსცა ექსტრადირებაზე საქართველოს მთავრობას პოლიტიკური დევნის ნიშნების არსებობის გამო.

გიგი უგულავას საქმეებზე განაჩენი ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ალბათ არ არსებობს ინტელექტუალურად პატიოსანი დამკვირვებელი, რომელიც უგულავას საქმეების გამოძიებასა და მის დაპატიმრებაში კანონის უზენაესობას და არა „აღდგენილ ძალადობასა და უსამართლობას“ დაინახავდა.

ჯაყოს ხიზნები

ამრიგად, გიგი უგულავას პატიმრობის სამართლებრივი საფუძველი, რომელიც გაუძლებდა კანონის უზენაესობის პოზიციიდან მოსაუბრე ინტელექტუალურად კეთილსინდისიერი ადამიანის კრიტიკას, არ არსებობს. რჩება მხოლოდ ერთი „არგუმენტი“ - „ჩვენ ხომ ისედაც ყველამ ვიცით, რომ ეს ადამიანი დამნაშავეა?“ მხოლოდ ამიტომ ვხუჭავთ თვალს უკანონობაზე! მაგრამ აქ ორი საკვანძო მომენტია. პირველი: არავინ არაფერი შეიძლება „იცოდეს“ დანამდვილებით, სანამ ბრალდებები სათანადო წესით არ დამტკიცდება. დღეის მდგომარეობით კი არც ერთი ჭორის ნამდვილობა არ დადასტურებულა არც გიგი უგულავას და არც სხვა პოლიტპატიმართა შემთხვევებში. მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილის მთელი ძალისხმევა და სახელმწიფოს მთელი ადმინისტრაციული რესურსი მეორე წელია, მხოლოდ ამ პირების ბრალეულობის დამტკიცებისკენ არის მიმართული. ხოლო იმის გათვალისწინებით, თუ რა მეთოდებით და რა პერსონაჟებით იბრძვის ჯამაჰირია, დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ არც მომავალში დადასტურდება. და მეორე: ის პოლიტიკურად აქტიური ადამიანები, რომლებიც 2012 წლის შემდეგ ერთბაშად აპოლიტიკურები გახდნენ, ყოველთვის აპელირებდნენ პროცედურული დარღვევებით. მათ განა კრებსითი „ჩახალიანი“ მოსწონდათ! - ეს აზრადაც არ გაივლოთ! - მათ არ მოსწონდათ, რომ კრებსითი „ჩახალიანი“ წინა ხელისუფლების პირობებში „არასწორი მუხლით“ იჯდა ციხეში (ისინი ხომ პროცედურული დემოკრატიის პირუთვნელი მომხრეები იყვნენ!). სწორედ ამიტომ გახდნენ *იძულებული*, გაეთავისუფლებინათ „ჩახალიანები“ ციხიდან! აი უგულავას, ახალაიასა და მერაბიშვილის შემთხვევაში კი სტანდარტი იცვლება: აქ ხომ „ისედაც ყველამ ყველაფერი ვიცით“, რაღა საჭიროა მტკიცებულებები?

რეალურად, პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებული პირები ციხეში მხოლოდ იმიტომ სხედან, რომ ასეთია ჯამაჰირიის ლიდერის ნება, რომლის აღსრულებისთვის ერთმორწმუნე მტერმა ნიადაგი ქართულენოვანი რუსული მედიის მეშვეობით მოამზადა. ამ ფონზე, უცხოელი პროკურორების ჩამოყვანა პოლიტიკური რეპრესიების დასავლეთისთვის მისაღები ფორმით შესაფუთად კრახისთვის არის განწირული. ამ გაგანია 21-ე საუკუნეში შეიძლება უწყვეტი ელექტრომომარაგება და კარგი გზები ისევ სანატრელი გახდა, მაგრამ პოლიტიკური ტერორის გამართლება ასე მარტივად ვერ მოხერხდება, მიუხედავად იმ დეტერმინაციისა, რომელსაც ჯამაჰირიის ლიდერი ავლენს. ასევე საკითხავია, ვინ აფინანსებს პროკურორების ჩამოყვანას: თუ თავად ივანიშვილი, მაშინ ამ ქმედების კრედიბილობა იმთავითვე ნულის ტოლია, ხოლო თუ დაფინანსების წყარო ბიუჯეტია, მაშინ ეს დანაშაულიცაა, რადგან ნიშნავს, რომ სახელმწიფო რესურსი პირად/პარტიულ მიზნებს ხმარდება.

ნაციონალური მოძრაობის მმართველობის წლებში საქართველო იმდენად განვითარდა, რომ ქვეყანაში, რომელიც 2003 წლამდე პოლიტიკურ ჯუნგლებს წარმოადგენდა და რომელშიც ჯუნგლის კანონი კანონობდა, ევროპული ყაიდის მემარცხენე იდეებმა დაიწყო ფეხის მოკიდება: გავკეკლუცდით, რაღაცები ვიუკადრისეთ, ახალი მოთხოვნილებები გაგვიჩნდა, დაგვავიწყდა, რა რეგიონში ვცხოვრობთ, დაგვავიწყდა, როგორ ვცხოვრობდით ადრე და როგორ ცხოვრობენ ჩვენი მეზობლები დღემდე. რაც მთავარია, დაგვავიწყდა, რომ ჩვენს თავისუფლებას ყოველდღიურად ემუქრება საფრთხე ბოროტების იმპერიის მხრიდან.

შედეგად, ხელისუფლებაში მოვიდა ტლანქი, გაუნათლებელი, პატივმოყვარე, მტაცებლური ინსტინქტებით მართული ოლიგარქი - XXI საუკუნის ჯაყო - რომელმაც სათავისოდ გამოიყენა ჩვენი გულმავიწყობა და ჩვენ მიერ რეალური საფრთხეების გაუცნობიერებლობა. კადაფიზაციამ საქართველოში დააბრუნა აპათია და უიმედობა. უამრავი წარმატებული, პატიოსანი, წესიერი ადამიანი ფიქრობს ქვეყნიდან გაქცევაზე. იმედგაცრუება მატულობს, როცა ვხედავთ, რომ ჯამაჰირიის ლიდერი 90-იანი წლების რუსული მეთოდებით მართავს, საპასუხოდ კი მას თეთრი ხელთათმანებით ეპაექრებიან. ის ტრიბუნაზე ზის და თავისუფლებისთვის მებრძოლი გუნდის მოთამაშეებს სათითაოდ, სნაიპერის შაშხანით თიშავს თამაშიდან, კაცნაკლული გუნდი კი ზედმიწევნით კორექტულად აგრძელებს ასპარეზობას... ოლიგარქი მართავს ადამიანთა უმდაბლეს ინსტინქტებზე თამაშით, ირაციონალური შიშით, ზიზღით, ჭორებით. მას კი იმთავითვე წაგებულ, რაციონალურ მსჯელობას უპირისპირებენ და თვინიერად ელიან, როდის დააპატიმრებენ მორიგ ოპოზიციონერს, როდის „მოიკლავს თავს“ მორიგი მოწმე და ა.შ.

დღეს ჩვენ ყველა - საქართველოს წესიერი, კანონმორჩილი მოქალაქეები - ჯაყოს ხიზნები ვართ. მაგრამ, ისევე როგორც თეიმურაზ ხევისთავის შემთხვევაში, ეს მხოლოდ ჩვენი ბრალია. განვითარების წლებმა შეგვიქმნა ილუზია, რომ მართლა ცივილიზებულ ქვეყანაში ვცხოვრობდით და თვითგადარჩენის ინსტინქტი დაგვიჩლუნგა. შედეგად, იმპოტენტ ინტელიგენტებად და, საბოლოოდ, ჯაყოს ხიზნებად ვიქეცით. შეიძლება არ მოგვწონდეს, მაგრამ ასეა. F

ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

ზურაბ ჭიაბერაშვილი – მიმდინარე მოვლენები

მოსკოვს ცრემლების **არ სჯერა**

როგორ აიძულა პუტინმა დასავლეთი, დაპირისპირებოდა რუსეთს.

„რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა და ქმედება ყოველთვის იყო სხვისი ხელყოფა იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას სხვა მთავრობების აპათია და უმოქმედობა მისცემდა. მაგრამ როგორც კი გააზრებული წინააღმდეგობა ხვდება, ის ყოველთვის ჩერდება და უკან იხევს".

ლორდი პალმერსტონი,
150 წლის წინათ, ყირიმის ომის დროს.

ფოტო: REUTERS/DAVID GRAY

1709 წელს პოლტავასთან

(უკრაინა) გადაწყდა ბევრი რამ, ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ ევროპისათვის, როდესაც პეტრე I-მა გადამწყვეტი ბრძოლა მოუგო კარლოს XII-ს.

გაგახსენებთ პეტრე I-ის დოქტრინას: რუსეთს ორი ფანჯარა აქვს ევროპაში – ბალტიისა და შავი ზღვები. სამი საუკუნეა, ეს დოქტრინა განსაზღვრავს რუსეთის სტრატეგიას დასავლეთის მიმართულებით. ბალტიის სამი სახელმწიფოს ნატოში გაწევრიანებამ, კალინინგრადის ოლქის არსებობის მიუხედავად, მნიშვნელოვნად დაავიწროვა ეს ფანჯარა.

უკრაინის ევროპული არჩევანის გამარჯვება რუსეთისათვის ნიშნავს „შავი ზღვის ფანჯრის" დავიწროებას და საქართველოსაც შანსს უქმნის, რომ მშვიდობიან, სტაბილურ და ხალხის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ ევროპულ სახლში დავიდოთ ბინა.

ასე რომ, სამი საუკუნის შემდეგ ისევ პოლტავასთან წყდება აღმოსავლეთ ევროპის მომავალი, მათ შორის – ჩვენიც.

არჩევანის პირისპირ

კრემლის ყოველი აგრესიული ნაბიჯის შემდეგ ქართული (და არა მარტო) საზოგადოება დასავლეთის – შეერთებული შტატებისა და ევროპის – მკვეთრი რეაქციის მოლოდინშია. „მკვეთრ რეაქციაში" პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრების, კანცლერების განცხადებები, თუნდაც მკვეთრი, თუნდაც ერთობლივი, არ იგულისხმება. ადამიანები უფრო იმას ელიან, რომ პუტინის სამხედრო ნაბიჯებს დასავლეთის მხრიდან ასევე სამხედრო ნაბიჯები დაუპირისპირდება.

შესაბამისად, დასავლელი ლიდერების მიერ გაკეთებულ განცხადებებში გამოხატული შეშფოთება ანდა დასავლური ინსტიტუტების მიერ მიღებულ რეზოლუციებში კრემლის ქმედებების დაგმობა ბევრი ადამიანის ფრუსტრაციას იწვევს. დიპლომატიური ენის მიღმა რუსეთის სამეზობლოში მცხოვრებ ხალხებს კონკრეტული ქმედების დანახვა უნდათ, რადგან მათ კარგად უწყიან: მოსკოვს ცრემლების არ სჯერა.

კრემლის აგრესიულმა, რევიზიონისტულმა პოლიტიკამ, რაც საბჭოთა კავშირის შემდგომ შექმნილი უსაფრთხოების სისტემის დანგრევის მცდელობაში გამოიხატება, ყველა ის ზღუდე მოარღვია, რაც თავად რუსეთს დაიცავდა დასავლეთის მართლაცდა მკვეთრი რეაქციისაგან. ამ წერილში შევეცდები, აღვწერო, რა გზა გაიარა ამ თვალსაზრისით რუსეთმა საბჭოთა კავშირის დაშლის დროიდან მოყოლებული და როგორ აიძულა მან თავადვე დასავლეთი, „ცივი ომის" პოლიტიკას დაჰბრუნებოდა.

1991-2000: რუსეთი საფრთხეს აღარ წარმოადგენს

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დასავლეთში გაბატონებული იყო თვალსაზრისი, რომ რუსეთის დემოკრატიული გარდაქმნა შესაძლებელია; რომ მისი აგრესიული ქმედებები საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობაა, რომელსაც რუსეთი თანდათან მოიშორებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომაც გაგრძელებულმა ეკონომიკურმა

ვარდნამ, ნავთობის რეკორდულად დაბალმა ფასმა და ელცინის მმართველობის დროინდელმა ანარქიამ რუსეთი საოცრად დაასუსტა. მან პოზიციები დაკარგა ყველა მიმართულებით, რომელთაგან გამოვყოფ ორს:

— დაირღვა სტრატეგიული ბირთვული ბალანსი. ბირთვული ქობინების სიუხვის მიუხედავად, რუსეთი ვეღარ აწარმოებდა საკმარისი რაოდენობის რაკეტებს (ელცინის მმართველობის ბოლო წლებში უახლესი ტიპის „ტოპოლ-მ“ წელიწადში სულ 1 ან 2 იწარმოებოდა). თავდაცვითი სარაკეტო სისტემების განვითარებით კი შეერთებულმა შტატებმა იმდენად გაასწრო რუსეთს, რომ უკვე პუტინის პერიოდში ვაშინგტონ-მოსკოვის მოლაპარაკებათა ძირითადმა თემამ ბირთვული მუხტის შემცირებიდან სწორედ თავდაცვით სისტემებში პარიტეტის აღდგენაზე გადაინაცვლა.

— მართალია, უაღრესად დესტრუქციულ როლს თამაშობდა ბალკანეთზე, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ყოფილი ვარშავის პაქტის ქვეყნების NATO-ში გაწევრიანებას, თავად შექმნა კონფლიქტის კერები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიებზე, თავისი ქმედებები ჩეჩნეთში გაუტოლა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებების კატეგორიას და ცდილობდა, ხელი შეეშალა მისი ტერიტორიის გვერდის ავლით აზიიდან ევროპისაკენ მიმავალი გაზ- და ნავთობსადენების აშენებისათვის, რუსეთი იმ პერიოდში მაინც საბჭოთა კავშირის აჩრდილიღა იყო.

იგი სრულად გამოეთიშა აზიის უდიდეს ნაწილში, აფრიკასა და ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში მიმდინარე მოვლენებს. ყველაფერი კი ეუთოს 1999 წლის სტამბულის მინისტერიალით დასრულდა, როცა შეზარხოშებული ელცინი პრეზიდენტმა კლინტონმა აიძულა, საქართველოდან და მოლდოვიდან ჯარების გაყვანის ვალდებულება აეღო.

მეორე მხრივ, დასავლეთი გრძობდა, რომ ელცინის მმართველობის დროს არსებული ქაოსი და ეკონომიკური სიდუხჭირე ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ხელისუფლებაში კომუნისტების დასაბრუნებლად (გავიხსენოთ 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნები). ამიტომ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის მომენტში დასავლეთი სულაც არ იყო წინააღმდეგი, რუსეთში წესრიგი აღდგენილიყო (თუნდაც ავტორიტარიზმისადმი მიდრეკილი ტენდენციებით) იმ პირობით, რომ ახალი მმართველი გააგრძელებდა დასავლეთთან თანამშრომლობას საერთაშორისო მშვიდობის მიღწევის საქმეში, აგრეთვე, მოახდენდა რუსული ეკონომიკის ჩართვას საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში.

2000-2008: რუსეთი ჯერ კიდევ არაა საფრთხე

ჩეჩნეთის მეორე ომმა (რომელმაც მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი სისასტიკით ელცინის პერიოდში, 1994-96 წლებში წარმოებულ პირველ ომს გადააჭარბა), მედიაზე დამყარებულმა ტოტალურმა კონტროლმა, ნავთობისა და გაზის სექტორებში სახელმწიფო მონოპოლიის აღდგენამ და კრემლის ძალაუფლების ვერტიკალზე მთლიანად ჩამოკიდებამ, „კურსკის“, „ნორდ-ოსტისა“ თუ სხვა ტრაგიკულ მოვლენებში ხელისუფლების ქცევამ სერიოზულად დააეჭვა ის ადამიანები დასავლეთში, რომლებიც რუსეთის სწრაფ დემოკრატიზაციაზე ოცნებობდნენ.

ნარატივი შეიცვალა: რუსეთის დემოკრატიული გარდაქმნა შესაძლებელია, – ამბობდნენ პუტინის ავტორიტარიზმით იმედგაცრუებულნი, – მაგრამ ეს გრძელვადიანი პერსპექტივაა, შესაბამისად, მოსკოვთან თანამშრომლობა უნდა გავაგრძელოთ.

თანამშრომლობის საჭიროება რეალურად არსებობდა: 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა შეერთებული შტატების მიწაზე, შუაგულ ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, ცივილიზებული სამყარო ტერორიზმთან მასშტაბური ბრძოლის აუცილებლობის წინაშე დააყენა. ავღანეთში წარმოებული სამხედრო ოპერაციის მომარაგების 60% რუსეთის გავლით ხდებოდა, რაც კრემლთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნების აუცილებლობას ქმნიდა.

გრძნობდა რა, რომ შეერთებული შტატებისათვის რუსეთის არაკონფრონტაციული პოზიცია არსებითი იყო ავღანეთისა და ერაყის სამხედრო კამპანიების პირობებში (ირანის ბირთვული პროგრამის საერთაშორისო კონტროლის საკითხში რუსეთის როლს ამჯერად არ ვეხები – ზ.ჭ.), პუტინმა სრულიად „უმტკივნეულოდ“, საერთაშორისო არენაზე ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე დაამყარა ავტორიტარიზმი ქვეყნის შიგნით და დაიწყო კლანჭების გამოჩენა ქვეყნის გარეთ (ქვეყნის შიგნით ავტორიტარიზმის დამყარებაზე დასავლეთის სუსტი კრიტიკის პასუხად, კრემლმა „სუვერენული დემოკრატიის“ იდეა წამოაყენა: რუსეთს (და მის მეზობლებს) საკუთარი ისტორია და მმართველობის ტრადიცია აქვთ. ამიტომ დემოკრატია, რომელიც რუსეთშია, ვერ იქნება დასავლურის ზუსტი ანალოგი და ის შეზავებული იქნება ადგილობრივი ელემენტებით).

შესაბამისად, დასავლეთში ძლიერდება ნარატივი: რუსებსაც უნდა გავუგოთ. საბჭოთა კავშირის დაშლითა და ელცინის პერიოდის ანარქიით 90-იან წლებში მათ ეროვნულ თავმოყვარეობაზე დიდი დარტყმა მიიღეს. არც ჩვენ (დასავლეთი) ვიქცეოდით მთლად ღირსეულად – ვცდილობდით, კრემლის სისუსტით გვესარგებლა და მისი ყოფილი სატელიტები NATO-ში მივიღეთ. შესაბამისად, პუტინის ავტორიტარიზმი ქვეყნის შიგნით რეაქციაა ელცინისდროინდელ ანარქიაზე (ხალხს უნდა წესრიგი), ხოლო „ახლო საზღვარგარეთის“ კონცეფცია (რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთის სატელიტებად უნდა დარჩნენ) – ჩვენსავე (ანუ დასავლეთის – ზ.ჭ.) ქცევაზე 90-იან წლებში.

სწორედ ამგვარი ნარატივის პირობებში ეთქვა უარი NATO-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე, MAP-ზე, უარი საქართველოს 2008 წლის აპრილში, რაც პუტინმა „მწვანე შუქად“ აღიქვა: მან ჩათვალა, რომ კიდევ უფრო აგრესიულად უნდა ემოქმედა და იმოქმედა კიდეც. 2008 წლის აგვისტოში რუსეთი საქართველოში შემოიჭრა, 1992-93 წლებიდან დე ფაქტო ოკუპირებული რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის – დე იურე ოკუპაცია მოახ-

დინა და ეს რეგიონები „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ აღიარა.

დასავლეთში არსებული იმედი, რომ საბჭოთა კავშირი ისტორიას ჩაჰბარდა, მოკვდა, მაგრამ ოცნება - რომ საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ქცევა წითელ ხაზებს არ გადაკვეთდა - კვლავ მძლავრ ტენდენციად რჩებოდა.

2008-2013: რუსეთი საფრთხეა, მაგრამ მოვლადი

2008 წლის აგვისტოს ომზე შეერთებული შტატების რეაქციაზე მეტყველებს საზოგადოების მიერ ყველაზე ნაკლებად დამახსოვრებული ერთი ფაქტი: საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი შეიარაღებული აგრესიით გაყოყოჩებულმა პუტინმა ვენესუელის მიმართულებით სამხედრო ხომალდი დაძრა. „ჯერ ჩააღწიოს“, - ასეთი იყო თეთრი სახლის პრესსპიკერის პასუხი, როდესაც მას ბრიფინგზე ამ ფაქტის კომენტირება სთხოვეს.

პუტინის ფაფხურზე (ჩვენთვის იყო ეს ტრაგედია, თორემ ნამდვილად „ფაფხური“ იყო გლობალური მასშტაბით) ამგვარი ირონიული დამოკიდებულების მიუხედავად, 2008 წლის ომმა სერიოზული უხერხულობა შეუქმნა მათ, ვინც ცოტა ხნით ადრე იმედოვნებდა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე დამოკიდებულების გაზრდა, ნავთობისა და გაზის გასაღების ევროპულ ბაზარზე პოზიციების შენარჩუნების სურვილი კრემლს უფრო მოზომილი საგარეო პოლიტიკის წარმოებას აიძულებდა.

საქართველოში რუსეთის ინტერვენციას უკრაინაში პრორუსული ხელისუფლების სათავეში მოსვლა, პროდასავლური ოპოზიციის განადგურების მცდელობა და ყირიმში, სევასტოპოლში რუსეთის საზღვაო ფლოტის ყოფნის 2042 წლამდე დაკანონება (კიდევ 5 წლით გაგრძელების უფლებით) მოჰყვა.

მაგრამ დასავლეთს რუსეთისათვის არ ეცალა. 2008-2013 წლებში მომხდარმა რამდენიმე დაგეგმილმა და დაუგეგმავმა მოვლენამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა იმაზე, რომ რუსეთის აგრესიული, რევიზიონისტული (საბჭოთა კავშირის შემდგომ შექმნილი საერთაშორისო წესრიგის გადასინჯვაზე ორიენტირებული) და რევანშისტული პოლიტიკა დასავლეთის მხრიდან, პრაქტიკულად, უპასუხო დარჩა და პუტინმა კიდევ უფრო მეტი აგრესია გამოავლინა. ამ მოვლენებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

ხელისუფლების „ცვლილება“ რუსეთში. პრემიერ მედვედევის გაპრეზიდენტებამ გააცოცხლა ამ პერიოდისათვის უკვე მინავლებული იმედი, რომ რუსეთის დემოკრატიული გარდაქმნა შესაძლებელია. დასავლეთში „ორ რუსეთსა“ (პუტინისა და მედვედევის) და ბიზნესზე ორიენტირებული „მედვედევის რუსეთის“ მხარდაჭერის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ;

ხელისუფლების ცვლილება შეერთებულ შტატებში. დასავლეთში (განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპაში) არსებობდა მოსაზრება, რომ რუსეთის აგრესიული ქცევა პრეზიდენტ ბუშის აგრესიულ საგარეო პოლიტიკაზე პასუხი იყო (ამ მოსაზრების უსაფუძვლობასა და იმ მოტივაციაზე, რატომ იზიარებდა ამ აზრს დასავლეთევროპული პოლიტიკური ელიტა, აქ არ ვისაუბრებ - ზ.ჭ.). შესაბამისად, პრეზიდენტმა ობამამ რუსეთთან „გადატვირთვის პოლიტიკის“ გამოცხადებით არა მხოლოდ რუსეთის ტკბილი სიტყვით შემობრუნება სცადა, არამედ თავის ევროპელ მეკავშირეებსაც „გაუგორა კოჭი“;

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. 2008 წლის უძრავი ქონების ბაზრის კოლაფსმა შეერთებულ შტატებში მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს მისცა ბიძგი, რამაც დასავლეთის მთავრობები რთული საფინანსო-საბიუჯეტო პრობლემების წინაშე დააყენა. იმ მომენტში რუსეთთან დაპირისპირება „ახალი ფრონტის“ გახსნას ჰგავდა, რაც, ბუნებრივია, არავის აძლევდა ხელს, მით უმეტეს - პოლიტიკოსებს, რომლებსაც საკუთარ ქვეყნებში არჩევნები ჰქონდათ მოსაგები ისედაც გაზრდილი უმუშევრობის ფონზე;

არაბული გაზაფხული. ერთი ტუნისელი გარემოვაჭრის მიერ პოლიციელის ქმედებისადმი პროტესტის ნიშნად თავის დაწვამ ბიძგი იმგვარ მოვლენებს მისცა, რამაც მსოფლიო ყურადღების ცენტრად არაბული სამყარო აქცია. „ახლო საზღვარგარეთში“ რუსეთის აგრესიული პოლიტიკითა და ვაშინგტონის მიერ გამოცხადებული „გადატვირთვის პოლიტიკით“ ისედაც შეშფოთებული აღმოსავლეთ- (პოლონეთი, რუმინეთი) და ჩრდილოევროპელები (შვედეთი, ბალტიის ქვეყნები) დიდი გაჭირვებით ახერხებდნენ თავიანთი დასავლეთევროპელი პარტნიორების დარწმუნებას, რომ ევროპის აღმოსავლეთი სამეზობლო (მოლდოვა, უკრაინა, საქართველო) არანაკლებ პრიორიტეტული უნდა ყოფილიყო, ვიდრე ევროპის სამხრეთით მაღრიბული სამეზობლო.

დიპლომატიური ენის მიღმა რუსეთის სამეზობლოში მცხოვრებ ხალხებს კონკრეტული ქმედების დანახვა უნდათ, რადგან მათ კარგად უწყიან: მოსკოვს ცრემლების არ სჯერა.

ამ პერიოდში ნელ-ნელა ნათელი გახდა რუსეთის რევანშისტული და რევიზიონისტული ქცევა, რასაც ხელი შეუწყო კრემლის მიერ ევრაზიული კავშირის იდეის წამოყენებამ და საბჭოთა კავშირის ამ სახეცვლილი ფორმით აღდგენისაკენ გადადგმულმა კონკრეტულმა ნაბიჯებმა.

2008 წელს, აგვისტოს ომის ფონზე, ვენესუელაში სამხედრო გემის გაგზავნა იმის სიმბოლური გამოხატულება იყო, რომ, თუკი „ახლო საზღვარგარეთში" პოზიციებს გაიმყარებდა, კრემლი იმ რეგიონებსაც მისწვდებოდა, სადაც შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, კონკურენტის გარეშე დარჩა.

2013 წელს სირიის კრიზისის „მოგვარებაში" მოსკოვის როლის გაძლიერება ამ ამბიციის მკაფიო გამოვლინება იყო, რასაც ხელი ვაშინგტონის „გადატვირთვის პოლიტიკით" მიღებულმა არცთუ დადებითმა საერთაშორისო კონტექსტმა შეუწყო ხელი.

2008 წლიდან და უფრო ადრე რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, 2012 წლის იანვარში დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გავრცელებული ერთი კვლევის მონაცემების თანახმად, ამერიკული პოლიტიკური ელიტის 48% შეერთებული შტატების მთავარ კონკურენტად მსოფლიო არენაზე ჩინეთს ასახელებდა, რუსეთს კი მხოლოდ 15%. ეს განწყობა კი ზუსტად ასახავს თეთრი სახლის პრესსპიკერის ირონიულ კომენტარში – „ჯერ ჩააღწიოს" – გამოხატულ დამოკიდებულებას.

შესაბამისად, ამ პერიოდში ასეთი ნარატივი მძლავრობდა: რუსეთი საფრთხეა, მაგრამ საფრთხეა ლოკალურად (მისსავე სამეზობლოში) და უსაფრთხოების ევროპული სისტემა (ეუთო) ადეკვატურია მის დასაბალანსებლად.

2014-დან: რუსეთი რეალური საფრთხეა ევროპისთვის (და არა მარტო)

ქართველებმა 2008 წელსვე ვიცოდით, რომ რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს არ დასჯერდებოდა, მაგრამ ზემოჩამოთვლილი სხვა პრობლემებით დატვირთულ დასავლეთს მაშინ ერჩივნა, პუტინის აგრესიულობა ბუშის მცდარი პოლიტიკისა და ამ მცდარი პოლიტიკით წახალისებული ადგილობრივი ლიდერების (მაგალითად, პრეზიდენტი სააკაშვილი) „შეცდომებისათვის" მიეწერა.

პირველი გამოფხიზლება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე უარის სათქმელად სომხეთისა და უკრაინის ხელისუფლებებზე კრემლის მხრიდან განხორციელებულ ღია და დაუფარავ მცდელობას მოჰყვა. დასავლური პოლიტიკური ელიტის რუსეთისადმი ლოიალური მიდგომების მომხრე ნაწილი გარკვეულწილად ლეგიტიმურად მიიჩნევდა NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოებაზე რუსეთის მძაფრ რეაქციას, მაგრამ ამ ნაწილისთვისაც კი მიუღებელი აღმოჩნდა კრემლის მიერ ევროკავშირსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისათვის ხელის შეშლა. არადა არაფერი მოულოდნელი ამაში არ ყოფილა. რუსეთს არ უნდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დასავლეთთან დაახლოება არა მხოლოდ სამხედრო თანამშრომლობის, არამედ ეკონომიკურ სფეროშიც. პუტინმა კარგად იცის, რომ ევროკავშირთან ეკონომიკურად დაახლოებული და წელგამართული სახელმწიფოები კრემლის ჭკუაზე ნამდვილად არ ივლიან.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ 1975 წლიდან ნალოლიავები და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ გამყარებული უსაფრთხოების ევროპული არქიტექტურა საერთოდ თავდაყირა დააყენა. თუმცა აქაც მოიძებნა „გამართლება": რუსეთი შავი ზღვის დაკარგვას რომ არ დაუშვებდა, ხომ ვიცოდით.

ყირიმს დონეცკი და ლუგანსკი მოჰყვა. დონეცკსა და ლუგანსკს – მალაიზიის ავიახაზების სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოდგება. ბოლო ექვსი თვის მოვლენათა ჯაჭვი 70-80-იანი წლების „ცივი ომის" პერიოდს უფრო შეესაბამება, ვიდრე 21-ე საუკუნის დასაწყისს.

შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მიერ რუსეთისათვის ეკონომიკური სანქციების დაწესებამ (წერილის დაწერის მომენტისათვის ვაშინგტონი მე-3 დონის სანქციებზე გადავიდა), „დიდი რვიანიდან" რუსეთის გარიცხვამ, სამხედრო და უსაფრთხოების სფეროებში დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან რუსეთთან თანამშრომლობის გაწყვეტამ, პრაქტიკულად, მსოფლიო უკვე დააბრუნა „ცივი ომის" დროს არსებული დაპირისპირების მდგომარეობაში.

შესაძლოა, ბევრ ადამიანს ეს ნაბიჯები არაადეკვატურად ეჩვენება (ამით დავიწყეთ ეს წერილიც) და რუსეთის იძულება, რომ მან ხელი აიღოს რევიზიონისტულ საგარეო პოლიტიკაზე, გაცილებით უფრო სწრაფად უნდა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ:

— ცივილიზებული სამყაროსგან რუსეთის იზოლირებას დრო სჭირდება (ვიდრე, მაგალითად, ევროპა კიდევ უფრო შეამცირებს რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულებას ანდა იპოვის ალტერნატიულ საექსპორტო ბაზარს საკუთარი პროდუქციისთვის), ხოლო

— ამ იზოლირებით გამოწვეული რუსეთისათვის ნეგატიური ეკონომიკური ეფექტის მიღებას – ასევე რამდენიმე წელი. თუმცა ეკონომიკური სანქციების 2 დონით რუსეთისათვის მიყენებული ზიანი უკვე საგრძნობია.

ფაქტია, რომ რუსეთმა თავად აიძულა დასავლეთი, ასეთი ნაბიჯები გადაედგა. პუტინმა იმდენად გადაღუნა ჯოხი, რომ გადატეხა. მაგრამ მას სხვა არჩევანი არც ჰქონდა: რაც უფრო ავტორიტარული გახდა ქვეყნის შიგნით, მით უფრო აგრესიული და რევიზიონისტული ქცევა სჭირდებოდა ქვეყნის გარეთ; და, პირიქით, რაც უფრო აგრესიული და რევიზიონისტული იყო იგი ქვეყნის გარეთ, მით უფრო ძლიერი ავტორიტარიზმი სჭირდებოდა ქვეყნის შიგნით (საერთაშორისო სანქციებით გამოწვეული უკმაყოფილების დასათრგუნად).

ნათელია, რომ სწორედ ეს ჩაკეტილი წრე მოუღებს ბოლოს პუტინს, „სუვერენული დემოკრატიისა" და „ახლო საზღვარგარეთის" მისეულ კონცეფციებს და საბჭოთა კავშირის აღდგენის უიმედო მცდელობას. F

ხალიჩა ამერიკაში

$150-ის ღირებულების მანქანის იატაკის ხალიჩების დროშაში გახვევით, WeatherTech-ის დევიდ მაკნილი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მოულოდნელ ლუქსის კლასის ბრენდს ქმნის.

ავტორი: დეილ ბასი

დამოუკიდებელი მწარმოებელი: აღმასრულებელი დირექტორი მაკნილის ქარხნებში ილინოისის გარეუბან ბოლინგბრუკში 1000 ადამიანი მუშაობს.

სუპერთასის მეორე თხუთმეტი წუთის დაწყებიდან სამ წუთში, მალევე მას შემდეგ, რაც ამერიკის ბანკის (Bank of America) რეკლამა გავიდა U2-ს ახალი სიმღერითა და ტიმ ტიბოუს მონაწილეობით, რომელიც T-Mobile-მა მოისყიდა, საინტერესო 30-წამიანმა რგოლმა კორპორაციული რეკლამის შემქმნელების უხარვეზო მუშაობა დაარღვია. ის გამოიყურებოდა, როგორც ადგილობრივი საკაბელოს რეკლამა: ბანკირი, იურისტი და კაცი ჩაფხუტით პირდაპირ კამერაში იყურებიან და მეწარმეს, რომელიც ცდილობს საქონლის წარმოებას, მუშაკების დაქირავებას და ობიექტების აშენებას აშშ-ში, ეუბნებიან: „შენ არ შეგიძლია ამის გაკეთება“. ეს მეტისმეტად ძვირია. მეტისმეტად სარისკოა. ის მათ ყურადღებას არ აქცევს და იმარჯვებს.

რა თქმა უნდა, უცნაური არაფერი არ არის იმაში, რომ, საქონლის გაყიდვის მიზნით, დროშაში გაეხვიო. სექსის შემდეგ, ეს რეკლამაში ყველაზე აშკარა თემაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ისე მოხდა, რომ ეს რეკლამა ასახავდა მსოფლიოს ერთ-ერთი თავისებური, ლუქსის კლასის საქონლის მწარმოებელი კომპანიის რეალურ ისტორიას: ეს არის WeatherTech-ი, ჩიკაგოს რაიონში განლაგებული, მანქანის იატაკის ხალიჩების მწარმოებელი. ოღონდ ძვირად ღირებული მანქანების იატაკის ხალიჩების მწარმოებელი, რომელთაგან ყველა აშშ-შია დამზადებული.

„ეს იყო ევოლუციური ნაბიჯი, ინვესტიცია ჩვენს მომავალში, WeatherTech-ის სახელის ბრენდირებისა და მისი მთელ ამერიკაში გავრცელების დარგში“, – ამბობს WeatherTech-ის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი და დამაარსებელი, 55 წლის დევიდ მაკნილი, როდესაც მას ეკითხებიან, თუ რატომ გადაიხადა $4 მილიონი ტელევიზიაში რეკლამის განთავსებისთვის, რომელიც მის საკუთარ გამოცდილებას ემყარებოდა. „და ეს დაგვეხმარა მესიჯის გავრცელებაში, რომელიც ძალიან ახლოა ჩემთვის: აშშ-ის წარმოების მნიშვნელობა, ჩვენი სამრეწველო ინფრასტრუქტურა, ამერიკული ნედლეულის გამოყენება და ამერიკელი მუშაკების დაქირავება“.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ მაკნილი ჯინგოისტი სუპერპატრიოტია. იმის მიუხედავად, რომ არსებობს გამართლებული საექსპლუატაციო მიზეზები იმისთვის, რათა მისი წარმოება ადგილობრივად დარჩეს, მისთვის მანქანის იატაკის $150-იანი (საშუალოდ) ხალიჩების ამერიკაში წარმოების დიდი სტიმული ის არის, რომ აუტსორსინგის (გარე რესურსების მოზიდვის) ეპოქაში, „დამზადებულია აშშ-ში“ კარგად იყიდება. მაკნილი ამ მიდგომაზე დიდ იმედებს ამყარებს. მას დასაქმებული ჰყავს 1000 მუშაკი ექვს ქარხანაში და დაკავებული აქვს 400 000 კვადრატული ფუტი საქარხნო ფართი ჩიკაგოს გარეუბანში. ის შტამპავს მთელ თავის აღჭურვილობას 18 000 სხვადასხვა ნაწილისთვის, პიკაპის ძარის პლატფორმის ხალიჩების, სატალახეებისა და სხვა ავტოაქსესუარების ჩათვლით. WeatherTech-ი ქმნის თავის შეფუთვას და ბეჭდავს ყველა თავის მასალას საკუთარი ძალებით, ჯიბის რუკის ზომის პროდუქციის პატარა კატალოგის ჩათვლითაც კი, სადაც გარე ყდის შიდა მხარეზე მოყვანილია მაკნილის ერთ-ერთი მოსაწყენი სიტყვა ამერიკული წარმოების შესახებ. ისინი ახორციელებენ ექსპორტს 21 უცხო ქვეყანაში მთელ მსოფლიოში. ეს კომპანია არის ფურცლოვა-

ფოტო: FLICKR

ნი პლასტმასის ყველაზე მსხვილი მომხმარებელი ამერიკაში. ათი წლის განმავლობაში ორციფრიანი წლიური ზრდის შემდეგ, გასულ წელს, გაყიდვები დაახლოებით $400 მილიონს შეადგენდა, $100 მილიონზე მეტს საანგარიშო საბალანსო შემოსავლით (წმინდა შემოსავლით გადასახადების გადახდამდე).

„მას ღრმად აქვს გამჯდარი თავისი პროდუქციის რწმენა და ის მასში ბევრ ფულს დებს", – ამბობს კრის კერსტინგი, Special Equipment Market Association-ის (სპეციალური დანადგარების მწარმოებლების ასოციაციის), ავტოკომპონენტების $31-მილიარდიანი ინდუსტრიის დარგობრივი ჯგუფის პრეზიდენტი და მთავარი აღმასრულებელი დირექტორი. „WeatherTech-ის სტილი ძალიან აგრესიული იყო და მათ მიაღწიეს, „დამზადებულია ამერიკაში" ტრენდის მოწინავე ხაზს ჩვენს ბიზნესში".

1988 წელს მაკნილი იყო საავტომობილო, მაღალი ხარისხის მახასიათებლებიანი საწარმოს AMG-ის, ამჟამად Daimler AG-ის განყოფილების აშშ-ის გაყიდვების ვიცე-პრეზიდენტი, როდესაც მან შეამჩნია მანქანის იატაკის ხალიჩების დაბალი ხარისხი, ლუქსის კლასის ავტომობილებშიც კი. ამიტომ 30 წლის ასაკში მაკნილმა გამოიტანა $50 000 სესხი მეორადი იპოთეკით და დაიწყო ძვირად ღირებული ხალიჩების იმპორტირება დიდი ბრიტანეთიდან. მალე მან შეამცირა მომარაგების ხაზები, ამერიკული საკონტრაქტო მწარმოებლის პოვნის გზით. შემდეგ მაკნილს იდეა მოუვიდა, თითოეული ავტომობილი ციფრულად გაეზომა ზუსტად მოსარგები ხალიჩის შესაქმნელად, რომელიც იატაკზე ცუდად მორგებულ სტანდარტულ ხალიჩებს შეცვლიდა. მის პროდუქციას ახასიათებს ღრმა არხები, რომლებიც იჭერს წყალს, გზის მარილს, ტალახს, ქვიშას და აქვს ნაპირები, რომლებიც მიუყვება ფეხებისთვის განკუთვნილი თითოეული ჩაღრმავების ზედა ნაწილს – აუცილებელი პირობა მანქანების პრეტენზიული მფლობელებისთვის, რომლებიც თავიანთი ინვესტიციების დაცვას ცდილობენ. მისი თერმოპლასტიკური ელასტომერები შუა დასავლურ ნულს ქვემოთ ტემპერატურაზე არ იმტვრევა და ზაფხულის სიცხეში არ ფუჭდება. შემდეგ მაკნილმა გადაწყვიტა – ბანკირებისა და იურისტების რჩევის საწინააღმდეგოდ, როგორც ეს რეკლამაშია ნაჩვენები – საკუთარი რესურსებით დაეწყო წარმოება 2007 წელს. ისეთ ეროვნულ გამოცემებში, როგორიცაა New York Times-ი, ახალი, „დამზადებულია ამერიკაში" მარკეტინგული კამპანიის მხარდაჭერით, გაყიდვები, დიდი რეცესიის მიუხედავად, გაიზარდა.

ხალიჩების გამოშვება ჩინეთში მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები დაჯდებოდა (მათ რეალურად არასოდეს არ შეუსწავლიათ ეს შესაძლებლობა), მაგრამ მაკნილს კონკურენტულ უპირატესობად მიაჩნია ქარხნის ქონა ოფისთან ახლოს და არა ნახევარი მსოფლიოს დაშორებით. მაგალითად, ის მოითხოვს საკუთარი ციფრულ-ლაზერული აზომვების ჩატარებას თითოეული სერიული ავტომობილისთვის, სპეციფიკაციების ავტომობილის მწარმოებლისგან აღების მაგივრად. „ასეთნაირად მე დარწმუნებული ვიქნები, რომ ჩემი მონაცემები ზუსტია", – განმარტავს მაკნილი. „ჩვენ ასევე გვაქვს დუბლირებული (სარეზერვო) [საწარმოო] აღჭურვილობა იმისთვის, რომ თუ, ვთქვათ, ხუთ კლიენტს ერთად უნდა მეტი ხალიჩა ერთ კვირაში, ჩვენ შეგვიძლია მივაწოდოთ ისინი ხუთივეს დაუყოვნებლივ. ეს დაახლოებით იმავეს ნიშნავს, რასაც დამატებითი ძრავები თვითმფრინავში".

ასეთი მკაცრი კონტროლის წარმოება სასარგებლოა, რადგან გაუმჯობესებული (არაორიგინალი) ავტონაწილების მოყვარულთა დიდი ნაწილი, მანქანების ყიდვიდან პირველივე თვეების განმავლობაში აქსესუარებს უკვეთს, ამიტომ საცალო მოვაჭრეები მოითხოვენ მიმწოდებლებს, რომლებსაც შეუძლიათ, მოვლენებს წინ გაუსწრონ. „ჩვენ ვინახავთ $170 მილიონის მარაგს, 300 000 საკატალოგო ნომრით 800 ხაზზე", – ამბობს ედ ორზეტი, Keystone Automotive Operations-ის აღმასრულებელი დირექტორი. „და როდესაც საქმე ეხება იმის უზრუნველყოფას, რომ საჭირო ნაწილი გამოჩნდეს საჭირო დროს, WeatherTech-ი ამას ყოველთვის სწორად აკეთებს. ისინი სხვა დონის ლიგაში არიან".

WeatherTech-ი წარმატებით ახორციელებს თავის მოღვაწეობას მაღალგადასახადებიან ილინოისში, იმის მიუხედავად, რომ მაკნილი იგნორირებას უკეთებს ადგილობრივი გადასახადების შემცირებებისა და სხვა წამახალისებელი ღონისძიებების შეთავაზებებს, რადგან, როგორც ის ამბობს, მათ მეტისმეტად ბევრი სხვადასხვა პირობა ახლავს. ხოლო საათში $20 ხელფასით ნახევრად კვალიფიცირებული თანამდებობებისთვის, WeatherTech-ი გულუხვობას იჩენს რაიონში, სადაც პლასტიკური პროფილების წარმოების სფეროს სამსახურებში საშუალო ხელფასი $16-ს შეადგენს; კადრების ბრუნვა (გადინება) თითქმის არ არსებობს. „დირექტორთა საბჭოსთვის ანგარიშის ჩაბარება რომ დამჭირდეს, არსებობს ზოგიერთი გადაწყვეტილებები, რომელთა გამართლებასაც ვერ შევძლებდი", – ამბობს მაკნილი.

WeatherTech-ი გაფართოვდა გერმანულ და კორეულ ავტომწარმოებლებთან კერძო სავაჭრო მარკის ბიზნესის გაზრდის გზით, რაც ამჟამად კომპანიის საერთო გაყიდვების დაახლოებით 30%-ს შეადგენს და იმედოვნებს საბოლოო ჯამში გარიგებების დადებას აგრეთვე დეტროიტთანაც. იმის მიუხედავად, რომ ის ნაკლებად რენტაბელურია, ვიდრე WeatherTech-ის ბრენდული გაყიდვები, კერძო სავაჭრო მარკის ბიზნესი მასშტაბებზე დიდი ეკონომიის გაკეთების საშუალებას იძლევა. ამის გარდა, მაკნილი კვლავ ცდილობს ახალი ბაზრების პოვნას ფორმირებული პლასტმასის პროდუქციისთვის. გასულ წელს, WeatherTech-მა წარმოადგინა TechFloor-ის ფილები გარაჟისთვის და სავაჭრო საგამოფენო დარბაზების იატაკებისთვის. მაკნილის კიდევ ერთი გამოგონება: WeatherTech-ის პლასტმასისგან დამზადებული მამაკაცის ქამარი, რომელიც ავიახაზების მგზავრებს შეუძლიათ არ მოიხსნან სატრანსპორტო უსაფრთხოების სამმართველოს საკონტროლო-გამშვები პუნქტების გავლისას.

და თუ ეს იდეები არ ამოქმედდა, მაკნილს კიდევ ბევრი აქვს. „ეს საკმაოდ მარტივია: თუ თქვენ აწოდებთ ტექნოლოგიურად მოწინავე, მაღალი ხარისხის პროდუქციას და თუ მომხმარებელი კმაყოფილია თქვენი პროდუქციით, თქვენი ბიზნესი გაიზრდება", – ამბობს ის. ამასთან შედარებით, „ეს დამატებითი საწარმოო ხარჯები არაფერს არ ნიშნავს". F

Alpha-ს გენერალური დირექტორი, კევინ კრაჩფილდი

ქვანახშირის საქმე

აქციების ფასები მკვეთრად დაეცა, დრაკონული კანონები და ბუნებრივ აირზე ფასების ვარდნა აშშ-ის მაღაროელებს ზიანს აყენებს. სამთო წარმოებაში, როგორც ჩანს, ინვესტიციების გასაკეთებლად შესაფერისი მომენტია.

ავტორი: კრისტოფერ ჰელმანი

„თვარეზე ალბათ უფრო მეტ ხალხს დაუდგამს ფეხი, ვიდრე იქ, საითაც ჩვენ ახლა მივემართებით", – ამბობს დეივ დილონი, Deep Mine 41-ის უსაფრთხოების წარმომადგენელი. ეს მაღარო ვირჯინიის სამხრეთ-დასავლეთ მხარეში მდებარეობს და მას ოპერირებას Alpha Natural Resources-ი უწევს. მართალია, დილონი მაღაროელების მესამე თაობის წარმომადგენელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის ჯერ კიდევ აღფრთოვანებას ვერ მალავს ქვანახშირის სანგრევის ჩვენებისას, სადაც ყურთასმენის წამღები „სანგრევი კომბაინი", რო-

მელიც ასობით ვოლფრამის კბილით აღჭურვილ საჭრელ მექანიზმს წარმოადგენს, ქვანახშირს 6 ფუტის სისქის შრიდან იღებს. ჩვენ ვაბიჯებთ იქ, სადაც ფეხი არც ერთ ადამიანს არ დაუდგამს - დაწნეხილი და ქვად ქცეული მცენარეული სიცოცხლის ცენტრში, რომელსაც მზის სხივი უკანასკნელად 300 მილიონი წლის წინ მოხვედრია. სანამ კონვეიერულ სარტყელს ქვანახშირის ნატეხები დედამიწის ზედაპირზე ააქვს, მაღაროელთა მეორე ჯგუფი „ანკერულ კრეპს" ემსახურება, რომელიც 6 ფუტი სიღრმის ხვრელებს თხრის და ეპოქსიდში ამოვლებულ ძელებს ჭერში აწყობს. ეს ძელები კლდეს დანგრევის საშუალებას არ აძლევს და მაღაროს ჭერს ჩამოწოლისგან იცავს. ერთი მუშა აქ, საშუალოდ, $80 000-ს გამოიმუშავებს წელიწადში, ანკერული კრეპის მუშები კი - $100 000-ს. ეს სამუშაო სულ უფრო მეტად მოთხოვნადი ხდება ამ რეგიონში, სადაც წარსულში ათასობით მუშას დაუკარგავს სამსახური და სადაც ათობით მაღაროა დახურული. „თუ სამუშაო ძალიან ძვირი ჯდება და სარგებელი არ მოაქვს, მაშინ იმ ადგილას მუშაობას უკეთეს დროებამდე გადავდებთ ხოლმე",- ამბობს კევინ კრაჩფილდი, Alpha-ს გენერალური დირექტორი.

ინვესტორები, Alpha-ს აქციებსა და მასში მომუშავე მაღაროელებზე, ბოლო ხანებში, ერთსა და იმავეს ამბობდნენ. ვირჯინიის შტატის ქალაქ ბრისტოლში დაფუძნებულმა კომპანიამ რამდენიმე კოშმარული წელიწადი გამოიარა. 2010 წელს კრაჩფილდი თვალს ადევნებდა მიწის ქვეშ მომხდარი აფეთქების შედეგად აპალაჩების მეტოქე კომპანიის, Massey Energy-ს 29 მაღაროელის დაღუპვას Upper Big Branch-ის მაღაროსთან, მონტკოულში, დასავლეთ ვირჯინიაში. ის ოცნებობდა Massey-ის კოქსვადი ქვანახშირის მაღალხარისხიანი წიაღისეულის დასაკუთრებაზე, რომელსაც ფოლადის წარმოებაში იყენებენ. 2011 წელს (მაშინ, როდესაც კოქსვად ქვანახშირზე ფასებმა რეკორდულ სიდიდეს მიაღწია) მას ამის შესაძლებლობა მიეცა. Alpha-ს ფასი გაორმაგდა, როდესაც კომპანიამ, მისი ხელმძღვანელობით, Massey 8.5 მილიარდ დოლარად შეიძინა, მაგრამ დრომ აჩვენა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თავი შეეკავებინა.

2011 წლიდან ქვანახშირის კომპანიები ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდნენ: ერთი მხრივ, გლობალური დათბობის შიშით ნასაზრდოები, ვაშინგტონის მიერ შემოღებული ახალი, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული დრაკონული კანონები ახდენდნენ მათზე ზეწოლას, ხოლო მეორე მხრივ, სრულად წვადი ბუნებრივი აირის უხვი მოწოდება, რომელიც ქვანახშირის უმსხვილესი მომხმარებლის, ელექტრული თაობის ბაზრის წილს იტაცებდა. აპალაჩების ქვანახშირის ფასი 25%-ით დაეცა, კოქსვადი ქვანახშირისა კი 44%-ით, რაც ჩინეთის მხრიდან მასზე მოთხოვნის შემცირებით იყო გამოწვეული. აშშ-ის მიერ მისი გამოყენება უკანასკნელ წლებში 1.1 მილიარდი ტონიდან წელიწადში, 900 მილიონ ტონამდე დაეცა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ქვანახშირის კომპანიების აქციები ძალიან სწრაფად ეცემა. გასული წლიდან მოყოლებული, Patriot Coal-ი და James River Coal-ი გაკოტრდნენ. ზენიტში მყოფი კომპანია Peabody Energy-ის აქციები 2011 წელს 75%-ით დაეცა, ხოლო Arch Coal-ისა - 89%-ით. Alpha-ს აქციების ფასი 94%-ით შემცირდა - ახლა მთელი კომპანიის ღირებულება მის მიერ შეძენილი Massey-ის ერთი მცირე განყოფილების ღირებულებას უტოლდება.

ყოველივე ამაზე დაყრდნობით, ლოგიკური იყო გვეფიქრა, რომ Alpha და მისი ქვანახშირი უკანასკნელ დღეებს ითვლის, მაგრამ გლობალური დათბობით გამოწვეული შიშის მიუხედავად, მთელ მსოფლიოში ჩინეთის სწრაფად მზარდი ეკონომიკისა და ბირთვული კატასტროფებისადმი შიშის წყალობით, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია და იაპონია ქვანახშირი ყველაზე მოთხოვნად საწვავ წიაღისეულად რჩება. ამ ქვეყნებმა თავიანთი ბირთვული ქარხნები ფუკუშიმას კატასტროფის შემდეგ დააკონსერვეს. ამის შედეგად, ქვანახშირის წილი აშშ-ის ენერგეტიკულ მრეწველობაში 42%-ს დაუბრუნდა მას შემდეგ, რაც 2012 წელს ის მხოლოდ 36%-ს შეადგენდა და ეს ბოლო ორი წლის განმავლობაში მოხდა, ბუნებრივ აირზე ფასების ზრდის მიმდინარეობის ფონზე. შესაძლოა, მზისა და ქარის ენერგია პრესის ყურადღებასა და მომხმარებელთა სუბსიდიებს იზიდავს, მაგრამ ქვანახშირის წილი აშშ-ის ელექტროენერგიის წარმოებაში ცხრაჯერ მეტია, ვიდრე ორივესი ერთად

ფულის კვალდაკვალ

ბიზნესლიდერები, რომლებსაც TWITTER-ში თვალი უნდა ვადევნოთ ან დავაიგნოროთ.

ვინოდ ხოსლა
(@vkhosla) გაეცანით Silicon Valley-ის ერთ-ერთი ყველაზე მცოდნე ვიცე-თავმჯდომარის აზრებს.

რუპერტ მერდოკი
(@rupertmurdoch) ჭკვიანი, პროვოკაციული, მხიარული. ბოლოდროინდელი ინფორმაცია: საფონდო ბირჟა (გაზრდილი ფასები), Google NSA-ს წინააღმდეგ, Kentucky Derby (მხარს უჭერს), ვეგანები (ეწინააღმდეგება).

კიმ დოტკომი
(@KimDotcom) ცხადია, ის მასხარასავითაა, მაგრამ ახალი ზელანდიის დოქტორ ევილს ახლა თავისი საკუთარი პოლიტიკური პარტია აქვს („ინტერნეტის პარტია") და მყარი აზრები კონფიდენციალურობისა და საბრალდებო ეშმაკობების შესახებ.

ჯორჯ სოროსი
(@georgesoros) დემოკრატიისა და საზოგადოებრივ საქმეებზე ბანალობებით ხართ დაინტერესებული? სწორად მიგიგნიათ მისთვის!

მაღაროელები, რომლებიც 80 000 დოლარიდან 100 000 დოლარამდე გამოიმუშავებენ, სამუშაოდან სამთო მრეწველობის ნგრევისას დაითხოვეს.

აღებულის. „ქვანახშირის უკანასკნელი დღეების შესახებ განცხადების გაკეთება, ცოტა არ იყოს, ნაჩქარევია“, – ამბობს ბობ იუ, Platts -ის განყოფილების, Bentek Energy-ს ანალიტიკოსი.

ბოლო ზამთრის პოლარულმა ციკლონმა ყველას ნათლად დაანახა, რომ ქვანახშირი კვლავაც მნიშვნელოვანია აშშ-ში. მკაცრმა სიცივემ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონების პარალიზება მოახდინა, ამის გამო, ბუნებრივი აირის დეფიციტმა ზოგ ადგილებში ფასები 4.50 დოლარიდან 1000 კუბურ ფუტზე, 70 დოლარზე მეტად გაზარდა. აღნიშნულ რეგიონში ქვანახშირზე მომუშავე ის ელექტროსადგურები, რომლებიც გეგმით დახურვას ექვემდებარებოდა, მანამდე რომ დახურულიყო, მინუს ტემპერატურების პირობებში, სავალალო შედეგებს მივიღებდით. იმ დროისთვის, როდესაც ზამთარი დასრულდა, ქვანახშირის მარაგები მთლიანად გამოილია. 2012 წელს ერთი მეგავატი ელექტროენერგიის გამომუშავება ქვანახშირის საშუალებით, გაზთან შედარებით, 10 დოლარით მეტი ღირდა. ახლა, Bentek-ის თანახმად, საპირისპირო სურათი გვაქვს და ქვანახშირის საშუალებით გამომუშავებული ერთ მეგავატ/სთ-ში ელექტროენერგია 12 დოლარით უფრო იაფია.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ მრეწველობის ეს დარგი მკვდრეთით აღდგება. რამდენადაც ქვანახშირის ფასებმა, სავარაუდოდ, ქვედა ზღვარს მიაღწია, ამ ინდუსტრიის აღდგენის პროცესი ნელი ტემპით წარიმართება. გრძელვადიანი წარმატების უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ ქვანახშირის წარმოებამ შემოთავაზებული EPA-ს ის რეგულაციები დააკმაყოფილოს, რომელთა თანახმად, ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურებმა, გოგირდის დიოქსიდისა და აზოტის ოქსიდის გამონაბოლქვის თავიდან ასაცილებლად, მრავალმილიონიანი ფილტრები უნდა დააყენონ. ახალი ქვანახშირის ელექტროსადგურების მშენებლობა აიკრძალება, თუ ისინი ბუნებრივი აირის წვით გამოყოფილი

„დარწმუნებული ვარ, რომ ქვანახშირის პოპულარობის დღეები დაბრუნდება. მისი საუკეთესო დღეები მაშინ დადგება, როდესაც აშშ ბუნებრივი გაზის ექსპორტს დაიწყებს“.

ფოტო: SHUTTERSTOCK

მყარი ფსკერი?

ეს რისკიანი ფსონებია, მაგრამ ქვემოთ მოყვანილია ექვსი მაგალითი იმისა, თუ რა სარგებელს მოიტანდა ზოგიერთი აქცია ქვანახშირზე ფასის მცირედი აღდგენის შემთხვევაშიც კი.

	აქციების ქცევა 1 წელი	3 წელი	ქვანახშირის წარმოება (ტონა/ წელიწადში)	
WESTMORELAND COAL	131%	63%	22 მლნ	ზრდის პროცესში მყოფი ქვანახშირის საწარმო, რომელიც დავალიანებას იხდის და თავის კონკურენტებს ძირს უთხრის.
CONSOL ENERGY	26	-6	56	შემოსავლები გაზარდა მისი ბუნებრივი აირის ბიზნესის გაზრდის საშუალებით.
ALLIANCE RESOURCE PARTNERS	21	31	35	წარმატებული საწარმო; ალიანსი მოგებას დაბალი ღირებულების ილინოისის მაღაროებიდან იღებს.
PEABODY ENERGY	-14	-68	193	უმსხვილესი სამთო საწარმო დაბალგოგირდიანი ვაიომინგის ქვანახშირის უზარმაზარი დეპოზიტებით.
ARCH COAL	-28	-87	137	რიგით მეორე საწარმო, რომელიც იბრძვის გადარჩენისთვის, 2011 წლის აკვიზიციის შემდეგ.
ALPHA NATURAL RESOURCES	-43	-92	104	ზედმეტი გადაიხადა კომპანია Massey Energy-ში ყველაზე მაღალი საბაზრო კურსით.

გამონაბოლქვის დაბალ ზღვარს არ დააკმაყოფილებენ.

შემობრუნების წერტილი 2016 წელს უნდა დადგეს. ეს სწორედ ის დროა, როდესაც აშშ გეგმავს ბუნებრივი აირის ექსპორტის განხორციელებას, რაც გაზრდის მის ახლანდელ ფასს და ქვანახშირს კონკურენციის შანსს მისცემს. „მე დარწმუნებული ვარ, რომ ქვანახშირის პოპულარობა დაბრუნდება", – ამბობს KeyBanc Capital Markets-ის აღმასრულებელი დირექტორი ენდრიუ რედინგერი, რომელმაც ერთნაირი საბანკო ინვესტიციები განახორციელა როგორც ქვანახშირის ელექტროენერგეტიკაში, ასევე მზის დეველოპერულ კომპანიებში. „საუკეთესო მომენტი ქვანახშირისთვის მაშინ დადგება, როდესაც ბუნებრივი აირის ექსპორტი დაიწყება".

როგორია Alpha-ს პერსპექტივა? საქმეები ნელ-ნელა უკეთესობისკენ მიდის. მიუხედავად საშინელი ბაზრისა, რომელიც არასწორად იქნა გაგებული, კრაჰფილდს ურყევად სჯერა, რომ რთული საქმე უკვე გაკეთებულია. Massey-ის „რეპუტაცია სასწორზე იდო, – ამბობს ის, – მაგრამ ჩვენ ვიგრძენით, რომ ჩვენეული მართვის სტრუქტურა და მორალი იძლეოდა იმის იმედს, რომ კომპანიის წესრიგში მოყვანას და მის გარდაქმნას შევძლებდით".

ყოველივე ეს სიმართლეს შეესაბამება, მაგრამ კომპანიას ეს იაფი არ დასჯდომია. Alpha-მ 500 მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა Massey-ის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საქმეების მოსაგვარებლად – როგორც ფედერალური ჯარიმების გადასახდელად, ასევე აქციონერების მიერ შეტანილი სარჩელების დასაკმაყოფილებლად. კრაჰფილდმა სამუდამოდ დახურა Massey-ს ყველაზე დიდი საწარმო, Upper Big Branch-ი და ახალი უსაფრთხოების ზომები მიიღო Massey-ს სხვა მაღაროებთან დაკავშირებით, მაგალითად, ჰაერის მოძრაობისა და მეთანის გაზის დაგროვების გასაკონტროლებლად სენსორები დააყენა. მისი შეძენის შემდეგ Alpha-ს 14 000 თანამშრომელი ჰყავდა. 150 მაღაროდან 64-ის დახურვის შედეგად, მისი თანამშრომლების რიცხვი 10 400 კაცამდე შემცირდა. Alpha-მ 2.4 მილიარდი დოლარის წმინდა დანაკარგი განიცადა 2012 წელს და 1.1 მილიარდი დოლარის - 2013 წელს, მაგრამ გასულ კვარტალში საწარმოო შემოსავალმა (მისი ღირებულების ვარდნისა და წიაღისეულის გამოლევით მიღებული გადასახადების გამოკლებით), როგორც იქნა, კვლავ პოზიტიურ ნიშნულს მიაღწია. გრძელი გვირაბის ბოლოში უკვე გამოჩნდა, მართალია, მკრთალი, მაგრამ მაინც სინათლე.

შემაჯამებელი აზრი

„სამრეწველო ერა, ფაქტობრივად, ქვანახშირის კვამლიან ნისლში დაიბადა და ამ კვამლში თანამედროვე მსოფლიოს ისტორიის დიდი ნაწილი შეგვიძლია წავიკითხოთ". – **ბარბარა ფრიზი**

წარმოების არაჩვეულებრივი **რევოლუცია**

მიჩიგანელი ინჟინრის რადიკალურ იდეას – ნაწილების სათითაოდ შექმნას – შეუძლია ქარხნული მუშაობის ერთი საუკუნე გააუქმოს და მრეწველობას მილიარდობით დოლარი დააზოგვინოს.

ავტორი: ჯონ მიულერი

მასობრივი წარმოების ძირითადი პრინციპი ასეთია: ნებისმიერი პროდუქტის წარმოების ყველაზე ეფექტური მეთოდი საქონლის დიდი რაოდენობით წარმოებაა.

მაშ რატომ ამტკიცებს უდანაკარგო წარმოების პროპაგანდისტი ტედ დაკლოსი, რომ ამერიკას, საქონლის სათითაოდ წარმოების მეშვეობით, თავისი საწარმოო ბაზის გამოცოცხლება შეუძლია?

„ბევრის თვალში ეს საღ აზრს ეწინააღმდეგება“, – აღიარებს დაკლოსი, მიჩიგანში განლაგებული Freudenberg-NOK Sealing Technologies-ის (გერმანიის Freudenberg-ისა და იაპონიის NOK-ის ერთობლივი საწარმო) პრეზიდენტი. ის წლების მანძილზე მუდმივად ფიქრობდა იმაზე,

ფოტო: FLICKR

თუ როგორ გაეუმჯობესებინა წარმოების პროცესები და ახლა დარწმუნებულია, რომ რაღაც მნიშვნელოვანს მიუახლოვდა.

წნევის ქვეშ ჩამოსხმის მასიური მანქანის გამოყენების ნაცვლად, რამდენიმე თერმოპლასტური დეტალის სინქრონულად ჩამოსაყალიბებლად (ხანდახან არასტაბილური შედეგებით), ის უპირატესობას ანიჭებს პატარა, ერთყალიბიანი პრესების სისტემას, რომელიც ერთ ჯერზე ერთ უნაკლო დეტალს უშვებს.

ეს პროცესი თითქოს საიდუმლოებით მოცულს ჰგავს, მაგრამ შეიძლება რევოლუციური აღმოჩნდეს. ერთყალიბიანი წნეხების გამოყენებით დამზადებული პლომბების (შუასადებების) ერთ-ერთმა ორწლიანმა კვლევამ, ხარჯების ანალოგიური ეკონომიით, ხარისხის 20%-იანი გაუმჯობესება აჩვენა და, რადგან ჩამოსხმული ნაწილები დედამიწის თითქმის ყველა სამომხმარებლო ნაწარმში გამოიყენება, დაკლოსის იდეებმა შეიძლება მწარმოებლებზე ზემოქმედება მოახდინონ ყველგან, განსაკუთრებით მრეწველობის ისეთ ზუსტ დარგებში, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, მშენებლობა და სოფლის მეურნეობა, სადაც თანმიმდევრულობა და ხარისხი ყველაზე მნიშვნელოვანია.

პირველი შედეგები იმედის მომცემია. მაგალითად, Chrysler-ს ავტომატურ გადაცემათა კოლოფში პისტონის უფრო ეკონომიური და მსუბუქი ალტერნატივით შეცვლა უნდოდა. პლასტმასის მიმწოდებელთან, Chevron Phillips Chemical-თან თანამშრომლობა Freudenberg-NOK-მა გამოიყენა წნევით ჩამოსხმის პროცესისთვის ერთყალიბიანი გამძლე პისტონის შესაქმნელად, რომელიც ადრე არსებული ალუმინის დეტალის მსგავსი იყო. ახალი დეტალი 30%-ით უფრო მსუბუქი და ექვსჯერ უკეთესი ხარისხის გამოდგა, მისი წარმოება მასალის დანაკარგების გარეშე მიმდინარეობდა, თანაც მთელი პროცესის ჩატარება ქარხნის 20%-ით ნაკლებ ფართს მოითხოვდა. Chrysler-მა არ გამოაცხადა, თუ საერთო ჯამში რამდენის ეკონომია გააკეთა, მაგრამ პროექტმა ინოვაციისთვის Society of Plastics Engineers-ის (პლასტმასის დამუშავების ინჟინერიის საზოგადოება) ჯილდო დაიმსახურა.

„ეს ძალიან დიდი საქმეა“, – ამბობს ჯონ შუკი, Toyota Motor-ის ვეტერანი, რომელიც ამჟამად მასაჩუსეტსის ქალაქ კემბრიჯში Lean Enterprise Institute-ს მართავს. „გაიხსენეთ, რა გააკეთა ჰენრი ფორდმა 100 წლის წინ, – ამბობს ის, – ის კონვეიერზე სათითაო დეტალის ნაკადს ახორციელებდა. როგორ უნდა გავაკეთოთ იგივე? 100 წლის განმავლობაში სწორედ ამაზე ვმუშაობდით. მრეწველობის ზოგიერთი დარგი კვლავ ძველი სტილის აზროვნებაშია დარჩენილი“. ერთგზისად ჩამოსხმა, რომელზეც ექსპერიმენტებს ატარებდნენ, მაგრამ ფართოდ არასოდეს დანერგილა, შესაძლოა უდანაკარგო წარმოებაში შემდეგი ტალღა იყოს. 1980-იან წლებში Toyota Motor-ის მიერ გაპიარებული უდანაკარგო წარმოება ემყარება კაიზენის იაპონურ პრინციპს, ანუ მუდმივ გაუმჯობესებას. Toyota-ს მიზანი იყო ნარჩენების სრულად აღმოფხვრა მარაგების დროულ მართვაზე ყურადღების გამახვილების გზით და წამოჭრილი პრობლემების უსწრაფესად გადაჭრა, რათა ხარისხი წარმოების პროცესში ყოფილიყო ჩადებული. ისევე როგორც მრავალი მწარმოებელი, Freudenberg-NOK-ი ცდილობდა Toyota-ს სისტემის დუბლირებას მარაგების მცირე დონის შენარჩუნებით და მხოლოდ იმის წარმოებით, რაც შემდეგი პროცესისთვის მუშაობის უწყვეტ ნაკადში იყო საჭირო. პრობლემა ის გახლდათ, რომ მწარმოებლები არსებული კაპიტალის გარშემო უბრალოდ მუშაობის რეორგანიზებას ახდენდნენ. Freudenberg-NOK-ის შემთხვევაში კი ეს, მისი მსხვილი, მრავალყალიბიანი მანქანების უფრო ეფექტიანად მართვის მცდელობას ნიშნავდა. მალე Freudenberg-NOK-მა, ისევე როგორც კომპანიების უმრავლესობამ, თავის სისტემებში არსებული აღჭურვილობის გამოყენებით, ყველა შესაძლებელი გაუმჯობესება ამოწურა. მათ პროდუქტიულობის პიკს მიაღწიეს.

ამიტომ, 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანების დასაწყისში, მწარმოებლებმა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, საწარმოო ოპერაციების გადატანა დაბალი ღირებულებით გამორჩეულ ისეთ ქვეყნებში დაიწყეს,

ავიახაზების კონსიერჟ-მომსახურება

ამერიკის რომელი მცირე აეროპორტები გვთავაზობენ ბიზნესკლასის თვითმფრინავების საუკეთესო მომსახურებას?

რამდენიმეწლიანი კლების შემდეგ, ბიზნესკლასის თვითმფრინავებით მგზავრობა აღმავლობას განიცდის, რაც FBO-სთვის (საავიაციო ტექნიკის საბაზო ოპერატორებისთვის) – კერძო თვითმფრინავების კეთილმოწყობის სრული მომსახურების პროვაიდერებისთვის მეტ სამუშაოს ნიშნავს. თუ რომელი მათგანია საუკეთესო ქვეყანაში, Aviation Industry News-ის (ავიაციის ინდუსტრიის ახალი ამბების) კვლევებიდან შევიტყობთ.

ლოს-ანჯელესთან ახლოს
AIRFLITE AVIATION SERVICES

ლონგ-ბიჩის აეროპორტი, ლონგ-ბიჩი, კალიფორნია

ვესტიბიული თანამგზავრული ტელევიზიით; კვება; შხაპები; უფასო პოპკორნი.

ჩიკაგოსთან ახლოს
J.A. AIR CENTER

ავრორას მუნიციპალური აეროპორტი, შუგარ-გრუვი, ილინოისი

უფასო WI-FI; ყავა და ნამცხვარი გურმანებისთვის; მეტეოროლოგიური ინფორმაციის ოთახი; სპორტდარბაზი კერძო შხაპებით; მოსასვენებელი ოთახები.

ნიუ-იორკთან ახლოს
MERIDIAN

ტეტერბოროს აეროპორტი, ტეტერბორო, ნიუ-ჯერსი

კერძო კინოთეატრი; ბილიარდის მაგიდა; მოსასვენებელი ოთახები; სპორტდარბაზი კერძო შხაპებით; მომსახურე პერსონალი „თბილი დამოკიდებულებით და მეგობრული ღიმილებით“.

ჰიუსტონთან ახლოს
GLO BAL SELECT

შუგარ-ლენდის რეგიონალური აეროპორტი, შუგარ-ლენდი, ტეხასი

კაფე; სუვენირების მაღაზია; ბიზნეს-ცენტრი; აშშ-ის საბაჟო და სასაზღვრო დაცვის სამსახური.

უფრო მეტი უფრო ცოტასგან

ტრადიციულად პარტიებად ჩამოსხმა შეიძლება უფრო ეფექტურად გამოიყურებოდეს, მაგრამ რეალურად ის მეტ ნარჩენს ტოვებს, უფრო ნელ წარმოებას იძლევა და უფრო დაბალ ხარისხს ქმნის, ვიდრე ცალკეულ ყალიბში ჩამოსხმა.



ძველი მეთოდი: პლასტმასის ან კაუჩუკის მასალა მრავალადგილიან ყალიბში ისხმება. გაცხელება ჩამოსხმული ნაწილების ზოლს ქმნის. ზედმეტი მასალა ცალკეული ნაწილებიდან იჭრება, ნარჩენები გადამუშავდება ან გადაიყრება.

ერთგზისი მეთოდი (SINGLE-SHOT METHOD): მასალა მცირე ზომის მანქანების სერიაში ისხმება. თითოეულ მათგანში ერთი ყალიბით. გაცხელება და შემდეგ სწრაფი გაცივება მანქანას უფრო სწრაფად მუშაობის საშუალებას აძლევს და პროცესის შემდეგ არანაირი ნარჩენები არ რჩება.

როგორიცაა, მაგალითად, ჩინეთი. პროდუქტიულობა გაუმჯობესდა, ძირითადად, უფრო დაბალი ხელფასების ხარჯზე, მაგრამ წარმოების გადატანას დაფარული ხარჯები ახლდა: დაბალი ხარისხი (და ამასთან დაკავშირებული საგარანტიო ხარჯები), გაზრდილი ტრანსპორტირების ხარჯი და მარაგის უფრო დიდი რაოდენობები. კომპანიების ერთი ნაწილი აშშ-ში დაბრუნდა, მაგრამ აქ თავი იჩინა პრობლემამ, რომელიც მათ პირველ რიგში საზღვარგარეთისკენ უბიძგებდა - თავად ტექნოლოგიის შეზღუდვის გამო მუდმივი გაუმჯობესების შეუძლებლობა. „თქვენ, უბრალოდ, არ შეგიძლიათ საკმარისი კაიზენების გაკეთება, რათა გვერდი აუაროთ თქვენ მიერ გამოყენებული კაპიტალის ლიმიტებს“, - ამბობს დაკლოსი.

ერთყალიბიანი წარმოების შესახებ მისი ცოდნა უჩვეულო განათლებამ განაპირობა იგი დიუკის უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერია მაგისტრისა და მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით, და სტენფორდის უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის სფეროში ხარისხის მფლობელი. 1996 წელს ის, ტექნოლოგიის დარგის დირექტორის რანგში, Freudenberg-NOK-ს შეუერთდა, შემდეგ ამას საინჟინრო საქმიანობასა და ოპერაციებზე პასუხისმგებლობა და უდანაკარგო წარმოებით მისი დაინტერესება დაემატა. ათი წლის წინ მან ფიქრი დაიწყო იმის შესახებ, თუ რატომ იყო ბიოლოგიური სისტემები, ქარხნებისგან განსხვავებით, ასეთი ეფექტიანი. „თუ თქვენ დაფიქრდებით ამაზე, ბიოლოგიური სისტემები დაუჯერებლად ეფექტიანია, - ამბობს ის. - ყველაფერი იქმნება პატარა, ერთიანი ნაკადური ქარხნებით, რომლებსაც უჯრედები ეწოდება. ეს უჯრედები პარალელურად მუშაობენ, რათა გახდნენ სისტემები, რომლებიც სიცოცხლეს უზრუნველყოფენ. ყველაფერი, რაც არსებობს - მცენარეები, ცხოველები, რეზინის შუასადებები - ემყარება ამ ცალკეულ პატარა სტრუქტურულ ელემენტებს, რომლებიც ერთად მუშაობენ“.

ერთყალიბიანი ჩამოსხმა, - ამბობს ის, - უფრო ბიოლოგიას ჰგავს: თქვენ გაქვთ პატარა მანქანები, რომლებიც ერთად მაღალპროდუქტიულად და ეფექტიანად მუშაობენ. როდესაც ამ მიდგომას უფრო ფართოდ იყენებთ, ის მიწოდების მთელ ჯაჭვზე ავრცელებს ეფექტიანობას და ფულის ეკონომიას აკეთებს.

დაკლოსის ამჟამინდელი ყველაზე დიდი სირთულე ჰენრი ფორდისთვის ნაცნობი იქნებოდა: აიძულოს ხალხი, თავისი საკუთარი კომპანიის შიგნითაც კი, უარი თქვას ტრადიციაზე და დაინახოს ლოგიკა მის შემოთავაზებაში. „ჩვენ ამას კვლავ განვიხილავთ ფირმის შიგნით, - ამბობს დაკლოსი. - მომხმარებლები ჩვენ ამას მაინცადამაინც არ გვთხოვენ, მაგრამ, ვფიქრობთ, ამას მომავალში გააკეთებენ“.

შემაჯამებელი აზრი

„ეკონომია შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც არის ეფექტურობა“,

- ბენჯამინ დიზრაელი

davines
SUSTAINABLE BEAUTY
ექსკლუზიური დისტრიბუტორი
საქართველოში UCG Georgia
ტელ: 225 04 06
info@ucgroup.ge
www.ucgroup.ge

99-ცენტიანი ცეცხლისმფრქვეველი კატები გასაყიდად

ახალგაზრდა აზიელები მილიონებს ხარჯავენ საყვარელ გამოსახულებებზე, რომლებსაც ისინი ტექსტურ შეტყობინებებში ერთმანეთს აკვიატებულად უგზავნიან. ბიზნესმენები სანაძლეოს დებენ, რომ ეს მანია, დასავლეთის მიმართულებით მიგრირების პროცესში, თარგმანში არ დაიკარგება.

ავტორი: პარმი ოლსონი

ჯინი ჰანი, შეტყობინებების აზიური აპლიკაციის, LINE-ის ხელმძღვანელი, ეძებს შემდეგ ბრაუნსა და კონის.

ფრენკ აგილარი საოჯახო კომიქსების ხატვით იყო დაღლილი. ახალგაზრდა დიზაინერი თამაშების გიგანტ Zynga-ში წელიწადში $90 000-ს შოულობდა, როდესაც 2012 წლის დასაწყისში, კალიფორნიის ქალაქ უოლნატ-კრიკში, მან თავისი გაბზარული MacBook-ით და $100-იანი Wacom-ის პლანშეტით, Starbucks-ში სიარული დაიწყო. იგი ექსცენტრიკულ გმირებს – ცეცხლისმფრქვეველი კატის თავებსა და ვარდისფერი ფუნთუშების მფრინავ ესკადრებს ხატავდა. ისინი მას საშუალო სკოლის დროინდელი გრაფიტის პერიოდში აბრუნებდნენ. აგილარმა, რომელმაც პროგრამირება თავად შეისწავლა, თავისი ნახატები ფოტორედაქტირების აპლიკაციად დაალაგა, Catwang-ი დაარქვა და 2012 წლის აპრილში უფასოდ გამოუშვა. ერთი თვის შემდეგ აპლიკაცია 130 000-ზე მეტმა მომხმარებელმა გადმოტვირთა, ნახატები ფოტოებზე დასვა და შემდეგ Instagram-ზე დადო. ორ თვეში აპლიკაციამ დღეში $400 შემოიტანა. ორი წლის განმავლობაში მხოლოდ Catwang-მა $250 000-ის სტიკერები გაყიდა. „ამხელა შემოსავალი მანამდე თვალით არ მენახა“, – ამბობს აგილარი, რომელმაც რამდენიმე თვეში, მას შემდეგ, რაც Catwang-ი ბაზარზე გამოვიდა, Zynga-ში მუშაობას თავი დაანება.

ცოტა ხანში აგილარი და ყოველდღიური ტანსაცმლის მწარმოებელი Upper Playground-ი აპლიკაციაში რეპერ სნუპ დოგს ჰყიდდნენ, სახელად Snoopify-ს, რომელიც მომხმარებლებს ნახატი ხასხასა ქუდებისა და დრედების $1,99-იან პაკეტებს სთავაზობდა. თავისი ახირებით მან $99,99-იანი მარიხუანის სიგარეტი შექმნა, სახელად Golden Jay. დაუჯერებელია, მაგრამ 1000-მა ადამიანმა ის თავისი Instagram-ის სელფის მოსართავად იყიდა.

ციფრული სპლიფის საყიდლად $100-ის დახარჯვის სურვილი, ძირითადად, არის იგივე ადამიანური სურვილი, რასაც აგილარი ხედავდა Zynga-ში, რომელსაც ციფრული საქონლის წარმატებული ბიზნესი აქვს. იგი FarmVille-ის გაუმჯობესებულ ტრაქტორებს ყიდის. Zynga-ში ამას „დაბანდებასა და გამოხატვას“ უწოდებდნენ. სტიკერები და უფრო მცირე ემოძი-სიმბოლოები, მათ მიმართ სიმპათიის გამო, მოზარდების უსასრულო წუხილის დაძლევის გზას წარმოადგენენ და ტექსტური კომუნიკაციისგან განსხვავებით, უფრო ფართო სოციალურ ტენდენციას ავითარებენ. ბერტრან შმიტი, აპლიკაციების ანალიტიკური ფირმის, App Annie-ის 37 წლის დამფუძნებელი, ამბობს, რომ მისი პეკინში მომუშავე პერსონალი, ერთმანეთისთვის ტექსტური შეტყობინებების გაგზავნისას, WeChat-ზე გატარებული საათების შემდეგ, ასეთ შედეგს აჩვენებს – „იქნება შვიდი ან რვა შეტყობინება, სადაც არავინ არაფერს არ

იტყვის [სიტყვებით]. ხალხი კომუნიკაციის უფრო გრაფიკული ვერსიის მიმართულებით იხრება“.

უამრავი მხატვარი, ბროკერი და გამომცემელი ციფრული სტიკერებისთვის აგებს ბაზარს, რომელიც შეიძლება ბევრად დიდი იყოს, ვიდრე ბაზარი პატარა ემოძისთვის, რომელიც ამჟამად ჩატებსა და Instagram-ს აღამაზებს. უკვე არსებობს სტიკერების 600 აპლიკაცია iTunes-ისა და Play-ს მაღაზიებში, მაგრამ მოქმედების დიდი ნაწილი ხდება შეტყობინებების ისეთ აპლიკაციებში, როგორიცაა, მაგალითად LINE-ი. მას მხარს უჭერს სამხრეთ-კორეული საძიებო გიგანტი, Naver-ი. LINE-ს მთელ მსოფლიოში 420 მილიონი რეგისტრირებული მომხმარებელი ჰყავს, რომლებიც ყოველდღე 1,8 მილიარდ სტიკერს გზავნიან, არჩეულს იმ 10 000-იანი მარაგიდან, LINE-ი თავად რომ აწარმოებს. ზოგიერთი, როგორიცაა ბრაუნისა და კონის (Brown and Cony) დათვი-კურდღლის პრობლემური რომანი, ისეთი პოპულარული გახდა, რომ ცალკე წიგნებად და ტელეშოუებად გამოვიდა.

ადამიანების უმეტესობა არასოდეს იოცნებებდა ცეცხლისმფრქვეველ კატაში ფულის გადახდაზე. სტიკერების თითქმის ყველა მომხმარებელი, შეტყობინებების აპლიკაცია Kik-ში, მის უფასო სტიკერებს იყენებს. Facebook-ი თავსაც კი არ იწუხებს ფულის გადახდევინებით – მისი Lego-სა და Minion-ის ბრენდის სტიკერები ყველა უფასოა. აზიაში კი LINE-ი აქტიურ ბიზნესს აწარმოებს. 2013 წელს მან თითქმის $70 მილიონის სტიკერი გაყიდა, ანუ 20% - $338 მილიონი მისი შარშანდელი მთლიანი შემოსავლიდან. სტიკერებმა შეიძლება წელს კიდევ $140 მილიონი მოიტანოს. ეს საკმარისი ფულადი ნაკადია, ამბობს სტიკერების ბროკერი ევან რეი (Evan Wray), რათა შეავსოს $2-მილიარდიანი ბაზარი ამ წლის ბოლოსთვის, რადგან ეს ტენდენცია განიცდის მიგრაციას დასავლეთის მიმართულებით და ისეთი შეტყობინებების აპლიკაციების მომხმარებლების რაოდენობა, როგორიცაა LINE-ი და WeChat-ი, რეის ვარაუდის თანახმად, 2014 წლის ბოლოსთვის გაორმაგდება და 2 მილიარდს მიაღწევს.

ოპტიმისტური გაანგარიშება იმედს იძლევა, რომ სტიკერები იქნება ის იშვიათი აზიური პოპკულტურის ფენომენი, რომელიც დასავლეთში თარგმანის ბარიერს გაარღვევს. ჯინი ჰანმა, LINE-ის ხელმძღვანელმა აშშ-ში, ესპანეთში ეს უკვე დაინახა, სადაც, როგორც ცნობილია, ის 10 მილიონზე მეტმა ადამიანმა გადმოტვირთა. ჰანი, ამერიკაში გადასვლამდე, ესპანეთში მუშაობისას, სტიკერი-არსებების კონტენტთან დაკავშირებულ გარიგებებს აგვარებდა. ესპანელები, ამბობს ის, ახალ ტექნოლოგიას სწრაფად ითვისებენ. ეს, ემოციურად ექსპრესიულ ქვეყანაში, 54%-იანი უმუშევრობით ახალგაზრდებს შორის, იაფ სიამოვნებას წარმოადგენს.

სამხრეთკორეულმა შეტყობინებების აპლიკაციამ, KakaoTalk-მა, 2013 წელს, ციფრული სტიკერებიდან თავისი $200 მილიონი შემოსავლის ერთნიშნა პროპორცია მიიღო. ეს პროცენტი უფრო მაღალი იქნებოდა, ამბობს KakaoTalk-ის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი, სირგოო ლი, სტიკერების საფასურის გადახდა უფრო მარტივი რომ ყოფილიყო ანდროიდზე, სადაც Google Wallet-ი და ოპერატორების საბილინგო შეთანხმებები ჯერ კიდევ ჩამორჩებიან Apple-ის 800 მილიონ iTunes-ის რეგისტრირებულ მომხმარებელს. 24 წლის რეი ამბობს, რომ მისი სტიკერების გაყიდვების 75% აიფონებისთვის ხდება, სადაც უფრო ადვილია აპლიკაციის შიდა გადახდების განხორციელება. კიდევ ერთი პრობლემა: კომპანიებთან დაახლოებული პირების თქმით, WhatsApp-ი და Instagram-ი, Facebook-ის ორი უმსხვილესი მობილური სერვისი, სავარაუდოდ, წელს სტიკერების მსგავს გრაფიკულ გამოსახულებებს თავისთან არ განათავსებენ.

აშშ-ში შესასვლელად, სტიკერების მაგნატები ნაცნობ ბრენდებს უმიზნებენ. რეის, სტიკერების ბროკერს TextPride-იდან, შექმნილი აქვს სტიკერები ბრიტანული ფეხბურთის გუნდ ტოტენჰემ ჰოტსპურისთვის (Tottenham Hotspur) და ისეთი ფილმებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, Miramax Films-ის „მოკალი ბილი” (Kill Bill). მათ შეტყობინებების აპლიკაციები ყიდულობენ და რეი შემოსავლიდან ორნიშნა პროცენტს იღებს. მას ხუთიოდე ცნობად მედიასაშუალებასა და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაზე მყოფ შეტყობინებების სერვისებთან აქვს პარტნიორობა.

აშშ-ის ზოგიერთი სტარტაპი აზიური სტილის ფანტაზიას გააგრძელებს. ყოფილმა როკმუსიკოსმა, ბობ შუბენსკიმ და მისმა პარტნიორმა, ჯიმ სომერსმა გახსნეს გოთურ-სკეიტერული ტანსაცმლის კომპანია Black Craft Cult-ი. აპრილში მათ დაიწყეს $1,99-იანი სტიკერების პაკეტის Black Craft-ის გაყიდვა თავისი სავაჭრო მარკის – კატა Lucipurr-ის, თავის ქალების, ლუდის ჭიქებისა და ისეთი ემოძის ვარიაციებით, როგორიცაა შუა თითი. მათ მიაჩნიათ, რომ სტიკერები დაეხმარებათ გასული წლის $1,3 მილიონის გაყიდვების გაორმაგებაში, რაც ძირითადად ტანსაცმლიდან იყო მიღებული. „ყველას სჭირდება ემოძი შუა თითით“, – ამბობს შუბენსკი. F

გაჯეტები, რომლებიც გვიყვარს

მუდმივი ბოქლომი

უსადენო ტექნოლოგიების რევოლუცია სულ მალე მოახდენს ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ მობილურ მოწყობილობასთან – თქვენს ველოსიპედთან – თქვენი ურთიერთობის რეკონფიგურაციას. Boeing-ისა და Jawbone-ის დიზაინერები ტანდემად გაერთიანდნენ, რათა შეემუშავებინათ Skylock-ი ($159 შეზღუდული წინასწარი შეკვეთით; $249 საცალოდ; skylock.cc) – მზის ენერგიაზე მომუშავე ველოსიპედის ბოქლომი, რომელიც მუშაობს ბლუთუსის კავშირით თქვენს ტელეფონთან – და თქვენ მიერ არჩეული მეგობრების ტელეფონებთან. ტრანსპორტის მომენტალური გაზიარება! მზის შუქი ერთ საათში ხელსაწყოს ერთი კვირით დატენის, და თუ თქვენ შეცდომით ტელეფონი სახლში დაგრჩათ, შეგიძლიათ კოდი ხელით შეიყვანოთ. თუ თქვენს ველოსიპედს თქვენს არყოფნაში მნიშვნელოვნად შეანჯღრევენ, Skylock-ი სიგნალს გამოგიგზავნით (ისე არ არის, რომ თქვენ ნერვიულობა გჭირდებოდეთ; ეს სამხედრო ბოქლომია, ამიტომ ქურდებს მის მოსახსნელად ნაღმმტყორცნი დასჭირდებათ). და თუ თქვენ ავტომობილმა დაგარტყათ, ან დაკარგეთ წონასწორობა წვიმისგან სრიალა ქუჩაზე, Skylock-ი შეტყობინებას გაუგზავნის თქვენი ოჯახის წევრებსა და თქვენს მეგობრებს, რათა მათ სასწრაფოში მოგაკითხონ. ძალიან გონივრულია. შეკვეთების მიწოდება იწყება 2015 წლის დასაწყისში.

— ბრაიან დოუსონი

ქართული ტელემაუწყებლობის **კოსმოსური ოდისეა**

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის გააქტიურებასთან ერთად, ქვეყანაში ფასიანი თანამგზავრული მაუწყებლობის პროვაიდერები ჩნდებიან. მათგან უდიდესი Forbes Georgia-ს მედიაპარტნიორი SES-ია. საქართველოს თავზე დაკიდებული SES-ის ახალი სატელიტი ASTRA 5B გაზრდის სიგნალის გეოგრაფიულ არეალს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სამხრეთ კავკასიის ჩათვლით და რეგიონს ციფრული მაუწყებლობით უზრუნველყოფს.

ავტორი: კოტე აბაშიძე

ფოტო: ARIANESPACE

საქართველოდან ყველა მოგზაურობა ვიზის აღებით იწყება, მით უმეტეს, როცა მსოფლიოს დასავლეთ ნახევარსფეროსკენ იღებ გეზს. თუმცა ამ დამამცირებელი პროცედურის გავლას ეგუები, რადგან მალე ახალ ქვეყანას ნახავ, ახალ გარემოში აღმოჩნდები.

იმის შეგრძნება, რომ ძალიან უჩვეულო ადგილას მივდივარ, პირველად მაშინ დამეუფლა, როდესაც მასპინძლებმა ყვითელი ციების აცრის გაკეთება მომთხოვეს. აცრის ცნობის გარეშე ქვეყანაში ვერ შემიშვებდნენ. მეორე უცნაურობა ის იყო, რომ ვერავინ ვნახე გარშემო ისეთი, ვინც ნამყოფი ყოფილიყოს ქალაქში, რომლისკენაც გეზი მქონდა აღებული. პარიზიდან ფრენამ ათი საათი გასტანა. გადამღლელი მგზავრობის ბოლოს ილუმინატორიდან ფრანგული გვიანის დედაქალაქი კაიანი გამოჩნდა. თვითმფრინავმა დაშვება დაიწყო.

გაინტერესებთ, რას ვაკეთებდი ამ ფრანგულ გვიანაში? – 21 მარტს მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა თანამგზავრულმა ოპერატორმა SES-მა, რომლის მედიაპარტნიორიც Forbes Georgia გახლავთ, დედამიწის ორბიტისკენ ახალი, მძლავრი სატელიტი გაამგზავრა. სატელიტი საქართველოსა და მთლიანი რეგიონის მოხმარებაზეა გათვლილი. SES-ი პირველი სატელიტური ოპერატორი იყო, რომელმაც 1995 წელს ევროპაში ციფრული მაუწყებლობა გახადა შესაძლებელი. დღეისთვის კი მისი სატელიტები ახალ სიმაღლეებს იპყრობენ – ზედ საქართველოს თავზე.

სანამ კოსმოდრომზე შევალ, რამდენიმე სამხედრო პუნქტი უნდა გავიარო. შემოწმებები, საშვები, უნიფორმები – უსაფრთხოების სამსახურისა თუ მეცნიერების.

„თავი ფილმ „სტარტრეკის“ გადასაღებ მოედანზე მგონია“, – ვეუბნები ერთ-ერთ „ფორმიანს“, რაზეც თავაზიან, მაგრამ აშკარად „თავიდან მოსაშორებელ“ პასუხს ვიღებ – „აქ ფანტასტიკური არაფერია“. გასაგებია, ახლა სახუმაროდ არავის სცალია. გარშემო დაძაბული ატმოსფერო სუფევს. სადაცაა სატელიტური ტექნიკის ბოლო სიტყვა უნდა გატყორცნონ ორბიტისკენ და სულ პატარა უყურადღებობით გამოწვეულ შეცდომასაც კი შეუძლია კვლევა-განვითარების რამდენიმე წელი და მასში დახარჯული მილიონები კოსმოსურ მტვრად აქციოს.

SES-ის სატელიტის წარმატებული გაშვება მხოლოდ კომპანიისთვის კი არა, მინიმუმ საქართველოს მედიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. შეგახსენებთ, რომ მიწისზედა ანალოგური ტელემაუწყებლობა, რომლითაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დღეს სარგებლობს, 2015 წლის 17 ივნისისათვის მთელ ევროპაში გაითიშება და ევროპის დარჩენილი, ციფრული მაუწყებლობის გარეშე მყოფი ქვეყნები მთლიანად ციფრულ მაუწყებლობაზე გადაინაცვლებს, მათ შორის საქართველოც. სწორედ SES-ის კუთვნილი სატელიტის მიერ მოწოდებული თანამგზავრული მაუწყებლობის საშუალებით გახდება შესაძლებელი ასობით მაღალი გარჩევადობის არხის მიღება მთელ საქართველოში, მაღალმთიანი რეგიონების ჩათვლით.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის გააქტიურებასთან ერთად, ქვეყანაში ფასიანი თანამგზავრული მაუწყებლობის პროვაიდერები ჩნდებიან, მათგან უდიდესი სწორედ Forbes Georgia-ს მედიაპარტნიორი SES-ია, რომლის მფლობელობაშიც ამჟამად 55 თანამგზავრია. SES-ი მსოფლიოში ყველაზე დიდი დაფარვის მქონე სატელიტური ოპერატორია, რომელსაც შეუძლია წვდომა იქონიოს მსოფლიოს მოსახლეობის 99%-ზე. საქართველოს თავზე პოზიციონირებული SES-ის ახალი სატელიტი ASTRA 5B გაზრდის სიგნალის გეოგრაფიულ არეალს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სამხრეთ კავკასიის ჩათვლით.

„ვფიქრობ, საქართველო ძალიან კარგად არის შემზადებული ციფრული მაუწყებლობისათვის. ქვეყანაში არის IPTV-სა (ინტერნეტტელევიზია) და სატელიტურ ტელევიზიას შორის არჩევანის შესაძლებლობა; კარგად არის განვითარებული ინფრასტრუქტურა – უკაბელო ინტერნეტი ბევრ ადგილასაა ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით – ქალაქებში. ეს მაფიქრებინებს, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი ადვილად წარიმართება ტელემაყურებლებისთვისაც და კომპანიებისთვისაც“, – გვითხრა SES-ის ვიცე-პრეზიდენტმა ნორბერტ ჰოლცლემ, როდესაც დაგეგმილ გაშვებამდე ცოტა ხნით ადრე მას თბილისში შევხვდით. გაშვება კლიმატური პირობების გამო რამდენიმე ათეული დღით გადაიდო, მაგრამ ახლა უკვე კოსმოდრომზე ვართ და სადაცაა უკუთვლა უნდა დაიწყოს.

ჰოლცლეს აზრით, ორი წელი, რაც საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად დარჩა, აბსოლუტურად საკმარისია ამ პროცესის მშვიდად წარსამართად. „მთავარი პოლიტიკური ნებაა, – დასძენს იგი და იქვე ამატებს, – ამ სატელიტის გაშვება, საქართველოს, რომელიც რეგიონში ერთ-ერთი ლიდერია, კარგ ეკონომიკურ სიტუაციაში აყენებს“. მისი თქმით, თუ შევადარებთ ზედა სახმელეთო მაუწყებლობის ხარჯებს სატელიტური მაუწყებლობისას, პროპორცია 80/20-ია, რადგან ის რესურსი, რომელიც ზედა სახმელეთო მაუწყებლობის შემთხვევაში სჭირდება მოსახლეობის 20%-ის სატელევიზიო სიგნალით უზრუნველყოფას, სატელიტური მაუწყებლობის შემთხვევაში, 80%-ის უზრუნველყოფას ჰყოფნის. სწორედ ამიტომ მიაჩნია ჰოლცლეს, რომ ასეთი ძლიერი სატელიტური შესაძლებლობიდან გამომდინარე, საქართველო რესურსების ოპტიმიზაციას წარმატებით მოახდენს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი სწორედ ახლა იწყება.

სატელიტის გაშვებამდე იმავე „ფორმიანს“ ვაბეზრებ თავს, რომელიც, როგორც ჩანს, ტექნიკურ ჯგუფს ხელმძღვანელობს – მინდა სატელიტის ტექნიკური მახასიათებლები დავაზუსტო. სამეცნიერო ფანტასტიკისგან განსხვავებით, იგი ფანტასტიკურ მეცნიერებაზე საუბრისას ენთუზიაზმს ავლენს. მეუბნება, რომ სატელიტი სარგებლობს სრულიად ინოვაციური სანავიგაციო სისტემა EGNOS-ით (European Geostationary Navigation Overlay Service). EGNOS-ი არის ევროპის პირველი ინვესტიცია სატელიტურ ნავიგაციაში, რომელიც საშუალებას იძლევა დასრულდეს კვლევა-განვითარების ეტაპზე მყოფი პროექტი GALILEO. GALILEO იქნება ევროპის პირველი დამოუკიდებელი გლობალური სატელიტური ნავიგაციის სისტემა და ეს ყველაფერი სწორედ საქართველოს თავზე დაკიდებული, Forbes Georgia-ს ლოგოდატანებული ASTRA 5B-ის მეშვეობით გახდება შესაძლებელი.

აი, უკუთვლაც დაიწყო. ჩაფხუტები დაგვირიგეს. ასე 30-ნი ვართ. მეცნიერები, ჟურნალისტები, SES-ის თანამშრომლები, ევროპელი ჩინოვნიკები. ჩაფხუტების დანახვაზე დევიდ ბოუის Space oddity მომაგონდა და „არიაც“ წავიღიღინე: „Take your protein pills and put your helmet on. Commencing countdown, engines on. Check ignition and may God's love be with you. ამან კი უკვე გაარღვია უნიფორმიანების სერიოზულობის ჯავშანჟილეტი. ახლა უკვე შეიძლება ხუმრობა – ხომალდი მიწას სწყდება.

გაშვება იმაზე შთამბეჭდავი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი: ხმა, შუქი, ცეცხლი, მიწის ზანზარი. ჩვენ 5 კმ-ის მოშორებით ვიყავით, მაგრამ მოვლენის მასშტაბურობამ ენით აუწერელი შეგრძნებით დამაჯილდოვა.

ფრანგული გვიანის ქალაქ კურუში მდებარე „გვიანის კოსმოსური ცენტრიდან“ ვუყურებდი, როგორ აპობდა სატელიტი ერთდროულად სიცხითა და დაძაბულობით გასქელებულ ჰაერს და ყველა წინმსწრები დისკომფორტის მიუხედავად, მიხაროდა, რომ იქ ვიყავი 21 მარტს – იმ დღეს, რომელიც საქართველოს მედიამაუწყებლობაში ახალი თანამედროვე ტექნოლოგიური სტანდარტების დანერგვის ათვლის წერტილია. F

ნიკიტა მარშუნოკი

სოფლიდან **მეგაპოლისამდე**

კაზანტიპის რესპუბლიკა ანაკლიაში ემიგრირდა. რამდენად აქვს ქალაქის სტატუსისთვის მებრძოლ სოფელ ანაკლიას შანსი, იქცეს რეგიონის მუსიკალურ მეგაპოლისად, წელიწადში ასი ათასზე მეტი ადგილობრივი და უცხოელი ტურისტის მიზიდულობის ცენტრად და გართობის ინდუსტრიის ახალგაზრდულ დედაქალაქად, სხვა არაფერზეა დამოკიდებული, თუ არა ნაქებ ქართულ სტუმართმოყვარეობაზე.

ავტორი: შოთა დიღმელაშვილი



ნიკიტა მარშუნოკი ანაკლიაში მიმდინარე მშენებლობის ფონზე

ფოტო: DOINIKOV ROBERT

ვკითხულობ იმ რესპუბლიკის კონსტიტუციას, რომლის საზღვრებიც სადაცაა უნდა გადავკვეთო. მუხლი პირველი: „კაზანტიპის სადღესასწაულო ქვეყანას აქვს საზღვრები, მაგრამ არა აქვს ტერიტორია. ის არის სახელმწიფო, რომელიც მარტივად გადაადგილდება ერთი ადგილიდან მეორეზე. კაზანტიპის სადღესასწაულო ქვეყნის დედაქალაქი შეიძლება იყოს ნებისმიერი დასახლებული პუნქტი, რომელიც ხანდახან, მისთვისაც მოულოდნელად, კაზანტიპის სადღესასწაულო ქვეყნის ახლომახლო აღმოჩნდება“.

ანაკლიას ვუახლოვდები – ტერიტორიას, სადაც წელს კაზანტიპის რესპუბლიკა უნდა წარმოიქმნას. ნამდვილად არ მინდა, დეპორტაცია გამიკეთონ ქვეყნიდან, რომლის ერთ კვადრატულ მეტრზე მსოფლიოში ყველაზე მეტი ბედნიერი „მოქალაქე“ მოდის, ამიტომ მის კანონმდებლობას გულდასმით ვეცნობი. ზღაპრულ რესპუბლიკაში ჭკუამხიარულობა რელიგიის რანგშია აყვანილი. თითოეული სტუმარი ვალდებულია სჯეროდეს სასწაულის. ერეტიკოსები სასტიკად დაისჯებიან: „ასეთ ადამიანებს ჩვენ უიმედოებად ჩავთვლით“, – ამბობს შეუვალი კონსტიტუცია.

დადგენილი ტერიტორიის გარდა, კაზანტიპს სახელმწიფოებრიობის ყველა ელემენტი აქვს. აქვს ნაციონალური ტანისამოსი – ბიკინი, სტრინგი/ტანგა, შორტი და მზის სათვალე. ჰალსტუხისა თუ ტყავის ქურთუკის ტარებაში შემჩნეული ადამიანები ქვეყნის ტრადიციების უპატივცემულობაში დადანაშაულდებიან; აქვს ჰიმნი, რომელიც ყოველ წელს ახალია და დემოკრატიულად გამოვლინდება, ხოლო ჰერალდიკაში ყვითელი და ნარინჯისფერი ჭარბობს. „ეროვნული სიმბოლიკის“ პატივისცემას კაზანტიპის რესპუბლიკის „ხალხთა შორის მეგობრობის მინისტრი“ სათანადოდ გიფასებთ – თუკი თქვენ ჩემოდანს რესპუბლიკის ალმის ფერებად შეღებავთ და საიტზე დაარეგისტრირებთ (დეტალები იხილეთ kazantip.net-ზე), მაშინ არ მოგიწევთ რესპუბლიკის ვიზის მოსაპოვებლად 300 ლარის გადახდა, თუმცა ამ შემთხვევაში ვალდებული იქნებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე სულ ამ ჩემოდნის თანხლებით იაროთ.

რესპუბლიკის ეკონომიკურ მოწყობაზე მოგვიანებით მოგახსენებთ, პოლიტიკური მოწყობა კი უცნაურია – მიუხედავად დემოკრატიული ხასიათისა და როტაციული მინისტრთა კაბინეტისა, მას ერთი, მუდმივი პრეზიდენტი განაგებს – ნიკიტა მარშუნოკი, იგივე ნიკიტა პირველი.

ჩანს, ნიკიტა პირველი მის მიერ დაარსებული რესპუბლიკის სტატუსს სერიოზულად ეკიდება. „როცა რესპუბლიკაზე დაწერ, კაზანტიპს მუსიკალური ფესტივალი მხოლოდ იმ შემთხვევაში უწოდე, თუ გინდა, რომ მაწყენინო“, – მეუბნება იგი.

შავ ცილინდრში, იმავე ფერის სმოკინგში, დაბალუბიან ატლასის ბრიჯში და სტაფილოსფერ კედებში გამოწყობილი 52 წლის ნიკიტა მარშუნოკი აბრაამ ლინკოლნად გადაცმულ ჰიპსტერს უფრო ჰგავს, ვიდრე ბიზნესმენს, მაგრამ

რეივერთა მთელი ამ „ნარინჯისფერი რევოლუციის“ უკან წარმატებული ბიზნესმოდელი იკითხება, რომელიც 22 წელია, განუხრელად იზრდება - საკმაოდ ძვირად ღირებული ვიზების გაყიდვები ყოველწლიურად 20%-ით მატულობს (ანაკლიაში გადმობარგების პირველ წელს სტატისტიკა მნიშვნელოვნად შემცირდება). რესპუბლიკის დამფუძნებელი მამები კომერციულ მხარეზე არ საუბრობენ, თუმცა Forbes-ის უკრაინული რედაქციის გათვლით, ყირიმის ტერიტორიაზე არსებობისას, კაზანტიპის რესპუბლიკის ბიუჯეტი ყოველ წელს $10 მილიონი წმინდა მოგებით ივსებოდა.

„კაზანტიპის საფუძველი ჩემი ფანატიკური გატაცებაა ვინდსერფინგით, - მეუბნება ნიკიტა. - ამან მიმიყვანა სანაპიროზე მეგობრებთან ერთად. როდესაც რაღაც კარგს აკეთებ, ხალხის ყურადღებასაც იქცევ. თავიდან 10 ადამიანი იყო, შემდეგ 50, შემდეგ - 100. როდესაც სანაპიროზე 500 ადამიანი შევგროვდით, მე კი არა, მათ თქვეს, რომ რაღაც დაიბადა. 1993 წელი იყო. ჩავატარეთ პირველი ჩემპიონატი ვინდსერფინგში, რომლის ასოციაციის პრეზიდენტიც თავად გახლდით. როდესაც სადღაც ბევრ ახალგაზრდა და აქტიურ ადამიანს მოუყრი თავს, ალბათ, საღამოს თავისით ჩნდება მუსიკა“.

მუსიკალური როლის განსაზღვრაზე, რა თქმა უნდა, თავად ეპოქამ იქონია ზეგავლენა. საბჭოთა კავშირის ნგრევას

პოსტსაბჭოთა სივრცეში ელექტრონული მუსიკისა და მისი თანმდევი რეივკულტურის შემოჭრა მოჰყვა, რაც, თავის მხრივ, დასავლეთში მიმდინარე მუსიკალური პროცესების გამოძახილი იყო. 1990-იან წლებში თანამედროვე მუსიკალური სცენა ბაზრის იმპერატივმა სამუდამოდ შეცვალა და ახალგაზრდების ცნობიერებაში როკ-ენ-როლისა თუ პოსტპანკის ადგილი საკლუბო მუსიკამ დაიკავა. ახალი კულტურის დაბადებაში ბაზარს ისეთივე წვლილი მიუძღვის, როგორიც სახელოვნებო პროცესს. ელექტრონული მუსიკის ფესტივალების წარმატების მიზეზები ნათელია, ეს ახალბედა მუსიკოსებსაც აწყობთ და გართობის ინდუსტრიასაც: სტანდარტული ბენდისთვის ალბომის შექმნა დიდ რესურსს, შრომასა და დროს მოითხოვს, კონცერტის სხვა ქვეყანაში გასამართად საჭირო აპარატურის გადასატანად ხშირად მთელი ავიალაინერის დაქირავებაა საჭირო. საორგანიზაციოდ ურთულეს ცოცხალ კონცერტებზე გაყიდული ბილეთების შემოსავლიდან ბენდს მხოლოდ ერთი მესამედი რჩება, თან ასეთი კონცერტების რაოდენობა შეზღუდულია. ამ დროს საუკეთესო დი-ჯეებიც კი პრაქტიკულად დიდი დანახარჯების გარეშე მოგზაურობენ – ხშირად მხოლოდ ფლეშ-დისკის ამარა – გამომუშავებული ფულის უმეტესი ნაწილი მათ რჩებათ და ზოგჯერ რამდენიმესაათიანი მუშაობის შედეგად სახლში $100 ათასზე მეტი მიაქვთ. ეს მასობრივი და დიდი ბიზნესია. შარშან ათმა ყველაზე მაღალშემოსავლიანმა დი-ჯეიმ ერთად $150 მილიონზე მეტი გამოიმუშავა.

უკვე 1990-იანი წლების დასაწყისისთვის მუსიკალური ინდუსტრია ხვდებოდა, რომ რამდენიმედღიანი ფესტივალის გამართვა, ხარჯების გათვალისწინებით, ელექტრონული მუსიკის ფარგლებში უფროა მიზანშეწონილი. ვინაიდან ელექტრონული მუსიკა დამწყებთათვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მეტად დემოკრატიულია და შედარებით ნაკლები დროისა თუ ენერგიის ინვესტირებას მოითხოვს, ახალგაზრდა მუსიკოსებიც სწორედ ამ მიმართულებას ირჩევენ. იმ წლებში, როცა ევროპისა და ამერიკის კულტურულ მიკროკოსმოსში პირველი „ელექტრონული ვარსკვლავები“ თვალისმომჭრელად აკიაფდნენ, რკინის ფარდა უკვე აღარ იყო და ეს ციმციმი პოსტსაბჭოთა ნიადაგიდანაც მოჩანდა. შედეგად, გართობის ინდუსტრიის ბიზნესპერსპექტივის გააზრებით თუ უბრალო მოდის გამო, ნიკიტა მარშუნოკი ეპოქის სულისკვეთებას აჰყვა, რამაც სამომავლოდ კაზანტიპის რესპუბლიკის მუსიკალური ღონისძიების წარმატება განსაზღვრა.

„ჩვენ, როგორც აქტუალურ ‘ტუსოვკას’, არ შეგვეძლო ამ ტრენდის იგნორირება, – მეუბნება იგი, – კარგი ადამიანების დიდი კომპანია ჯერ სპორტის გარშემო გაერთიანდა, ბოლოს კი ელექტრონული მუსიკა გახდა დომინანტი და ჩვენც ერთი ნახევრად აშენებული და მიტოვებული საბჭოთა ატომური ელექტროსადგურის შენობა ვიპოვეთ. მგონი, პირველი ვარ მსოფლიოში, ვინც მუსიკალური ივენთი ატომურ რეაქტორზე ჩაატარა. ასე გაგრძელდა 5 წელი და კაზანტიპი, როგორც მუსიკალური ივენთი, მთელი მსოფლიოს მასშტაბით შედგა. ალბათ მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში შეიძლება რამის გაკეთება ატომურ ელექტროსადგურზე, რომელსაც პატრონი არ ჰყავს. ასეთი ნონსენსები სწორედ ეპოქების გზაგასაყარზე იყო შესაძლებელი“.

როცა ამ სიტყვებს ვისმენდი, დამებადა აზრი, რომ კაზანტიპი ლეთარგიულ ძილში წასული საბჭოთა ტოტალიტარული სხეულის კოშმარული სიზმარია. განა რა არის უფრო მკაფიო მეტაფორა ტოტალიტარული რესპუბლიკისთვის, ვიდრე ერთ „ბითს“ აყოლებული ათიათასობით „მოქალაქის“ გულისცემა, როცა ყველა და ყველაფერი ერთ რიტმში დგამს ფეხს. თუმცა საბჭოთა მარშისგან განსხვავებით, მეოცე საუკუნის მიწურულს კაზანტიპის მოქალაქეები სულ სხვა – არა მონობის, არამედ თავისუფლების – მუსიკას უწყობდნენ ნაბიჯს.

ატომურ ელექტროსადგურზე მაღალი ემოციური ძაბვა 5 წელს გრძელდებოდა,

შემდეგ კი თავისუფლების „გვერდითმა ეფექტებმაც“ იჩინა თავი. მიუხედავად კაზანტიპის „რესპუბლიკობისა“, მასზე იმ ტერიტორიის კანონმდებლობა ვრცელდება, რომელზეც იგი არსებობს და ფესტივალის ორგანიზატორებიც ძალისხმევას არ იშურებენ ღონისძიების ექსცესების გარეშე წარმართვისთვის (კერძო უსაფრთხოების სამსახურის დაქირავების ჩათვლით). თუმცა ისიც არის, რომ მსოფლიოს 1960 წლიდან არ უნახავს მასშტაბური მუსიკალური ივენთი, სადაც ახალგაზრდა არაფორმალებს მსუბუქი ნარკოტიკის შეტანა ვერ მოუხერხებიათ.

თავად ნიკიტა პირველს ნარკოდამოკიდებულებისადმი შეუვალი პოზიცია აქვს: „ჩემს ცხოვრებაში ბევრი სპორტია. ზღვის სანაპიროზე წელიწადში რვა თვეზე ნაკლებს არ ვატარებ და ჩემთვის, როგორც

ფოტო: კაზანტიპის რესპუბლიკის ოფიციალური საქმისწარმოება

ვინდსერფინგით გატაცებული ადამიანისთვის, ერთადერთი ნარკოტიკი – ქარია. თუ დამიჯერებ, სხვა ნარკოტიკი ჩემს ცხოვრებაში საერთოდ არ ყოფილა. თუ არ დამიჯერებ, კი შემიძლია ნებისმიერ დროს მოვშარდო და დარწმუნდები, – ღიმილით ამბობს ნიკიტა პირველი, შემდეგ სახე უსერიოზულდება და თავის ორ მცირეწლოვან შვილზე მიმითითებს, – ესენი კაზანტიპზე გაიზარდნენ. არ მინდა იქ რამე ცუდი ხდებოდეს“.

კაზანტიპის რესპუბლიკაში ორგანიზატორების მიერ ინიცირებული ანტინარკოტიკული კამპანია თვალში საცემია – რესპუბლიკის ტერიტორიაზე რიგდებოდა ბროშურები, რომლებიც ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ აფრთხილებდა მოქალაქეებს, თუმცა რამდენიმე ფაქტის გამოვლენა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის საკმარისი აღმოჩნდა განგაშის ზარის შემოსაკრავად და 1999 წელს ნიკიტა მარშუნოკმა ატომური ელექტროსადგურის ტერიტორიიდან გასვლაზე ფიქრი დაიწყო. ამავდროულად იგი ხვდებოდა, რომ პროექტი განვითარებას საჭიროებდა და მხიარულების კერის გადასარჩენად აუცილებელი იყო მასზე ბიზნესის კუთხით ფიქრი.

კაზანტიპის კონცხზე არსებული მიტოვებული ატომური ელექტროსადგურიდან 2000 წელს კაზანტიპის რესპუბლიკა ყირიმის ვესელეს დასახლებაში ემიგრირდა. ამ დროსვე გამოჩნდა პირველი სპონსორი, კორპორაცია Procter & Gamble-ი, რომელსაც ზუსტად იმ დროს გაეშვა პოსტსაბჭოთა ბაზარზე შამპუნი Head & Shoulders-ი მენთოლის არომატით და ახალგაზრდა სეგმენტში მის პოპულარიზაციაზე ფიქრობდა. მარშუნოკის თქმით, სწორედ მან მოიგონა სლოგანი „თავს გაუფრთხილდი“ და მოსკოვის მაღაზიებში გაჩნდა აკვარიუმები, სადაც შამპუნის გარდა პრეზერვატივები და ამ შეკვრაზე „კაზანტიპის“ შესახებ ინფორმაცია იყო დატანილი. მალევე პირველ სპონსორს მეორე მოჰყვა, რუსული ლუდის ბრენდი „ბალტიკა“. მის ერთ-ერთ რეკლამაში ჩანდა, თუ როგორ ერთობიან ახალგაზრდები კაზანტიპზე – ამგვარად მიიღო ნიკიტა მარშუნოკმა პოპულარული არხებისთვის საუკეთესო საეთერო დროს გაშვებული მასშტაბური სარეკლამო კლიპი, რომელშიც მას კაპიკი არ გადაუხდია.

მიუხედავად პირველი წარმატებისა, მარშუნოკისთვის ნათელი იყო, რომ მას აუცილებლად სჭირდებოდა რამენაირი მხარდაჭერა ადგილობრივი ხელისუფლებისგან, რადგან ეს უკანასკნელი არასახარბიელო ინტერესს ავლენდა ივენთის მიმართ, რომელიც ყოველ წელს ათიათასობით უცნაურ ახალგაზრდას იზიდავდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყირიმის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველს ახალგაზრდულ საკითხებში, ანდრეი ფილონოვს სთხოვა სიტუაციაში გარკვევა. ფილონოვი ახალგაზრდა ანტრეპრენიორი იყო და, ბუნებრივია, საფრთხის ნაცვლად მან კაზანტიპში კარგი ბიზნესპერსპექტივა დაინახა. ამგვარად, ნიკიტა მარშუნოკმა შეიძინა პარტნიორი, რომელსაც გააჩნდა მიწა ყირიმის პატარა ქალაქ პოპოვკაში.

კაზანტიპის რესპუბლიკის რუკა ანაკლიაში



2001 წელს მუსიკალური ღონისძიება სწორედ ამ ქალაქში შედგა და იქვე შეიძინა რეკორდული მასშტაბები. კაზანტიპის რესპუბლიკის შემოსავლის ძირითადი წყარო კვლავ „ვიზები“ იყო, თუმცა სეზონურად კაფეებისა თუ ბარებისთვის მიწის მიქირავებით (რასაც ნიკიტა ხუმრობით „სამშობლოს გასხვისებას“ უწოდებს) და კაზანტიპის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ალკოჰოლის ექსკლუზიურად გაყიდვით (20%-იანი ფასნამატი) მათ მნიშვნელოვანი შემოსავალი მიიღეს.

რაც შეეხება თავად პოპოვკას, მან ასიათასობით ტურისტი მიიზიდა მსოფლიოს 106 ქვეყნიდან. ტურისტების ამ ნაკადს ინფრასტრუქტურული განვითარებაც მოჰყვა: „პოპოვკა ერთი ჩვეულებრივი მეთევზეთა სოფელი იყო ზღვის პირას, ორი სასტუმროთი. დღეს იქ 220 თუ 223 კერძო სასტუმროა და კიდევ მიმდინარეობს მშენებლობა. მიწა ოცჯერ გაძვირდა. ინვესტიციების რაოდენობა ამ ზონაში რეკორდულია. ირონიულად რომ ვთქვათ, ჩვენ „ქვემეხივით დისკოთეკა“ ვართ. პოპოვკა მსოფლიოში ყველაზე ძვირ სოფლად იქცა, ახლა იქ ისეთივე ფასებია, როგორიც მონტე-კარლოში“, – ამბობს პრეზიდენტი ნიკიტა პირველი. მაგრამ ფასების ამგვარი ზრდისადმი იგი კეთილგანწყობილი არაა. მისი თქმით, იგი „გარემოებების მძევალი“ გახდა: „არ შეიძლება კეთილგონიერების ზღვარს გადააბიჯო ფასებთან მიმართებით იმ მიზნით, რომ „ჩქარი ფული“ გამოიმუშაო. ეს, პირველ რიგში, სამომავლო პერსპექტივას კლავს. მასაც კი, ვისაც ფული აქვს, არ უნდა თავი იდიოტად იგრძნოს და გადაიხადოს იმაზე ათჯერ მეტი, ვიდრე მიზანშეწონილია ამა თუ იმ პროდუქტის სანაცვლოდ. ყველაფერს თავისი ფასი აქვს“.

რა თქმა უნდა, კაზანტიპის რესპუბლიკის მიერ გეზის ანაკლიისკენ აღება პოპოვკის არაკეთილგონივრულად გაძვირებას არ განუპირობებია. ძირითადი ფაქტორი პოლიტიკური იყო – ყირიმმა უეცრად „მფლობელი“ შეიცვალა და რუსულ რეალიებში აღმოჩნდა. ნიკიტა მარშუნოკი ყოველთვის ცდილობდა, პოლიტიკური ცხელი წერტილებისგან თავი შორს დაეჭირა. ესეც რომ არა, ამ პირობებში პროექტის ყირიმში გამართვა შეუძლებელი იყო. ყირიმის ანექსიასთან ერთად თავი იჩინა ლოგისტიკურმა საკითხებმა – განსხვავებით კაზანტიპის რესპუბლიკის ვიზისაგან, რუსეთის ვიზის აღების მსურველნი „ყვითელი ჩემოდნებით“ ნამდვილად ვერ გავლენ ფონს. სწორედ ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, იგი საქართველოში მიიპატიჟეს – „უბრალოდ რომ მენახა, როგორი ქვეყანაა“, – ამბობს იგი და ამატებს: „ბევრი რუსისა და უკრაინელის ცნობიერებაში საქართველო არცთუ უსაფრთხო რეგიონია, თანაც ცოტა გაუგებარი. მაგრამ, როგორც კი აქ აღმოჩნდებიან, ეს შთაბეჭდილება რადიკალურად იცვლება. მათთვის საკმარისია ერთი დღე, რომ მიხვდნენ, თუ რა კოლოსალური გზა გაიარა ქვეყანამ და რას წარმოადგენს იგი ამ მომენტისათვის. მეც ერთი დღე მეყო საქართველოს შესაყვარებლად“.

ტურიზმის ეროვნულმა სააგენტომ კაზანტიპის რესპუბლიკის პრეზიდენტს რამდენიმე საკურორტო ქალაქი შესთავაზა ღონისძიების გასამართად, თუმცა მისი არჩევანი ანაკლიაზე შეჩერდა. ნიკიტას თქმით, ბათუმი ზედმეტად ბანალური გადაწყვეტილება იქნებოდა – მას ახალი კურორტების აღმოჩენა და განვითარება უფრო იზიდავს: „ანაკლიაში ინფრასტრუქტურის აუცილებელი ჩანასახები უკვე არის და ხალხიც ახალი, მოდური კურორტის მოლოდინშია. ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ამ ადგილის ეკონომიკური ზრდის კატალიზატორები. ეს ადგილი უბრალოდ მოითხოვს სულის შთაბერვას და გარკვეული ფორმატის დადგენას. ფორმატი მხოლოდ მუსიკით არ შემოიფარგლება. ჩვენ ანაკლიისგან გვინდა შევქმნათ

ფოტო: კაზანტიპის რესპუბლიკის ოფიციალური საინფორმაციო

მულტიკულტურული მექა ადამიანებისთვის, რომლებიც თვალს ადევნებენ უკანასკნელ ტრენდებს. გვინდა იქ დომინირებდეს ხელოვნება, კინო, სპორტი და ყველაფერი ის, რაც აინტერესებს ახალგაზრდა, განვითარებად ადამიანს".

თავად ვიყავი მოწმე, თუ როგორ დასტრიალებს თავს ნიკიტა პირველ სამშენებლო პროცესს. რომ არ მცოდნოდა, ვინ იყო, მშენებელისგან ვერც გავარჩევდი. გარდა რამდენიმე სცენისა, რომელიც ქართველი და უცხოელი დი-ჯეების ვრცელი ლაინაპისთვის ეწყობა, შენდება კარვების ქალაქიც. ადგილის შეცვლასთან დაკავშირებული ლოგისტიკური საკითხები კაზანტიპის რესპუბლიკის ჩვეულ დემოგრაფიას (100 ათასი სტუმარი ბოლო ღონისძიებაზე) ვერ უზრუნველყოფს, თუმცა წელს ღონისძიების ორგანიზატორები მინიმუმ 30 ათას „მოქალაქეს" ელიან, რომელთა 30% ადგილობრივი იქნება. ქართველი და უკრაინელი გოგონებისთვის ვიზა უფასოა. დღეისათვის საიტზე ჯამში 18 ათასზე მეტმა ქართველმა და უკრაინელმა გოგონამ ჩააბარა უფასო ვიზის აპლიკაცია კაზანტიპის რესპუბლიკაში მოსახვედრად. ნიკიტამ ბევრი იმუშავა იმისთვის, რომ კაზანტიპის რესპუბლიკა ანაკლიაში მზად ყოფილიყო ათიათასობით ადამიანის განსათავსებლად: „ჩვენ დიდი ტურისტული სააგენტო გვაქვს, რომელმაც საცხოვრებელი სექტორის უზარმაზარი ბაზა შეადგინა, ჩავატარეთ ტრენინგები, ვესაუბრეთ გამქირავებლებს და მოვამზადეთ ისინი სტუმრების მიღებისთვის. იქნება კარვების ქალაქი, შევუთანხმდით რამდენიმე კომპანიას, რომელთა საზღვაო კრუიზის ლაინერებიც ამ ტერიტორიულ წყლებში შემოვლენ. მოკლედ, ჩვენ მზად ვართ".

გარდა ამისა, იყო მოლაპარაკებები ავიაკომპანიებთანაც, რომლებიც დამატებით რეისებს შეასრულებენ მოსკოვიდან თბილისში 20-30 აგვისტოს - კაზანტიპის რესპუბლიკის ანაკლიაში აღმოცენების პერიოდში. ნიკიტა პირველი თავისი რესპუბლიკის ორგანიზების უმცირეს დეტალებზეც ფიქრობს - როგორ აიცილოს თავიდან საგზაო საცობები რესპუბლიკის მისადგომებთან, როგორ დატოვოს ადგილი იმაზე სუფთად, ვიდრე ჩამოსვლისას დახვდა, როგორ გაუმკლავდეს კონფლიქტის კერების გაჩენას... მას საქართველოში დიდი ხნით დარჩენა და ანაკლიის საინვესტიციო მაგნიტად ქცევა სურს, რაც კაზანტიპის რესპუბლიკის ბიუჯეტის გარდა, საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტსაც ახეირებდა. როგორ ჩაივლის აგვისტო ანაკლიაში არა მხოლოდ კაზანტიპის, არამედ საქართველოს მინიმუმ ერთი რეგიონის განვითარებაზეც იმოქმედებს. ეს კარგად მოეხსენებათ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ სააგენტოშიც, რაც სტუმრების მიმართ განსაკუთრებულ მხარდაჭერას განაპირობებს.

„ჩვენ გვესმის, რომ სტუმრები ვართ, - ამბობს ნიკიტა, - მაგრამ გვინდა თქვენიანებად მიგვიჩნევდეთ, გვინდა საქართველოს ნაწილად ვიქცეთ. ეს დროს მოითხოვს. ჩვენ ამისთვის მზად ვართ და მზად არის თუ არა საქართველო - ვნახოთ".

ანაკლიაში უძრავი ქონების ოცჯერ გაძვირებაზე, 220 სასტუმროს გაჩენაზე და იქ დახარჯულ ასეულობით მილიონზე მსჯელობა ჯერ ადრეა, ისევე როგორც ანაკლიის „მონტეკარლოობაზე", თუმცა ერთი რამ შეიძლება ითქვას: 2014 წლის აგვისტოში ევრაზიის კონტინენტის რეივერების ადმინისტრაციული ცენტრი ზღვისპირა სოფელი ანაკლია იქნება. და თუ რამდენად აქვს ქალაქის სტატუსისთვის მებრძოლ სოფელ ანაკლიას შანსი, იქცეს არათუ ქალაქად, არამედ რეგიონის მუსიკალურ მეგაპოლისად, წელიწადში ასი ათასზე მეტი ადგილობრივი და უცხოელი ტურისტის მიზიდულობის ცენტრად და გართობის ინდუსტრიის ახალგაზრდულ დედაქალაქად, სხვა არაფერზეა დამოკიდებული, თუ არა ნაქებ ქართულ სტუმართმოყვარეობაზე.

საქართველოში კაზანტიპის რესპუბლიკისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია - რელიგიური ლიდერები შიშობენ, რომ სადღესასწაულო ღონისძიების ჩატარების შემთხვევაში სამეგრელოს ღვთის რისხვა დაატყდება თავს. Forbes-ი არ სპეციალიზდება თეოლოგიურ ესქატოლოგიაზე და ვინაიდან ანაკლიის მეტაფიზიკურ პერსპექტივაზე ვერაფერს ვიტყვით, იძულებულნი ვართ ვარსკვლავების კეთილგანწყობა მონეტარული მადლით გავზომოთ. ბიზნესპერსპექტივის თვალსაზრისით კი კაზანტიპის რესპუბლიკის ანაკლიისკენ მიგრაცია წყალობა უფროა, ვიდრე რისხვა. F

პოპოვკა ერთი ჩვეულებრივი მეთევზეთა სოფელი იყო ზღვის პირას, ორი სასტუმროთი. დღეს იქ 220 თუ 223 კერძო სასტუმროა და კიდევ მიმდინარეობს მშენებლობა. მიწა ოცჯერ გაძვირდა. ინვესტიციების რაოდენობა ამ ზონაში რეკორდულია. ირონიულად რომ ვთქვათ, ჩვენ „ქვემეხივით დისკოთეკა" ვართ.

გელა ენდრიუ სულის მორიგი დუბლი – „ქართული ფილმი“

ოცი წლის განმავლობაში სრულ სტაგნაციაში მყოფ კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ ახალი დირექტორი ჰყავს. აშშ-ის მოქალაქე და წარმატებული ბიზნესმენი გელა ენდრიუ სული სამშობლოში ახალი იდეებითა და კინოსტუდიის მძლავრ ბიზნესად ქცევის სურვილით დაბრუნდა. მისი მთავარი მიზანი ჰოლივუდის კინოსტუდიებთან თანამშრომლობაა.

ავტორი: ია ვეკუა; ფოტოები: ხათუნა ხუციშვილი

აქ, ამ ოთახში, გამოუსადეგარი და ყველასგან მივიწყებული ნივთების გროვაში გასული საუკუნის 90-იან წლებში გადაღებული 18 ფილმია შენახული. ეს ფილმები ავტორებისა და პრემიერაზე მიწვეული სტუმრების გარდა არავის უნახავს, მათ არ ჰყოლია ფართო მაყურებელი, არ მოუსმენიათ კრიტიკა და განხილვა. მხოლოდ ის ვიცით, რომ მხატვრული ფილმებია და დასრულებულია. შეიძლება ითქვას, რომ ეს ფილმები იმ გარემოს ზუსტი ილუსტრაციაა, რომელშიც წლების წინ შეინახეს და საგულდაგულოდ გამოკეტეს. თითქმის 20 წელია, სწორედ ასეა გამოკეტილი და მივიწყებული ოდესღაც ცოცხალი და ხმაურიანი „ქართული ფილმი“. თუმცა უკანასკნელი თვეების განმავლობაში აქ ადამიანებმა დაიწყეს დაბრუნება. მათი რაოდენობა ნელ-ნელა მატულობს – ზუსტად ისე, როგორც წლების განმავლობაში მთავარი ჭიშკრიდან სტუდიამდე მიმავალ მოუვლელ გზაზე ორმოების რაოდენობა მატულობდა.

ახალი თაობის წარმომადგენლებს აქაურობის შესახებ ალბათ არც სმენიათ. კინოსტუდიის არსებობა თითქოს ადგილობრივმა მოსახლეობამაც მივიწყა. თუ ადრე ამბობდნენ, რომ კინოსტუდიასთან ცხოვრობდნენ, ახლა „იმედთან“ ცხოვრობენ, თუ ადრე ზეპირად იცოდნენ სტუდიის ეზოში ჩამწკრივებული ბიუსტების თანმიმდევრობა, ახლა მხოლოდ ისღა ახსოვთ, რომ იქ ვიღაცების ძეგლებია, ოდესღაც მათ გვერდით გალიაში გამოკეტილი და მუდამ წრეზე მოძრავი დათვის შესახებ კი არც გაუგიათ.

ბოლოს აქ 1993 წელს ვიყავი. ერეკლე ბადურაშვილი „თბილისი ჩემი სახლიას“ გახმოვანებაზე მუშაობდა. მაშინ პირველად და უკანასკნელად ვნახე ნამდვილ ფილმზე მუშაობის პროცესი. „თბილისი ჩემი სახლია“ ალბათ ერთ-ერთი ბოლო ფილმი იყო, რომელიც „ქართული ფილმის“ ბაზაზე გადაიღეს და დაასრულეს კიდეც, ყოველ შემთხვევაში, მაყურებელი მაინც ჰყავდა და იმ 18 ფილმის ბედიც ასცდა. თუმცა აქ იმ ფილმებზე გაცილებით მეტი რამ არის მიტოვებული და მივიწყებული, უფრო მეტია მოპარული, უკანონოდ გასხვისებული, გაყიდული და სამუდამოდ დაკარგული.

კინოსტუდიას ახლა მხოლოდ სახელი და რეანიმაციის შესაძლებლობის მცირედი ნიშნები შემორჩა. ამ უკანასკნელის მიმართ ოპტიმისტურადაა განწყობილი „ქართული ფილმის“ ახალი დირექტორი გელა ენდრიუ სული – ადამიანი, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ისევე არ იცნობს, როგორც წლების განმავლობაში კინოსტუდიის კედლებში მიმდინარე პროცესებს.

მათ შესახებ ალბათ ოდესმე მაინც გავიგებთ, გელა სულის შესახებ კი ახლავე შეგვიძლია გიამბოთ.

დაბადებისას გელა სულიკაშვილი – გელა ენდრიუ სული – პროფესიით მათემატიკოსია, უფრო კი მათემატიკური ანალიზის სპეციალისტი. მიღებული აქვს იურიდიული განათლებაც, ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირების შემდეგ კი ევერგრინის კოლეჯში, ასევე ჰარვარდისა და იელის უნივერსიტეტებში სახელმწიფოს ადმინისტრირების, ისტორიის, ლიტერატურის, მთავრობის მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების კურსები გაიარა. როგორც ხედავთ, ერთი ადამიანისთვის საკმაოდ ბევრი და განსხვავებული ინგრედიენტი შეგროვდა, ხოლო თუ მათ საკმაზის სახით ალპინიზმით გატაცებასაც დავუმატებთ (80-იან წლებში საქართველოს ნაკრებში ირიცხებოდა), აღარ გაგვიკვირდება, თუ საიდან აქვს გამუდმებით ახალი სიმაღლეების დაპყრობის სურვილი.

თუ გელა სულის CV-ს გადავხედავთ, პუნქტების უმეტესობა სიტყვით „დააარსა“ იწყება: დააარსა და უძღვებოდა, დააარსა და ორგანიზება გაუკეთა, დაგეგმა, ჩამოაყალიბა, განავითარა.

ამჟამად მის მიერ დაარსებული და ჯერ კიდევ მოქმედი ორი ორგანიზაცია მუშაობს. 2008 წლის აგვისტოს ომის ტალღაზე, 2010 წელს დაარსებული The GDP Club-ი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის მთავარი დანიშნულებაც საქართველოსა და ამერიკას შორის კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაა. კლუბი იურიდიულად ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა გელა სულის გარეშე ისეთი აქტიური აღარაა. სამაგიეროდ არ გაჩერებულა გაცილებით დიდი ისტორიის მქონე, 2000 წელს დაარსებული Site4view – გადაღებისა და მედიამენეჯმენტის კომპანია.

Site4view პარტნიორთან ერთად მოდის ფოტოგრაფიის სტუდიის სახით დააარსა. ეს ფინანსურად საკმაოდ მოგებია-

ნი სფეროა და, როგორც გელა სული ამბობს, ბიზნესი საკმაოდ კარგადაც ააწყვეს. „მაიკროსოფტი“, „აი-ბი-ემი“, „ამერიკან ექსპრესი“, „ლორეალი“ და სხვები – ეს სწორედ ის კომპანიებია, რომელთათვისაც Site4view-მ ფოტოგადაღების ლოგისტიკისა და სარეკლამო მენეჯმენტის კუთხით იმუშავა. პარალელურად ძაღების მოსინჯვა კინოსფეროშიც დაიწყეს: 2000 წელსვე ფრანგული დოკუმენტური ფილმის, Winged Migration-ის ამერიკული პრომოუშენი მოამზადეს (2002 წელს ფილმი „ოსკარზე“ იყო ნომინირებული, თუმცა ჯილდო მაიკლ მურის ფილმს „ბოულინგი კოლომბინასთვის“ ერგო), ერთ-ერთი ბოლო ფილმი კი ბერტრან ტავერნიეს „ფრანგი მინისტრი“ (2013) გახლდათ, რომლისთვისაც Site4view-ს ამერიკის ტერიტორიაზე, მათ შორის, რეჟისორებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მიუდგომელ ადგილას, გაეროს შტაბ-ბინაში, გადაღების ორგანიზება დაევალა.

Site4view-ს აქტივში კიდევ რამდენიმე მასშტაბური პროექტი ირიცხება, სამომავლოდაც მრავალი საინტერესო იგეგმებოდა, თუმცა გელა სულის ახლა ამისთვის ნაკლებად სცალია – ის უმოქმედო, ამორტიზებული და მოძველებული, მაგრამ მაინც ქვეყნის მთავარი კინომანქანის ხელმძღვანელია.

გელა ენდრიუ სულის წელიწადზე მეტი ხნის წინ, სწორედ მაშინ დაუკავშირდნენ, როდესაც ქართული კინოს განვითარების ცენტრის 9-წევრიანი საბჭოს ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. თავიდან, როდესაც მას გიორგი ოვაშვილი და ბუბა ხოტივარი დაუკავშირდნენ, სწორედ ამ საბჭოს ხელმძღვანელობის საკითხი განიხილეს, კინოსტუდიის შესახებ საუბარი კი მოგვიანებით შედგა. აღნიშნული საბჭოს ჩამოყალიბება ეკონომიკის სამინისტროს იდეა გახლავთ, რომელსაც მემკვიდრეობით მიღებული სისტემის ავტორიტეტული ადამიანების მეთვალყურეობის ქვეშ გადატანა სურდა. საბჭოც ამ პრინციპით დაკომპლექტდა – მასში ყველასთვის ცნობილი და წარმატებული კინომოღვაწეები შედიან.

გელა ენდრიუ სული: „გიორგი ოვაშვილს ადრეც ვიცნობდი, ბუბა ხოტივარი და საბჭოს დანარჩენი წევრები კი მხოლოდ აქ ჩამოსვლის შემდეგ გავიცანი. ისინი ვაშინგტონში დამიკავშირდნენ და თანამშრომლობა შემომთავაზეს. ამ დროისთვის ქართულ კინოში არსებული ვითარების შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 2013 წლის მარტში მაინც ჩამოვედი. დარჩენას მხოლოდ ერთი კვირით ვგეგმავდი, მაგრამ ყველაფერში ოდნავ მაინც გასარკვევად იმდენი დრო დამჭირდა, აპრილამდე ვერ გავემგზავრე“.

როგორც გელა სული ამბობს, „ქართული ფილმი“ მხოლოდ დეტალია, პაზლის ერთი ნაწილი. მომავალ დირექტორს ერთმანეთზე აკინძული უზარმაზარი, უფორმო და სრულიად უპერსპექტივო ორგანიზმი შერჩა, რომელიც საკმაოდ ეფექტურად მომუშავე ეროვნული კინოცენტრის ფონზე ძალიან საცოდავად გამოიყურებოდა. რეალურად ეს გახლავთ ერთ ჰოლდინგში თავმოყრილი სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი“, მის 100%-იან მფლობელობაში არსებული „ქართული ფილმი – უძრავი ქონება“ (დიღმის კინოსტუდიის ტერიტორია და შენობები), რომელიც 40-ზე მეტ შპს-ს აერთიანებს. ეს უკანასკნელნი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გაფანტულ მოძრავ ქონებას ფლობენ, თუმცა სიტყვა „ქონება“ აქ მხოლოდ პირობითადაა ნათქვამი.

კინოსტუდია სააქციო საზოგადოებად 1995 წელს გადაკეთდა და ამავე პერიოდში განხორციელდა მისი გახლეჩაც. ორი მესამედი სახელმწიფოს, კერძოდ, ეკონომიკის სამინისტროს მფლობელობაში გადავიდა, ერთი მესამედი კი აქციების სახით 2865 აქციონერზე გადანაწილდა. თითოეულ აქციონერს მხოლოდ ერთი ხმა ეკუთვნოდა (დროთა განმავლობაში ზოგმა აქციონერმა სხვების აქციები სიმბოლურ თანხად, 5-10 ლარად შეიძინა), რამაც კინოსტუდია ძალიან ცუდ ვითარებაში ჩააყენა: როგორც გელა სული ამბობს, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა გადაწყვეტილებების მიღება ან სხვის მიერ განხორციელებული ქმედების გაკონტროლება, ვერავინ ამოწმებდა, კინოსტუდიის ქონების რა ნაწილი იყიდებოდა და სად მიდიოდა შემოსული თანხა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ აქციები ფიზიკური სახით არ არსებობდა, მათ მფლობელთა შესახებ მხოლოდ ე.წ. წითელ წიგნში ჩამოწერილი სია მოწმობს, ყიდვა-გაყიდვის პროცესები არსადაა აღწერილი, ამრიგად, პრაქტიკულად გაუგებარია, ვის რამდენი აქცია, შესაბამისად, რამდენი ხმა გაჩნდა. აქციონერთა საზოგადოებას „ქართული ფილმის თანამშრომლები“ ჰქვია. 2012 წელს სახელმწიფომ აქციების გამოსყიდვის მიზნით მას 321 ათასი ლარი გადაურიცხა, ანუ მთავრობამ მათ მფლობელობაში არსებული წილი გამოისყიდა, შესაბამისად, ამ ორგანიზაციას „ქართულ ფილმთან“ კავშირი აღარ აქვს.

თუმცა აქციებთან დაკავშირებული ისტორია ყველაზე მარტივი და იოლად გადასაჭრელი აღმოჩნდა იმ საკითხებთან შედარებით, რაც გელა ენდრიუ სულის წინაშე „ქართული ფილმის“ ზოგადმა მდგომარეობამ დასვა. „ზედაპირული შეფასებითაც ჩანდა, რომ ეს იყო მომაკვდავი ორგანიზაცია“, – ამბობს ის.

კინოსტუდიის მომავალი დირექტორი თანამდებობაზე დანიშვნამდე შეუდგა საქმეს, პირველ რიგში კი ორგანიზაციის სრული ფინანსური აუდიტი მოითხოვა. „ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაციის გარეშე მას არ ჩავიბარებდი. ჩემთვის ყველაზე საინტერესო სწორედ ეს მხარე გახლდათ, რადგან აუდიტის მიერ დადებული დასკვნის საფუძველზე უნდა მემუშავა, მომეზიდა ინვესტიციები, პარტნიორები და ასე შემდეგ“, – ამბობს „ქართული ფილმის“ დირექტორი.

აუდიტის ჩატარების პროცესი დროში გაიწელა, თუმცა საბოლოო დასკვნა მაინც შედგა: გაირკვა, რომ სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბების შემდეგ (1995 წლიდან) ორგანიზაციის ყველა ფინანსური წელი წაგებიანი იყო. ორგანიზაციას არ გააჩნდა დაფინანსება, მაგრამ იხდიდა გადასახადს. გაირკვა ისიც, რომ ადრინდელი ხელმძღვანელობის უყაირათობის გამო ოდესღაც ძალიან მდიდარმა ორგანიზაციამ ფაქტობრივად ყველაფერი და-

კარგა, მათ შორის მიწის დიდი ნაწილიც - ოდესღაც 22 ჰექტარზე გადაჭიმული მიწიდან დღეს „ქართული ფილმის“ მფლობელობაში მხოლოდ 9,5 ჰექტარია დარჩენილი, თუმცა ესეც ზღვაში წვეთია - მთავარი ის გახლავთ, რომ კინოსტუდიის მფლობელობაში დღეს ერთი კინოთეატრიც არაა, ყველა გაყიდულია, მათ შორის არქიტექტურულ ძეგლად აღიარებული „აპოლოც“, რომლის გამოსყიდვაც და პირველად მდგომარეობაში დაბრუნებაც დაახლოებით იმდენსაკეტიან თავსატეხს წარმოადგენს, რამდენ ათას დოლარადაც ათიოდე წლის წინ სწორედ კინოსტუდიიდან გაყიდეს...

თუმცა აუდიტმა ისიც გაარკვია, რომ „ქართულ ფილმს“ შენობისა და დარჩენილი მიწის სახით $12-მილიონიანი აქტივიც გააჩნია. ამავე აქტივს შეადგენს უფრო დიდი სიმდიდრე - 90-იან წლებში გადაღებული 18 ფილმი, რომლებიც პრემიერის შემდეგ საგულდაგულოდაა შენახული და იმის თქმაც შეუძლებელია, კონკრეტულად რა ხარისხის კინემატოგრაფიულ ნამუშევარს წარმოადგენს. როგორც გელა ენდრიუ სული ამბობს, ეს სწორედ ის აქტივია, რომლის ჩამოწერაც წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა, თუმცა ამის გაკეთება აუცილებელია.

„ზედაპირული შეფასებითაც ჩანდა, რომ ეს იყო მომაკვდავი ორგანიზაცია“, - ამბობდა გელა ენდრიუ სული და, ცხადია, ასეც იყო. აუდიტისა და „ქართული ფილმის“ სრული მდგომარეობის შესწავლის შემდეგ მის ადგილას ნებისმიერი სხვა დაფრთხებოდა, მით უფრო, რომ მსოფლიოს უდიდესი ქვეყნის მოქალაქე იმავე ქვეყანაში კარგად აწყობილ და პერსპექტიულ კერძო ბიზნესს ფლობს.

Challenge and opportunity - გვპასუხობს გელა ენდრიუ სული, როდესაც ვეკითხებით, თუ რა გახდა ამ თანამდებობაზე დათანხმების მოტივაცია. მისთვის ეს ახალი გამოწვევის წინაშე დადგომისა და გადაჭრის, საკუთარი თავის გამოცდისა და რაღაც განსაკუთრებულის გაკეთების შესაძლებლობა აღმოჩნდა. მოტივაცია მით უფრო დიდი იყო, რომ სახელმწიფოს მხრიდან სრული დახმარების, ფინანსური ხელშეწყობისა და სხვა სიკეთეების დაპირებაც მიიღო: „ამ დაპირებებიდან ზოგი დაგვიანებით შესრულდა, ზოგიც ჯერ არა. ანუ ზუსტად ისე ხდება, როგორც ეს საქართველოშია მოსალოდნელი. ამას შეგუებული ვარ. სხვა არჩევანიც არ მაქვს - აღმოჩნდა, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ჩემზე არიან დამოკიდებული, მაგალითად, კინოს განვითარების ცენტრის საბჭოს წევრები, რომლებიც მთელი გულით არიან მოწადინებული, რომ „ქართული ფილმი“ ოდნავ მაინც აღორძინდეს, რაღაც როლი მაინც შეიძინოს“.

რაც შეეხება ამერიკაში დატოვებულ ბიზნესს, ამჟამად მას მთლიანად გელა ენდრიუ სულის ბიზნესპარტნიორი განაგებს, თავად ამის დრო აღარ რჩება, მეტიც, წელიწადზე მეტია, ამერიკაში არ ყოფილა.

დღეს გელა ენდრიუ სულის ბიზნესინტერესი, შესაძლებლობები და გამოცდილება მთლიანად „ქართული ფილმზეა“ კონცენტრირებული. მიუხედავად იმისა, რომ სრულად აცნობიერებს აქ არსებულ ვითარებას, ფინანსურ მდგომარეობასა და რთულ პერსპექტივას, ამ უკანასკნელს მაინც ხედავს: „აქაურობის ათვისება და გამოჯანსაღება ნამდვილად შეიძლება, ეს არ გახლავთ ფანტასტიკის სფერო, მით უფრო, რომ სიცოცხლის ნიშანწყალი ნამდვილად შეინიშნება - შარშან საკმაოდ კარგი გამოცდა გავიარეთ“.

> „ზედაპირული შეფასებითაც ჩანდა, რომ ეს იყო მომაკვდავი ორგანიზაცია“.

გელა ენდრიუ სული „არტისტის“, რეჟისორ მიშელ ჰაზანავიჩუსის პროექტ „ძიებას“ (The Search) გულისმობს, ფილმს ჩეჩნეთის ომის თემაზე, რომლის გადაღებაც საქართველოში მიმდინარეობდა. გადამღები ჯგუფი „ქართული ფილმის“ ტერიტორიაზე იყო „დაბანაკებული“, ათვისებული ჰქონდა პავილიონები, საგრიმიოროები და, ზოგადად, საოფისე ტერიტორია. ჰაზანავიჩუსი თბილისში 80-წევრიანი ჯგუფით იყო ჩამოსული, რასაც ქართველების 250-წევრიანი ჯგუფი ემატებოდა. „ეს პროექტი ჩვენთვის მორალურად ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო აღმოჩნდა. მივხვდით, რომ აუცილებლად შევძლებთ ამუშავებას, აქაურობის გაცოცხლებას“, - ამბობს გელა სული.

ამისთვის კი კინოსტუდიას პროფილის შეცვლა მოუწევს - პირველ ეტაპზე მაინც, რადგან „ქართულ ფილმს“ ახლა სწორედ ის პერიოდი უდგას, როდესაც მუზები უნდა დადუმდნენ და ქვემეხებმა იქუხონ.

მსგავსი ორგანიზაციების ამუშავების რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს. მათ შორისაა პოსტპროდუქციის სტუდიების გამართვა, რაც საწყის ეტაპზე წელიწადში 500 ათასიდან ერთ მილიონამდე დოლარის შემოსავლის მომტანი შეიძლება იყოს. როგორც წესი, პოსტპროდუქცია გადაღებებისას დიდ დროსა და ფინანსებს მოითხოვს, ქართველი რეჟისორები ამ ეტაპს (მონტაჟი, ფერების კორექცია, გახმოვანება და სხვა) უცხოეთში არსებულ სტუდიებში გადიან. ამგვარი სტუდიების ჩვენს ქვეყანაში არსებობის შემთხვევაში კი ეს პროცესი გაცილებით იაფი დაუჯდებათ, სტუდიები იმუშავებს უცხოელი დამკვეთებისთვისაც. თუმცა გელა ენდრიუ სული აქ სულ სხვა პრობლემას ხედავს: „გეთანხმებით, რომ პოსტპროდუქციის სერვისი შემოსავლის ალტერნატიული წყაროა, ამ სერვისის ტექნიკურად აღჭურვა და გამართვა შესაძლებელია და დამკვეთებიც გვეყოლება, მაგრამ პრობლემა სპეციალისტების არარსებობაა. რეჟისორი გაბარებს მთელ მასალას, რომელიც სრულყოფილ ფილმად, გასაყიდ პროდუქტად უნდა აქციო, ამიტომ ასპროცენტიანი გარანტია უნდა

მისცე, რომ ხარისხიან ნამუშევარს ჩააბარებ. დღეს კი ჩვენ ამ გარანტიის მიცემა არ შეგვიძლია“.

სპეციალისტების პრობლემაზე მხოლოდ გელა ენდრიუ სული არ საუბრობს, ამის შესახებ რეჟისორებისგანაც ხშირად გაიგებთ, ყველაზე გახმაურებული და ცოტა პარადოქსული ამბავი კი ისევ და ისევ მიშელ ჰაზანავიჩუსის შარშანდელ ვიზიტს უკავშირდება: მართალია, ჰაზანავიჩუსმა თან 80-კაციანი გუნდი ჩამოიყვანა, მაინც დასჭირდა ადგილობრივი სპეციალისტების დაქირავება. ცხადია, უცხოელ რეჟისორთან მუშაობა ბევრმა მოისურვა და სამსახურიც მიიღეს. პარალელურად გიორგი ოვაშვილმა ახალ ფილმზე დაიწყო მუშაობა („სიმინდის კუნძული“ უკვე დასრულებულია და ფესტივალებზეც მოგზაურობს. ფილმმა უკვე მიიღო პირველი გრან-პრიც – კარლოვი ვარის „ბროლის გლობუსი“), რომელიც პრაქტიკულად ტექნიკური პერსონალის გარეშე დარჩა – ყველა საუკეთესო ჰაზანავიჩუსის „ბანაკში“ იყო გადასული, ამიტომ ქართველი რეჟისორი იძულებული გახდა, უცხოელი სპეციალისტები მოეწვია.

სხვათა შორის, საინტერესოა, პავილიონების გარდა კიდევ რა სახის სერვისი შესთავაზა „ქართულმა ფილმმა“ ფრანგ რეჟისორს: კინოსტუდიის ტექნიკური გადახალისება უკანასკნელად 2007 წელს განხორციელდა. მაშინ სახელმწიფომ ხმის, გაციფრების, სამონტაჟო და სხვა ტექნიკა შეიძინა და კინოსტუდიას სარეჟიმოდ გადასცა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის ტექნიკა წარმოუდგენელი ტემპით ვითარდება და ახლდება, მისი გამოყენება კერ კიდევ შეიძლება – ვთქვათ, პირველადი მასალის სანახავად, მარტივი ხმის ჩასაწერად და სხვა. გარდა ამისა, კინოსტუდიის ტერიტორიაზე რამდენიმე კერძო სტუდიაც მუშაობს. ერთს გადასაღები აპარატურა აქვს, მეორეს – ამწე, მესამეს – განათების სისტემა და ასე შემდეგ. მათი მომსახურებით მიშელ ჰაზანავიჩუსის გადამღებმა ჯგუფმაც ისარგებლა – ეს კი გელა სულისთვის დამატებითი მოტივაციაა – „ქართული ფილმის“ დებიუტი იმ სექტორში, რომელსაც ახალი დირექტორი უმიზნებს, უკვე შემდგარია.

ტექნიკურად გამართული სტუდია, კარგი სპეციალისტები, ხელსაყრელი ლოკაცია – ეს იმ სეგმენტების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც, გელა სულის აზრით, თანამედროვე პრეპროდუქციის სერვისცენტრისთვისაა საჭირო. ამგვარი სერვისცენტრები შორსაა შემოქმედებითი მუშაობისგან, თუმცა ფილმწარმოებისთვის უმთავრესი ბაზისია. პრეპროდუქციის ცენტრების მთავარი დანიშნულება გადაღებების მენეჯმენტი და მომსახურებაა, რომელიც ზოგჯერ პროექტის მთლიანი ბიუჯეტის ნახევარს მოითხოვს. „თუ ფილმს $50-მილიონიანი ბიუჯეტი აქვს, პრეპროდუქციის ეტაპი, სულ მცირე, $20-25 მილიონს მოითხოვს ანუ გაცილებით მეტს, ვიდრე მსახიობებისა და ძირითადი გადამღები ჯგუფის ჰონორარი და პოსტპროდუქციის პროცესი. ეს თანხა იხარჯება გადამღები ჯგუფის ცხოვრებაზე, კვებაზე, მგზავრობაზე, ტექნიკაზე, მის შეკეთებასა და ათას წვრილმანზე, რაც მთლიანობაში სერიოზულ თანხამდე ადის. ისევ ჰაზანავიჩუსის პროექტის მაგალითს მოვიყვან – ფილმის ბიუჯეტი 20 მილიონი ევრო იყო, ამ თანხის 20% კი ჩვენთან დარჩა. თანაც ეს იმ პირობებში, როდესაც ამგვარი მომსახურებისთვის პრაქტიკულად მზად არ ვიყავით, არ გაგვაჩნდა გამოცდილება, საჭიროების დროს სწრაფად რეაგირების უნარი, დამკვეთისგან სრული ნდობა და სხვა. უკეთესად მომზადების პირობებში აღნიშნული თანხა გაცილებით დიდი იქნებოდა“, – ამბობს გელა ენდრიუ სული.

მსგავსი სერვისცენტრების გამოცდილება არაერთ ქვეყანას აქვს. ამ მხრივ პიონერი კანადა აღმოჩნდა, რომელმაც ჰოლივუდთან თანამშრომლობა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო. დაახლოებით 10 წლის განმავლობაში კანადური სერვისცენტრები იმდენად დაიხვეწა, რომ ანალოგიური ტიპის ამერიკული ცენტრების სერიოზულ კონკურენტად იქცა, ჯამ-



ში კი 5 მილიარდამდე დოლარის მოგება ნახა. 90-იან წლებში კანადის მაგალითს ჩეხეთმა და უნგრეთმაც მიბაძა, თან ისეთი წარმატებით, რომ ჰოლივუდს ოკეანის გადმოლახვა და ევროპაში მუშაობა აიძულეს. ჩეხეთისა და უნგრეთის გამოცდილება მალე ბულგარეთმა და რუმინეთმაც გაიზიარა, თუმცა ნელ-ნელა ამ ქვეყნებმა ევროკავშირში გაერთიანებაც დაიწყეს, რასაც გადასახადების გაზრდა და ზოგადად ცხოვრების გაძვირებაც მოჰყვა. ანუ თუ გეოგრაფიულ ჭრილში შევხედავთ, ნელ-ნელა ეს ბიზნესი აღმოსავლეთისკენ იწევს, სწორედ იმ მიმართულებით, სადაც აუცილებლად გადაეყრება საქართველოს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ახლა სწორედ ჩვენი ჯერია.

მოდი, ჩეხური სტუდია „ბარანდოვის" (Barrandov Studios) მაგალითი ვნახოთ: ვაცლავ ჰაველის მამისა და ბიძის მიერ 1921 წელს დაარსებული სტუდია, გარდა იმისა, რომ ჩეხურ კინოპროდუქციას აწარმოებს, საერთაშორისო პროექტებზე მომუშავე ერთ-ერთ უმსხვილეს ევროპულ სტუდიადაც მიიჩნევა. მისი მომსახურების პაკეტში შედის: გამართული გადასაღები მოედანი, კოსტიუმებისა და დეკორაციების მსხვილი ბაზა, სასცენო დეკორაციების ფართო არჩევანი, კინოლაბორატორიები და პოსტპროდუქციის სრული სერვისი. ყველაფერთან ერთად „ბარანდოვს" სპეციალისტებიც ჰყავს, რომლებიც საკმაოდ შთამბეჭდავ დღიურ ანაზღაურებას იღებენ. მაგალითად, პროდაქშენმენეჯერისთვის დღეში 240 ევროა განსაზღვრული, კოორდინატორისთვის – 112 ევრო, ლოკაციის მენეჯერი 140 ევროს იღებს, ხოლო რეჟისორის პირველი ასისტენტი – 240-ს. იგივე ჯდება ოპერატორის ასისტენტის დაქირავებაც, ამწის ოპერატორისთვის კი დღეში 140 ევროა განსაზღვრული. საკუთარ ანაზღაურებას (დღეში 60 ევროზე ნაკლებს არც ერთი პროფესიის წარმომადგენელი არ იღებს) იღებენ სტილისტები, მხატვრები, მძღოლები, ხმის ინჟინრები, თარჯიმნები, მექანიკოსები, ელექტრიკოსები და ასე შემდეგ.

ამ ყველაფრის გვერდით შთამბეჭდავია „ბარანდოვის" ბაზაზე გადაღებული თანამედროვე ფილმების ჩამონათვალიც (აქვე აღვნიშნავთ, რომ მილოშ ფორმანის „ამადეუსი", ემირ კუსტურიცას „ანდერგრაუნდი" და 1997 წლის „ოსკარის" მფლობელი „კოლიაც" აქ გახლავთ გადაღებული): Knight's Tale, From Hell, Bourne Identity, Blade II, The League of Extraordinary Gentlemen, Alien vs. Predator, Hellboy, Van Helsing, Eurotrip, Brothers Grimm, The Chronicles of Narnia: The Lion, the Witch and the Wardrobe, The Illusionist, Casino Royale, The Chronicles of Narnia: Prince Caspian, G.I. Joe: The Rise of Cobra, Mission: Impossible IV: Ghost Protocol, Snowpiercer და სხვები. ამ ფილმთაგან უმეტესობას ძალიან დიდი ბიუჯეტი ჰქონდა, ამრიგად იოლად წარმოსადგენია, რა სახის მოგებას ნახულობს „ბარანდოვი" და რისი შანსი გვაქვს ჩვენ.

გელა ენდრიუ სული: „კინობიზნესი ერთმნიშვნელოვნად ჰოლივუდთან ასოცირდება, მთელ მსოფლიოში გაყიდული კინოპროდუქციის 90%-ს სწორედ აქ აწარმოებენ, ამიტომ ჩემი ყურადღებაც იქითაა მიმართული. ცხადია, ხვალ ან ზეგ ამ პროცესში ჩართვის შესაძლებლობა არ არის, მაგრამ რაღაცით აუცილებლად უნდა დავიწყოთ. აქ კი დაგვჭირდება სახელმწიფოს მხრიდან დახმარება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და სხვა აქტივობა. სამწუხაროდ, ადგილობრივი ბიზნესი კინოში ფულის ჩასადებად ჯერ მზად არ არის, ქართველი ბიზნესმენებისთვის კინო ვერა და ვერ იქცა სფეროდ, რომელშიც მშვიდად დააბანდებენ კაპიტალს. მათი ძალიან კარგად მესმის, მაგრამ ამ დამოკიდებულების შეცვლაც შესაძლებელია. ხაზი მინდა გავუსვა იმასაც, რომ თანამედროვე ქართული ფილმების მიერ საერთაშორისო კინოფესტივალებზე მიღწეული წარმატებების მიუხედავად, საქართველოს ფილმმწარმოებელ ქვეყნად არავინ აღიქვამს, ჩვენ არ ვართ კინოქვეყანა, მაგრამ გვაქვს შანსი ეს დამოკიდებულება გამოვასწოროთ. ამ მიმართულებით უკვე ვმუშაობ. ჯერჯერობით შიდა რესურსებით ვცდილობ მინიმალური ბაზისის შექმნას, თუმცა პარალელურად საერთაშორისო კონტაქტებზეც გავდივარ. უკვე ველოდები პასუხს ერთი მსხვილი ჰოლივუდური კინოკომპანიისგან, რომლის წარმომადგენლებიც, სავარაუდოდ, აგვისტოში გვესტუმრებიან და ადგილზე ნახავენ, რისი შესაძლებლობები გვაქვს და რა უნდა შევცვალოთ. ამ სეგმენტში კი ძალიან ბევრია გასაკეთებელი – შეიძლება ითქვას, რომ თითქმის 100 წლის „ქართულმა ფილმმა" ახალი სიცოცხლე უნდა დაიწყოს". F

დაპირებებიდან ზოგი დაგვიანებით შესრულდა, ზოგიც ჯერ არა. ანუ ზუსტად ისე ხდება, როგორც ეს საქართველოშია მოსალოდნელი. ამას შეგუებული ვარ. სხვა არჩევანიც არ მაქვს.

100 ყველაზე გავლენიანი ქალბატონი

ჩვენს საბოლოო ყოველწლიურ გზამკვლევში განსაცვიფრებელი ქალები, კარდინალური ცვლილებების გამტარებლები და საოცრებების ავტორები შევიდნენ, რომლებიც პოზიციებს საერთაშორისო არენაზე იმტკიცებენ. წელს თვრამეტი ახალბედა შემოემატა ჩვენს სიას, რომელსაც დოლარების რაოდენობა და გავლენის ძალა უდევს საფუძვლად.
რედაქტორი: კაროლინ ჰოვარდი

1. **ანგელა მერკელი** 59
კანცლერი, ***გერმანია***

2. **ჰანეტ იელენი** 67
თავმჯდომარე, ფედერალური სარეზერვო სისტემა, ***აშშ***

3. **მელინდა გეიტსი** 49
თანათავმჯდომარე, Bill & Melinda Gates Foundation, ***აშშ***

4. **დილმა რუსეფი** 66
პრეზიდენტი, ***ბრაზილია***

5. **კრისტინ ლაგარდი** 58
მმართველი დირექტორი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ***საფრანგეთი***

6. **ჰილარი კლინტონი** 66
ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ***აშშ***

7. **მერი ბარა** 52
გენერალური დირექტორი, General Motors, ***აშშ***

8. **მიშელ ობამა** 50
პირველი ლედი, ***აშშ***

9. **შერილ სენდბერგი** 44
ოპერაციების დირექტორი, Facebook, ***აშშ***

10. **ვირჯინია რომეტი** 56
გენერალური დირექტორი, IBM, ***აშშ***

11. **პაკ კინ ჰე** 62
პრეზიდენტი, ***სამხრეთი კორეა***

12. **სუზან ვოიციცკი** 45
გენერალური დირექტორი, YouTube, ***აშშ***

13. **ინდრა ნუი** 58
გენერალური დირექტორი, PepsiCo, ***აშშ***

14. **ოპრა უინფრი** 60
მედიამაგნატი, ***აშშ***

15. **ირენ როზენფელდი** 61
გენერალური დირექტორი, Mondelez, ***აშშ***

©GOOVZ, FLICKR

ძალაუფლების გადართვა

მერი ბარამ დეტროიტის მამაკაცთა საავტომობილო კლუბისკენ გზა გაიკაფა და პირველი ქალი გახდა, რომელმაც General Motors-ის გენერალური დირექტორის თანამდებობა დაიკავა, რაც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო. შეძლებს თუ არა ის კომპანიის საქმეების გამოსწორებას?

ავტორი: ჰოან მიულერი

16. **მარია დას გრასას სილვა ფოსტერი** 60
გენერალური დირექტორი, Petrobras, ***ბრაზილია***

17. **ბიონსე ნოულზ-კარტერი** 32
მომღერალი/მეწარმე, ***აშშ***

18. **მარისა მეიერი** 39
გენერალური დირექტორი, Yahoo, ***აშშ***

19. **კრისტინა ფერნანდეს დე კირხნერი** 61
პრეზიდენტი, ***არგენტინა***

20. **მეგ უიტმანი** 57
გენერალური დირექტორი, HP, ***აშშ***

21. **მერილინ ჰიუსონი** 60
გენერალური დირექტორი, Lockheed Martin, ***აშშ***

22. **ურსულა ბარნსი** 55
გენერალური დირექტორი, Xerox, ***აშშ***

23. **ჰელენ კლარკი** 64
ადმინისტრატორი, გაეროს განვითარების პროგრამა, ***ახალი ზელანდია***

24. **სა ფრა კატცი** 52
მთავარი ფინანსური დირექტორი-პრეზიდენტი, Oracle, ***აშშ***

25. **მიშელ ბაჩელეტი** 62
პრეზიდენტი, ***ჩილე***

26. **ნენსი პელოსი** 74
უმცირესობათა ლიდერი, წარმომადგენელთა პალატა, ***აშშ***

27. **ჰინა რაინჰარტი** 60
მილიარდერი-აქტივისტი, ***ავსტრალია***

28. **ემი პასკალი** 56
თანათავმჯდომარე, Sony Pictures Entertainment, ***აშშ***

29. **ლორინ პაუელ ჯობსი** 50
მილიარდერი-ფილანთროპი, ***აშშ***

30. **მარგარეტ ჩანი** 66
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ***ჩინეთი***

31. **ელენ კულმანი** 58
გენერალური დირექტორი, DuPont, ***აშშ***

32. **სოფია ვერგარა** 41
საესტრადო არტისტი-მეწარმე, ***აშშ***

33. **დრუ ჰილპინ ფაუსტი** 66
პრეზიდენტი, ჰარვარდის უნივერსიტეტი, ***აშშ***

34. **აბიგაილ ჯონსონი** 52
პრეზიდენტი, ფინანსური მომსახურება, Fidelity Investments, ***აშშ***

35. **დედოფალი ელიზაბეტ II** 88
მონარქი, ***გაერთიანებული სამეფო***

36. **არუნდჰატი ბჰატაკ ჰარია** 58
თავმჯდომარე, ინდოეთის სახელმწიფო ბანკი, ***ინდოეთი***

მან $100 მილიონზე მეტი დახარჯა 21 კომპანიაზე, ძირითადად, კომპანიების შთანთქმაზე. კიდევ $1.1 მილიარდი - Tumblr-ზე.

ის მართავს ქიმიური მრეწველობის გიგანტს, რომელმაც სახელი მიუწადი ტაფების წარმოებით გაითქვა, მაგრამ კულმანი ფიქრობს, რომ მომავალი გენმოდიფიცირებულ თესლსა და მზის ენერგიას ეკუთვნის.

Ო რი შვილის დედა და General Motors-ის პირველი გენერალური დირექტორი ქალი, მერი ბარა, ჩუმად იჯდა, სანამ ათი დაღუპული ბავშვის მშობელი მასზე საკუთარ მწუხარებასა და რისხვას ანთხევდა. ზოგიერთი წინასწარ მომზადებულ განცხადებას კითხულობდა; სხვები ექსპრომტად საუბრობდნენ. ერთ-ერთმა მამამ პერანგი გაიხსნა, რათა თავისი ქალიშვილის პორტრეტი ეჩვენებინა, რომელიც მაისურზე ჰქონდა დახატული. ყველანი უცნობები იყვნენ, მაგრამ მათ ერთი საერთო ტრაგიკული მოვლენა აერთიანებდათ: ისინი, ვინც მათ უყვარდათ, GM-ის მიერ გამოშვებულ ავტომობილში დაღუპულიყვნენ.

რენე ტროტვეინის 19 წლის ქალიშვილს თავისი საოცნებო კოლეჯის ერთი სემესტრი ჰქონდა დასრულებული, როდესაც 2005 წლის Chevrolet Cobalt-ით ხეს შეეჯახა. საჰაერო ბალიში არ გაიხსნა. დაგ ვეილის 18 წლის ქალიშვილი, ნატაშა, ვისკონსინში დაიღუპა, როდესაც 2005 წლის Cobalt-ი, რომელსაც ის მართავდა, თხრილში ჩავარდა. რენდალ რეიდმეიკერის 15 წლის ქალიშვილი ემი იმავე ავარიაში გარდაიცვალა. სუზან ჰეის 23 წლის ვაჟი რაიან კუიგლი ნიუ-იორკის შტატის ჩრდილოეთ ნაწილში დაიღუპა, როდესაც მისი 2007 წლის Cobalt-ი პატარა ნაკადულში თავდაყირა გადაეშვა.

მსგავსებები შემზარავი იყო: ახალგაზრდა მძღოლები კონტროლს კარგავდნენ; საჰაერო ბალიშები არ იხსნებოდა; ძრავა ქრებოდა; თითოეული მათგანი 2005 და 2007 წლის გამოშვების Chevrolet Cobalt-ს მართავდა.

„გულწრფელად ვწუხვარ თქვენი დანაკარგის გამო", - ისევ და ისევ იმეორებდა ბარა, - მუქთმიანი ქალბატონი, რომელიც მსახიობ სელი ფილდს ძალიან ჰგავს; ქალაქ ვაშინგტონში მდებარე GM-ის ოფისში მიმდინარე თითქმის ორსაათიანი შეხვედრის დროს, რაღაც მომენტში, მას ცრემლებიც კი წამოუვიდა. მეორე დღეს, პირველ აპრილს, ბარა კონგრესის ქვეკომიტეტის წევრების წინაშე უნდა წარმდგარიყო და გამოეკვლია, რას უცდიდა GM-ი წლების განმავლობაში და რატომ არ აჩერებდა Cobalt-ებისა და სხვა მსგავსი მანქანების წარმოებას - მანქანებისა, რომელთა ძრავები, ნაკლოვანი და გაუმართავი დაქოქვის გადამრთველის გამო მწყობრიდან გამოდიოდა. ის დაღუპული ბავშვების ოჯახებს მათი ადვოკატის, რობერტ ჰილიარდის, თხოვნით შეხვდა.

„მათ ადგილას დავაყენე საკუთარი თავი, რადგან ვფიქრობ, ისინი მოსმენას იმსახურებენ", - განუცხადა ბარამ FORBES-ს მაისის ბოლოს, კომპანიის ანგარიშგებამდე რამდენიმე დღით ადრე. ანგარიშგებაზე ზემოთ აღნიშნული ავტომობილების ძრავას ჩაქრობასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევები უნდა განხილულიყო. მასზე ასევე უნდა ემსჯელათ იმის შესახებ, თუ რის გაკეთებას აპირებდა კომპანია იმისათვის, რომ მსგავსი შემთხვევების გამეორება არ დაეშვა. „ეს ძალიან

განხილვის თემა FORBES-ის ქალების სამიტი

ქეთი აირლენდი
CEO, Kathy Ireland Worldwide



ჩვენ გვსურს, ვიხილოთ ჩვენი სქესის პროპორციული წარმომადგენლობა უმაღლესი ხელმძღვანელობის პოსტებზე. ჩვენს ქვეყანაში ქალები ხშირად ხდებიან შეუწყნარებლობის, უმეცრების, რასიზმის, სქესობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლნი. თითოეული ჩვენგანი განიცდის ამას. სხვა ქვეყნებში ქალები დევნას განიცდიან. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს დებზე მთელ მსოფლიოში. მათ ვჭირდებით ჩვენ, რადგან მათი სიცოცხლე საფრთხეშია.

ფოტო: © RUBEN SPRICH / REUTERS; © ALEX GALLARDO / REUTERS; © DAVID MCNEW / REUTERS

განხილვის თემა FORBES-ის ქალების სამიტი

მიშელ ჰოვარდი

სამხედრო საზღვაო ფლოტის ადმირალი



მე ისეთი დარგიდან ვარ, სადაც ძალაუფლება მკაფიოდაა განსაზღვრული. სამხედროები მას ვიყენებთ, როგორც დამანგრეველ ძალას. **მაგრამ მაშინ, როდესაც რისკის გაწევა ძირითადად მამაკაცების პრერეგატივად მოიაზრება, მამაკაცებს წარმოდგენაც არა აქვთ, რისი უნარი შესწევთ ქალებს.** ჩვენ იმავე ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ვფლობთ და ისეთივე გონივრული იურიდიული გადაწყვეტილებების მიღება შეგვიძლია. ჩვენ სრულიად განსხვავებულ პერსპექტივას ვძენთ მისიას და ნებისმიერი მიმართულებით შეგვიძლია მივმართოთ ენერგია.

რთული შეხვედრა იყო ამ ოჯახებისთვის. ჩემი აზრით, საჭირო იყო მათ სცოდნოდათ, რომ General Motors-ი ბრუნავდა მათზე და რომ ჩვენ მათი მოსმენის სურვილი გვქონდა".

რამდენადაც სიმართლისთვის მებრძოლი დაზარალებული ოჯახების მთავარი დასაყრდენი სტატისტიკური მონაცემები იყო, – სულ ცოტა 13 ადამიანი დაიღუპა 31 საავტომობილო ავარიაში – იმდენად ბარასთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, General Motors-ის ახალი სახე წარმოეჩინა – კომპანიისა, რომელმაც დაბალი ხარისხისა და არასწორი მენეჯმენტის წყალობით ხუთი წლის განმავლობაში საკუთარ რეპუტაციას მხოლოდ ჩრდილი მიაყენა, თუკი გადასახადების გადამხდელებით დაფინანსებული 50 მილიარდი დოლარის დაკარგვის შესახებ არაფერს ვიტყვით.

ბარა GM-ის სახეა, რაც ამ მომენტში მისთვის ადვილი საქმე არ არის. იმის მაგივრად, რომ თავისი ისტორიული მიღწევები ეზეიმა, როგორც პირველ გენერალურ დირექტორ ქალბატონს ტრადიციულად მამაკაცების მიერ დომინირებულ ინდუსტრიაში, რაც გმირობის ტოლფასი იყო და რამაც მას FORBES-ის 2014 წლის მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქალბატონების სიაში რიგით მეშვიდე ადგილი დააკავებინა, 52 წლის ბარას, 31 იანვარს, GM-ის წარმოების ავტომობილების შიდაწვის ძრავას გაწვევასთან დაკავშირებულ პრობლემებში გარკვევა მოუხდა და მას შემდეგ ამ პრობლემებთან ჭიდილით არის დაკავებული. პირველი 700 000 ავტომობილის გაწვევა კომპანიამ 7 თებერვალს გამოაცხადა, რაც მოგვიანებით ამ რიცხვის გაორმაგებით დასრულდა და, საბოლოო ჯამში, გაწვეული ავტომობილების რიცხვმა 1.4 მილიონს მიაღწია. მას შემდეგ GM-მა კიდევ უფრო გაამკაცრა საკუთარი უსაფრთხოების ასპექტების ანალიზი და კიდევ 13.6 მილიონი ავტომობილი გაიწვია მცირე ნაკლოვანების მიზეზითაც კი, იქნებოდა ეს დაზიანებული უკანა გაბარიტები თუ უსაფრთხოების ქამრის პოტენციური გაუმართაობები.

კრიზისი ადრეული, მოულოდნელი გამოცდა აღმოჩნდა ბარასთვის ხელმძღვანელის პოსტზე და ბევრი კითხვა წამოჭრა იმის შესახებ, შეძლებს თუ არა კომპანიაში მუშაობის 33 წლის გამოცდილების მქონე ვეტერანი – ან საერთოდ ვინმე – ნამდვილად შეცვალოს კულტურა ისეთ უზარმაზარ ორგანიზაციაში, როგორიც General Motors-ია, კომპანიაში, რომელმაც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ხუთი გენერალური მენეჯერი გამოიცვალა. მას შემდეგ, რაც კომპანიამ ნაკლოვანი ავტომობილების გამოწვევა გამოაცხადა, ბარა კრიზისის გადასალახავად თავდაუზოგავად იბრძოდა. მან შიდა გამოძიების ჩასატარებლად დამოუკიდებელი ადვოკატი ენტონ ვალუკასი დაიქირავა და ავტომობილების გლობალური უსაფრთხოების ახალ პრეზიდენტად ჯეფ ბოიერი დაასახელა. მას შემდეგ, რაც აღიარა GM-ის „როგორც მოქალაქეობრივი, ისე სამართლებრივი ვალდებულებები" დაღუპულ მსხვერპლთა წინაშე, მან კენეტ ფაინბერგს, რომელიც თავის დროზე 11 სექტემბრისა და

ის სათავეში უდგას მსოფლიოს უმსხვილეს შიშველთან მებრძოლ ორგანიზაციას, რომელიც 80 ქვეყანაში მილიონობით ადამიანს დაეხმარა. შარშან მან $4.2 მილიარდის შესაწირები შეიტანა.

55 წლის ასაკში ის გავლენიანი ქალების საუნლო ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. ყველაზე ახალგაზრდაა 29 წლის ლედი გაგა, ყველაზე ხანშიშესული – 88 წლის დედოფალი ელიზაბეტი.

37. **რენე ჯეიმსი** 50
*პრეზიდენტი, Intel, **აშშ***

38. **შრი მულიანი ინდრავატი** 51
მმართველი დირექტორი, მსოფლიო ბანკი, ***ინდონეზია***

39. **ანა უინტური** 64
*სამხატვრო ხელმძღვანელი, Conde Nast, **აშშ***

40. **ჯოის ბანდა** 64
პრეზიდენტი, ***მალავი***

41. **ვუ იაუნი** 50
თანადამფუძნებელი-თავმჯდომარე, Longfor Properties, ***ჩინეთი***

42. **ბონი ჰამერი** 63
თავმჯდომარე, NBC Universal Cable Entertainment, ***აშშ***

43. **ჩანდა ქოჩარი** 52
გენერალური დირექტორი-მმართველი დირექტორი, ICICI Bank, ***ინდოეთი***

44. **ნგოზი ოკონჯო-ივეალა** 60
ფინანსთა მინისტრი, ***ნიგერია***

45. **ერთარინ კოუზინი** 57
აღმასრულებელი დირექტორი, UN World
გაეროს „მსოფლიო სასურსათო პროგრამა", ***აშშ***

46. **ელენ დეჯენერესი** 56
საესტრადო არტისტი-უფლებადამცველი, ***აშშ***

47. **შეიხა ჰასინა ვაიედი** 66
პრემიერ-მინისტრი, ***ბანგლადეში***

48. **ემი ჰუდი** 60
მთავარი ფინანსური დირექტორი, Microsoft, ***აშშ***

49. **ანჯელა არენდსი** 54
უფროსი ვიცეპრეზიდენტი, Apple, ***აშშ***

50. **ანჯელინა ჯოლი** 39
მსახიობი-ფილანთროპი, ***აშშ***

51. **მარგარეტ ჰამბურგი** 58
პარლამენტის კომისიის წევრი, Food & Drug Administration, ***აშშ***

52. **არიანა ჰაფინგტონი** 58
*მთავარი რედაქტორი, Huffington Post, **აშშ***

53. **ლუსი პენი** 41
*გენერალური დირექტორი, Small & Micro Financial Services Group, Alibaba, **ჩინეთი***

54. **შერ ვანგი** 55
*თანადამფუძნებელი-თავმჯდომარე, HTC, **ტაივანი***

55. **შეიხა ლუბნა ალ კაზიმი** 52
*მინისტრი, საერთაშორისო თანამშრომლობა და განვითარება, **არაბთა გაერთიანებული საამიროები***

56. **გეილ კელი** 58
*გენერალური დირექტორი, Westpac Group, **ავსტრალია***

57. **პენ იუიანი** 51
*პირველი ლედი, **ჩინეთი***

ფოტოები: © PATRICK FALLON / REUTERS; © CAREN FIROUZ / REUTERS.

58. **შაკირა მებარაკი** 37
საესტრადო არტისტი-ფილანთროპი, ***კოლუმბია***

59. **ჰო ჩინი** 61
გენერალური დირექტორი, Temasek, ***სინგაპური***

60. **გულერ საბანჩი** 59
თავმჯდომარე, Sabanci Holding, ***თურქეთი***

61. **აუნ სან სუუ კიი** 68
გენერალური მდივანი, დემოკრატიის ეროვნული ლიგა, ***ბირმა***

62. **ჩან სინი** 48
თანადამფუძნებელი-თავმჯდომარე, SOHO China, ***ჩინეთი***

63. **სამანტა პაუერი** 43
ელჩი, United Nations, ***აშშ***

64. **. როზალინდ ბრუერი** 51
გენერალური დირექტორი, Sam's Club, ***აშშ***

65. **ფებე ნოვა კოვიცი** 56
გენერალური დირექტორი, General Dynamics, ***აშშ***

66. **მერი კალაჰანი ერდოესი** 46
გენერალური დირექტორი, Asset Management, JPMorgan, ***აშშ***

67. **ლედი გაგა** 28
საესტრადო არტისტი-უფლებადამცველი, ***აშშ***

68. **დიანა ფონ ფურსტენბერგი** 67
მფლობელი-დიზაინერი, DVF, ***აშშ***

69. **ადენა ფრიდმანი** 44
თანაპრეზიდენტი, Nasdaq, ***აშშ***

70. **ელენ ჯონსონ სირლიფი** 75
პრეზიდენტი, ***ლიბერია***

71. **პადმასრი ვორიორი** 53
უფროსი ტექნიკური სტრატეგიის ოფიცერი, Cisco, ***აშშ***

72. **ელვირა ნაბიულინა** 50
გუბერნატორი, რუსეთის ბანკი, ***რუსეთი***

73. **მერი ჯო აუიტი** 66
თავმჯდომარე, SEC, ***აშშ***

74. **ჩუა სოკ კუნი** 57
ჯგუფის გენერალური დირექტორი, SingTel Group, ***სინგაპური***

75. **მიუჩა პრადა** 65
გენერალური თანადირექტორი, Prada, ***იტალია***

76. **ქეროლ მეიროვიჩი** 60
გენერალური დირექტორი, TJX Companies, ***აშშ***

77. **მერი მიკერი** 54
პარტნიორი, Kleiner Perkins Caufield & Byers, ***აშშ***

78. **ჰელენ გეილი** 58
გენერალური დირექტორი, CARE USA, ***აშშ***

79. **ტორი ბურჩი** 47
გენერალური დირექტორი, Tory Burch, ***აშშ***

„ბოროტი ჭკვიანის“ სახელითაა ცნობილი. გასულ წელს ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ამერიკის ელჩი გახდა გაერომი. 2003 წელს ის დაჯილდოვეს პულიცერის პრემიით წიგნისთვის A Problem from Hell: America and the Age of Genocide-თვის („პრობლემა ჯოჯოხეთიდან: ამერიკა და გენოციდის ერა“).

წელს ბრიუსელში დაბადებული დიზაინერი თავისი კლასიკური, ტანზე მომდგარი შემოსახვევი კაბის მე-40 წლისთავს ზეიმობს.

ქარიშხალ „კატრინას“ მსხვერპლთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საქმეებს კონტროლს უწევდა, თხოვნით მიმართა, რომ GM-ს ავტომობილების მსხვერპლთა პრეტენზიების დაკმაყოფილების შესაძლებლობების შეფასებაში დახმარებოდა. ამ ქალმა საოცრად მოკლე დროში, 16 მაისს, შეძლო შეთანხმების მიღწევა ფედერალურ მარეგულირებელ ორგანოებთან, რეკორდული საჯარიმო თანხის – 35 მილიონი დოლარის (კანონით დაშვებული მაქსიმალური თანხა) გადახდისა – და მომავალი წლიდან ყოველთვიური ანგარიშგების თაობაზე კომპანიის უსაფრთხოების საკითხებში ცვლილებების შეტანის პროცესებთან დაკავშირებით. შიდა საგამოძიებო საქმიანობის შედეგების განხილვა და ფაინბერგის რეკომენდაციების განხორციელება, გეგმის თანახმად, მალევე დაიწყება. ჯერჯერობით კი GM-ის დირექტორთა საბჭო კმაყოფილია ბარას საქმიანობით. „ამ დროის განმავლობაში გაიზარდა ნდობის ფაქტორი გამომდინარე იქიდან, თუ როგორ უძღვება მერი შექმნილ სიტუაციებს, რაც მოიცავს მის გამოსვლებს კონგრესის წინაშე, მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს, – განუცხადა GM-ის თავმჯდომარემ, ტიმ სოლსომ, FORBES-ს, – მან ბრწყინვალედ შეასრულა თავისი სამუშაო და საბჭო ერთხმად აღიარებს ამას“.

ყოველივე ამის ფონზე, ბარა ცდილობდა ნორმების ფარგლებში დარჩენილიყო. მას თან დაადევს Fitbit-ი, მაგრამ მის მიერ გადადგმული 10 000 ნაბიჯის მონაცემები მასში ყოველთვის არ შეაქვს. ის აღიარებს, რომ ნაკლებად სპორტულია („სპორტული რომ მეწოდებინა საკუთარი თავისთვის, ეს სპორტის შეურაცხყოფა იქნებოდა“, – ამბობს ის). ბარა გამოგვიტყდა, რომ უმეტეს თავისუფალ დროს ღია ტრიბუნაზე ჯდომაში ატარებს, საიდანაც აკვირდება, როგორ თამაშობს მისი ქალიშვილი ლაკროსს, ვაჟი კი – ფეხბურთს. მისი თქმით, საშინლად განიცადა, როდესაც ვერ დაესწრო საკუთარი ვაჟის გამოსაშვებ მეჯლისს იმ მიზეზით, რომ ქალაქში არ იმყოფებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ღონისძიებაზე გადაღებული უამრავი ფოტო დაათვალიერა. „ჩემმა შვილებმა მითხრეს, რომ ერთი პროფესია, რომელზეც ანგარიშვალდებულებას არ მომიხსნიან, ეს არის დედობა“, – იცინის ის.

მაგრამ ძირითადად ის მაინც ამერიკის უმსხვილესი კომპანიის მართვაზეა კონცენტრირებული. კომპანიისა, რომელიც დღეს – მიუხედავად ავტომობილების გაწვევისა და ყველა ნეგატიური გამოხმაურებისა პრესაში – ძალიან დიდ ცვლილებებს განიცდის. ამჟამად GM მთელი მისი მოღვაწეობის ისტორიაში საუკეთესო ავტომობილებს აწარმოებს და ჯილდოების მთელ წყებას იმსახურებს Consumer Reports-ის („მომხმარებელთა ანგარიშები“) მხრიდან, რომელიც „სადაზღვევო ინსტიტუტია“ Highway Safety-სა („ავტოსაგზაო უსაფრთხოება“) და სხვებისთვის. GM-

განხილვის თემა FORBES-ის ქალების სამიტი

შერი ბლერი
დამფუძნებელი, Cherie Blair Foundation for Women

ჩვენ ჯერ კიდევ არ გადაგვიწყვეტია, როგორ გავხდით ხელმისაწვდომს კაპიტალს მეწარმე ქალებისთვის – იქნება ეს ამერიკაში, დიდ ბრიტანეთსა თუ ლიბერიაში. თუ 100 დოლარი გჭირდებათ, ალბათ მიკროფინანსურ ორგანიზაციას უნდა მიაკითხოთ. თუ 100 მილიონი დოლარი გინდათ, მსხვილი ბანკები უამრავ შემოთავაზებას გაგიკეთებენ. მაგრამ 50 000–100 000 დოლარი თუ გჭირდებათ იმისათვის, რომ თქვენი ბიზნესი განვითარების მეორე საფეხურზე გადაიყვანოთ, აი, ეს მართლა რთული საქმე იქნება. ეს კი ნამდვილად არ არის კარგი 21-ე საუკუნეში.

ფოტოები: © EDUARDO MUNOZ / REUTERS; © MIKE SEGAR / REUTERS; © NEIL HALL / REUTERS

განხილვის თემა FORBES-ის ქალების სამეტი

ტორი ბურჩი

გენერალური დირექტორი, Tory Burch

ქალების ქსელები მძლავრი საშუალებაა, რადგან ქალების უმეტესობა ვერ პოულობს საკუთარ თავს სხვა ქალებით სავსე ოთახში. ჩემი რჩევაა, ელაპარაკოთ სხვა მეწარმე ქალებს იმიტომ, რომ **ისინი დააბანდებენ კაპიტალს თქვენს კომპანიაში ან რეკომენდაციას გაგიწევენ სხვა ადამიანებთან, რომლებიც კაპიტალს დააბანდებენ.** ეს არის ახალი ხაზში შესული გოგონების კლუბი — ან ახალგაზრდა გოგონების ქსელი.

ის ოთხ ამერიკულ ბრენდს - Chevrolet-ს, Buick-ს, GMC-სა და Cadillac -ს - დილერებით მომხმარებელთა კმაყოფილების თვალსაზრისით, ამჟამად ყველაზე მაღალი ადგილები უკავია. GM-მა გასულ წელს 9.7 მილიონი ავტომობილი გაყიდა მთელ მსოფლიოში და 3.8 მილიარდი დოლარის წმინდა მოგება მიიღო 155.4 მილიარდი დოლარის შემოსავლებიდან. მთლიანი შემოსავალი გადასახადების გადახდამდე და პროცენტით 8.6 მილიარდი დოლარი იყო ანუ ბრუნვის რენტაბელურობა 5.5%-ს შეადგენდა, რაც აღემატებოდა 2012 წლის 5.2%-ს. ისეთი ახალი პროდუქტის გამოშვება, როგორიცაა 2015 წლის Cadillac Escalade და Chevy Colorado-ს პიკაპი, ბარას არსენალს კიდევ უფრო განამტკიცებს. ამიტომ, მიუხედავად პრობლემებისა - ჩინური ბაზრის შენელება, გაჩერებული ევროპული ეკონომიკა - ბარა ოპტიმიზმს არ კარგავს.

„ჩემი აზრით, პროდუქციის პერსპექტივის თვალსაზრისით, ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, - ამბობს ბარა. - თავიდან შენებას დრო სჭირდება“.

მაგრამ შიდაწვის ძრავას ხარჯებთან დაკავშირებულ პრობლემებს თუ მივიღებთ მხედველობაში, აღნიშნავს, რომ სასამართლო სარჩელებმა და პოტენციურმა ჯარიმებმა მთლიანად შეიძლება წაიღოს 2014 წლისთვის პროგნოზირებული 5 მილიარდი დოლარის მოგება - რისკი თვალში საცემია. გადარჩენისთვის ბარამ უნდა შეძლოს, რომ მისი „ახალი“ GM ძველი კომპანიის ნანგრევებიდან საბოლოოდ წამოიმართოს და მან ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოახერხოს.

ავტოინდუსტრიის ისტორიაში ყველაზე გავლენიანი ქალი

ამ ბიზნესში იმავე გზით მოვიდა, როგორც ეს მისი თაობის ბევრმა სხვა წარმომადგენელმა გააკეთა 1980-იან წლებში: ოსმოსისის (თეორია სწავლის მეთოდის შესახებ ბალიშის ქვეშ წიგნის დადების საშუალებით) გზით. მისი ქალიშვილობის სახელი და გვარია მერი მაკელა. ის გაიზარდა მიჩიგანის შტატის დეტროიტის საშუალო კლასის გარეუბანში, ვოტარფორდ ტაუნშიპში, სადაც ადგილობრივი საავტომობილო დილერები ახალი ავტომობილების მიღების აღსანიშნავად მცირე დღესასწაულებს აწყობდნენ: მაღაზიის ვიტრინებს ფარავდნენ იმისათვის, რომ შემდეგ საზეიმოდ გახსნით მეტისმეტად გაეზვიადებინათ ახალი ნაწარმის მნიშვნელობა. მამამისი GM-ის ყოფილი Pontiac-ის განყოფილებაში შტამპების დამამზადებლად მუშაობდა. მასაც იგივე, ყველასათვის კარგად ცნობილი GM-ის ლურჯი უნიფორმა ეცვა ისევე, როგორც ყველა სხვა ბოისკაუტების რაზმების ლიდერებს, მწვრთნელებსა და მამებს მათ სამეზობლოში. ის თავის გადასახსნელი ზედანაწილიანი წითელი Pontiac Firebird-ით დასრიალებდა, რომელიც ძალიან უყვარდა. „ყველა ჩვენი მამა Pontiac Motors-ის განყოფილებაში მუშაობდა, - თქვა Navistar-ის გენერალურმა დირექტორმა ტროი კლარკმა. ის GM-ის ყოფილი ხელმძღვანელი იყო და ბარას უბანში ცხოვრობს.

წელს შედგება ჯილდოების მფლობელი მსახიობის დებიუტი Weibo-ს მაყურებლების 48-მილიონიანი არმიის წინაშე და აგრეთვე გაეროს ლტოლვილთა საააგენტოში პირველი ჩინელი კეთილი ნების ელჩის ამპლუაში.

2.6 მილიარდი დოლარის კაპიტალით ის ერთ-ერთია ამ სიაში მყოფ იმ ცხრა მილიარდერს შორის, რომლებმაც თავიანთი ქონება საკუთარი ძალისხმევით დააგროვეს; ხოლო იმ ქალების ჩათვლით, რომლებმაც ქონება მემკვიდრეობით მიიღეს ოჯახებისგან ან ქმრებისგან, სულ 13 მილიარდერი ქალია, რომელთა კაპიტალი ერთად აღებული 80 მილიონ დოლარს აღწევს.

80. **პატრისია ჰარისი** 57
გენერალური დირექტორი, Bloomberg Philanthropies, ***აშშ***

81. **სუნ იაფანგი** 51
თავმჯდომარე, Huawei, ***ჩინეთი***

82. **სოლინა ჩაუ ჰოი შონი** 52
დირექტორი, Li Ka Shing Foundation, ***ჰონ-კონგი***

83. **იაო ჩენი** 34
საესტრადო არტისტი-ფილანთროპი, ***ჩინეთი***

84. **ჯუდი ფოლკნერი** 71
მილიარდერი-საესტრადო არტისტი, Epic Healthcare, ***აშშ***

85. **პატრისია ვოერცი** 61
გენერალური დირექტორი, Archer Daniels Midland, ***აშშ***

86. **ლუბნა ოლაიანი** 58
გენერალური დირექტორი, Olayan Financing, ***საუდის არაბეთი***

87. **ჰუ შული** 61
დამფუძნებელი-რედაქტორი, Caixin Media, ***ჩინეთი***

88. **რიზა ლავიცო-მიურეი** 59
გენერალური დირექტორი, Robert Wood Johnson Foundation, ***აშშ***

89. **ჟიზელ ბიუნდჰენი** 33
მოდელი-მეწარმე, ***აშშ***

90. **გვინ შოტველი** 66
მთავარი ოპერაციების დირექტორი, SpaceX, ***აშშ***

91. **შეიხა ალ-მაიასა ბინტ ჰამად ალ-თანი** 31
ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერი, ***კატარი***

92. **კირან მაზუმდარ-შაუ** 61
თავმჯდომარე-მმართველი დირექტორი, Biocon, ***ინდოეთი***

93. **სარა ბლეკლი** 43
დამფუძნებელი, Spanx, ***აშშ***

94. **ფატიმა ალ ჯაბერი** 44
მთავარი ოპერაციული დირექტორი, Al Jaber Group, ***არაბთა გაერთიანებული საამიროები***

95. **ჯენიფერ ლი** 46
მთავარი ფინანსური დირექტორი, Baidu, ***ჩინეთი***

96. **ფოლორუნშო ალაკიჯა** 63
მეწარმე- მაგნატი, ***ნიგერია***

97. **ვეილი დაი** 52
თანადამფუძნებელი-პრეზიდენტი, Marvell Technology Group, ***აშშ***

98. **ბეთ ბრუკ-მარცინიკი** 55
გლობალური ვიცეთავმჯდომარე, EY, ***აშშ***

99. **ლილა ტრეტიკოვი** 36
აღმასრულებელი დირექტორი, Wikimedia Foundation, ***აშშ***

100. **გრეტა ვან სუსტერენი** 59
წამყვანი, Fox News, ***აშშ***

ფოტოები: © ANDREW KELLY / REUTERS; © STEPHANE MAHE / REUTERS; © AFOLABI SOTUNDE / REUTERS

რობდა, იგივე სკოლა დაამთავრა, რაც GM-ის ახლანდელმა მმართველმა. – ჩვენ, ძირითადად, ისეთ ადგილას გავიზარდეთ, სადაც ყველა ერთმანეთის თანამშრომელი იყო“.

ბავშვობაში ბარაც და მისი ძმა, პოლიც (ამჟამად ექიმი), საუკეთესო მოსწავლეები იყვნენ მათემატიკასა და სხვა მეცნიერებებში. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1979 წელს, მერიმ სწავლის გასაგრძელებლად General Motors Institute-ი აირჩია (რომელსაც ამჟამად Kettering University ჰქვია) ფლინტში, მიჩიგანის შტატში. ეს გახლდათ კოოპერაციული სავაჭრო სასწავლებელი, რომელიც 1919 წელს იყო დაფუძნებული და 1926 წლიდან 1982 წლამდე GM-ს ექვემდებარებოდა. მას სპონსორობას Pontiac-ის განყოფილება უწევდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ კომპანია მისი სწავლების ფულს გადაიხდიდა და ამასთანავე რეალური გამოცდილების მიღების შესაძლებლობასაც მისცემდა. მისი ერთ-ერთი პირველი დავალება, კოოპერაციული სტუდენტის რანგში, Pontiac-ის ღითონის შტამპირების სახელოსნოში მუშაობა იყო. ეს იყო ხმაურიანი, ცოცხალი ქარხანა, სადაც უზარმაზარი საწარმოო წნეხები ფოლადის ბრტყელ ფურცლებს მანქანების ნაწილებში პრესავდნენ. „ეს ისეთი გარემო იყო, რომელიც ბევრ ადამიანში შიშს გამოიწვევდა, მათ შორის – მამაკაცებშიც“, – მოგვითხრობს კლარკი, რომელმაც, ბარას მსგავსად, თავისი პროფესიით მუშაობა ადრე დაიწყო.

ბარას ამ საქმის არათუ არ შეშინებია, პირიქით, ის შეყვარებული იყო მასზე და ნელ-ნელა ამ დარგმა გაიტაცა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1985 წელს, ის სრულ განაკვეთზე სამუშაოდ მოეწყო GM-ში, როგორც ხარისხის ინსპექტორი Pontiac-ის ქარხანაში. მას თავისი წვლილი შეჰქონდა ქარხნის მიერ სპორტული ავტომობილის, Fiero-ს, მასობრივ გამოშვებაში, რომელსაც ძრავა ცენტრალურ ნაწილში ჰქონდა მოთავსებული. მისი ოთახის მეზობელი კატერინა მალკოლმ-ბრიკმანი იხსენებს, როგორ მოიყვანეს თავიანთი საამაყო, ახლადდაქორწინებული ბარა მშობლებმა და ქმარმა მანქანით. ერთ-ერთი მისი მოგონება ბარაზე, რომელიც მას ძალიან ცოცხლად დაამახსოვრდა, იყო 1989 წლის ის ღამე, როდესაც Giants-Oakland A-ის სპორტული შეჯიბრების მიმდინარეობისას, თავს მიწისძვრა დაატყდათ. მეგობრების ჯგუფთან ერთად მყოფი მოკუნტული, შეშინებული ბარა სიბნელეში ხითხითებდა. „როგორც ვხვდები, დღეს ღამე World Series (ჩემპიონატი) აღარ იქნება“, – თქვა მან, რასაც სიცილის ტალღა მოჰყვა. „მას შეეძლო საკუთარი თავის გამოწრთობა, – ამბობს მალკოლმ-ბრიკმანი, – ის ღამე ყველამ ერთად გავატარეთ“.

ამ ორგვაროვნებამ (მშვიდი, ანალიტიკური სტილის ინჟინერი, რომელმაც კრიზისში სითბოსა და ჭკუის შენარჩუნება მოახერხა) პროფესიულ წრთობასთან ერთად კომპანიაში მზარდი რეპუტაციაც მოაპოვებინა. 1999 წელს, GM ჯგუფის შრომითი ურთიერთობების ვიცე-პრეზიდენტმა, გერი კაუგერმა, ქარხნის თანამშრომლებთან დაძაბული შრომითი მოლაპარაკებების მიმდინარეობისას მას კავშირის გაუმჯობესება დაავალა. მას შემდეგ, რაც ბარა ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა, მუშების დამოკიდებულება შეიცვალა: „იყო საუბრები პენსიებსა და ბოულინგის ქულებზე, – თქვა ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა. – ასევე იყო გულწრფელი საუბრები იმაზე, თუ რომელი ქარხანა აკეთებდა ფულს, რომელი არა და რატომ უნდა ემუშავათ მათ შაბათ-კვირასაც იმისათვის, რომ კომპანია არ გაჩერებულიყო. – მანამდე ხალხს არ სჯეროდა ასეთი რამეების“.

მოგვიანებით, ოთხი წლის შემდეგ, ის უკვე თავის საკუთარ ქარხანას მართავდა – GM's Detroit-Hamtramck-ის ამწყობ ქარხანას. D-ham-ი, როგორც მას GM-ის სალაპარაკო ენაზე ეძახიან, 1985 წელს გაიხსნა იაპონური კონკურენციის დასამარცხებლად, როგორც ავტომატიზაციის ახალი ეპოქის ნიმუში, მაგრამ ეს ტექნოლოგია იმდენად არასაიმედო აღმოჩნდა, რომ GM-მა იმდენივე დრო დახარჯა რობოტების ქცევის მოსაწესრიგებლად, რამდენიც მანქანების ასაწყობად. იმ დროისთვის, როდესაც ბარა ამ ქარხანაში გადმოვიდა, რეორგანიზების პროცესის შემდეგ, D-ham-ი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. პირველი თვის განმავლობაში, ნგრევის პირას მისულ კომპლექსში ბარა აქეთ-იქით დახეტიალებდა და ვისაც კი შეხვდებოდა, ყველას ელაპარაკებოდა. „როდესაც ის ქარხნის საწარმოო საამქროში მიდიოდა, იქ ყველას სახელით იცნობდა“, – ამბობს ბარას იმდროინდელი უფროსი, წარმოების ხელმძღვანელი, ლერი ზანერი. ყველაფერი არც ისე მშვიდად იყო. ბარამ. მოსვლიდან ცოტა ხანში, ბიუჯეტის მომზადება დაიწყო და ქარხანასთან მისასვლელ გზაზე მდგარი ხეების მოსართავად გათვალისწინებული საშობაო სინათლეების გაუქმება გადაწყვიტა. „მახსოვს, მის პირდაპირ ვიჯექი, – ამბობს ფრენკ მოულტრი, მოგვიანებით იმ საწარმოს თავმჯდომარე, რომელსაც მხოლოდ პროფკავშირების წევრები აჰყავდა სამუშაოზე, – და მახსოვს, როგორ თქვა: 'მაშაყირებთ? ისეთ ცუდ მდგომარეობაში ვართ, რომ ხეებზე საშობაო სინათლეების ანთების საშუალება არ გვაქვს'“. ისინი შეთანხმდნენ, რომ ელექტრობის ანგარიში გაიყოფოდა.

„მისი ხელმძღვანელობის დროს ცარიელ ლაპარაკს არასოდეს ჰქონია ადგილი“,

განხილვის თემა FORBES-ის ქალების სამეტი

თერეზია გოუვი

თანადამფუძნებელი, Aspect Ventures

საქმე ყოველთვის ფულის კეთებაში როდია, არამედ ასევე ცვლილებების შეტანაში. რამდენ ადამიანზე შეგიძლიათ გავლენის მოხდენა? რამდენი პროგრამა შეგიძლიათ დააფინანსოთ? რამდენი მომსახურება შეგიძლიათ გასწიოთ? აი, ამ საკითხებით დავინტერესდი როგორც ინვესტორი და დაინტერესდნენ ფილანთროპები ზოგადად. ბევრი ჩვენგანი ფიქრობს ინვესტიციების შესახებ, არა მარტო ფულის თვალსაზრისით, არამედ დროის თვალსაზრისითაც.

– დასძენს მოულტრი, – არამედ აქცენტი კეთდებოდა იმის გააზრებაზე, თუ რა გზით მიგვეღწია წარმატებისთვის“. ორი წლის განმავლობაში D-ham-ის წარმატება, ხარისხისა და უსაფრთხოების სფეროში, ორნიშნა ციფრებით აღინიშნა და მან J.D. Power-ის ხარისხის პრემია მიიღო.

სანამ ბარა D-ham-ის მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობდა, მთელ GM-ში 2005 წლის Chevrolet Cobalt-ის გამოსაშვებად ემზადებოდნენ – ავტომობილის, რომელიც ათი წლის შემდეგ მათ მოსვენებას არ მისცემდა. წლების შემდეგ, როდესაც ინჟინრების მცირე ჯგუფმა დაიწყო ანგარიშების გამოძიება იმასთან დაკავშირებით, რომ ბიძგის დროს Cobalt-ის გასაღები „სვლის“ რეჟიმიდან ვარდებოდა, ბარას თქმით, მან პირველად გაიგონა ამის შესახებ, რადგან D-ham-ი ძირითადად Cadillac-ებს, Buick-ებსა და Pontiac-ებს უშვებდა, და არა Cobalt-ებს.

მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, როდესაც ბარა პროფესიულ ზრდას განიცდიდა, კომპანიაში – ის საინჟინრო წარმოების აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნით დააწინაურეს, რომლის მოვალეობაში შედიოდა საწარმოო პროცესებისა და დანადგარების განვითარება – ნელ-ნელა მწიფდებოდა ავტომობილის ჩამრთველთან დაკავშირებული პრობლემა. 2005 წელს პროდუქტის ინჟინრებმა ორჯერ განიხილეს ამ პრობლემის პოტენციური მოგვარების საკითხი, მაგრამ სინამდვილეში ქმედებაზე არ გადასულან. ამის მაგივრად, 2005 წლის დეკემბერში მათ „მომსახურების ბიულეტენი“ გამოუშვეს. ბიულეტენის მიზანი იმ მომხმარებლების გაფრთხილება გახლდათ, რომლებიც ძრავას მოულოდნელ ჩაქრობასთან დაკავშირებით ჩიოდნენ, რომ გასაღებზე მიმაგრებული ჯაჭვებიდან მძიმე საგნები მოეშორებინათ. 2006 წელს ავტომობილის ჩამრთველი ჩუმად გადაკეთეს, ამ ნაწილის ნომრის შესაბამისი ცვლილების გარეშე, რაც მნიშვნელოვანი შეცდომა იყო, რომელიც გაეპარათ და წლების განმავლობაში ვერ შეამჩნიეს. როგორც ჩანს, ეს ავტომობილების გაწვევის გადავადების მიზეზი გახდა.

და ასე გაიგო ბარამ ავტომობილის ჩამრთველის პრობლემის შესახებ? „თქვენ ხომ მართლა მნიშვნელოვანი პერსონა ხართ კომპანიაში, – თქვა სენატორმა ბარბარა ბოქსერმა ბარას რეზიუმეს ნაწილების კითხვის შემდეგ, აპრილში კონგრესის მოსმენისას. – რაღაც ძალიან უცნაური ამბავია, რომ ასეთ მაღალ თანამდებობაზე მყოფმა პირმა არაფერი იცოდეს ასეთი პრობლემის შესახებ“.

სინამდვილეში, როგორც ბარა ირწმუნება, ეს არც ისე უცნარია. GM-ი, რომელსაც დღეს 219 000 თანამშრომელი ჰყავს (ათი წლის წინ მათი რაოდენობა 326 000 იყო), უზარმაზარი, კომპლექსური ორგანიზაციაა. მარტო პროდუქტის განვითარებაზე 30 000 კაცი მუშაობს. როგორც მან შენიშნა, მოწმის ჩვენებების მიცემისას, თანამშრომლებთან კომუნიკაციის საკითხი არც ისე კარგად არის მოგვარებული. „არსებობდა დაქსაქსულობა და ამის გამო, როდესაც ინფორმაცია ორგანიზაციის ერთ ნაწილში ცნობილი ხდებოდა, მაგალითად, იურიდიულ განყოფილებაში, სხვა ნაწილებისთვის, მაგალითად, საინჟინრო განყოფილებისთვის, იმავე ინფორმაციის ისე ეფექტურად, სავალდებულო რეჟიმით გადაცემა არ ხდებოდა, როგორც ეს საჭირო იყო“, – მოუთხრო მან კომიტეტს.

„ეს ისეთი ტიპის გარემო იყო, რომელსაც მამაკაცებშიც კი შეეძლო შიშის გამოწვევა“.

გარდა ამისა, ავტომობილების ყველა მწარმოებელში არსებობს უსაფრთხოების საკითხების შეფასების პროცესი, რომელიც შეგნებულად არ გულისხმობს ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების მონაწილეობას, რადგან მათ არ სურთ ღირებულების საფასურზე არამართებული გავლენა მოახდინონ. „მე არ შემიძლია ჩარევა, – ამბობს სერჯო მარჩონე, GM-ის მეტოქე კომპანიის, Chrysler-ის გენერალური დირექტორი. – ჩემი ტექნიკური განყოფილების თანამშრომლები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას“.

როდესაც 2009 წელს კომპანიის პრობლემები მოულოდნელად საჯაროზე გამოვიდა, რაც აფეთქების ტოლფასი იყო, ის მხოლოდ პრეზიდენტ ობამას სამართლიანმა შიშმა გადაარჩინა. პრეზიდენტს ეშინოდა, რომ GM-ის კარების დახურვას ამერიკის მყიფე ეკონომიკისთვის შეიძლება არასასურველი შედეგები მოეტანა (და, ირიბად, წუხდა იმ ათასობით მომწოდებლის გამო, რომლებიც მასზე იყვნენ დამოკიდებული). ამიტომ ვაშინგტონმა მაშინდელი გენერალური დირექტორი, რიკ ვაგონერი ფრედერიკ „ფრიც“ ჰენდერსონით შეცვალა და კომპანიის მართვა მას დაავალა.

ჰენდერსონმა ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე ბარას კანდიდატურა დაასახელა. ამ თანამდებობაზე, ბარა, სტრუქტურის გარდაქმნის საშუალებით კომპანიის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მხოლოდ სათანადო პირების შესაბამის პოზიციებზე დანიშვნით კი არ იყო დაკავებული, არამედ ასევე მუშაობდა კენეტ ფაინბერგთან ერთად, რომელსაც ობამას ადმინისტრაციისგან დავალებული ჰქონდა GM-ის 25 საუკეთესო ხელმძღვანელი პირისთვის ანაზღაურების შეზღუდვების შემოღება, სანამ კომპანია სამთავრობო საკუთრება გახლდათ. „ის ძალიან ეფექტურად აწარმოებდა მოლაპარაკებებს, – ამბობს ფაინბერგი, – მან ყველაფერი იცოდა იმ 25 კაცის შესახებ. ამასთან, ის ძალიან მოქნილი მომლაპარაკებელი იყო. ბარა არასოდეს

ექვსი წელი, ხუთი გენერალური დირექტორი

გაკოტრების შემდეგ GM-მა უფრო მეტი ხელმძღვანელი გამოიცვალა, ვიდრე იმავე ზომის, აშშ-ის რომელიმე სხვა კომპანიამ.



რიკ ვაგონერი
2000–09

დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა კომპანიის სათავეში; ამ თანამდებობიდან ის ვაშინგტონმა მოხსნა კომპანიის კრიზისიდან გამოსვლის პერიოდში.

ფრედერიკ "ფრიც" ჰენდერსონი
მარტი-დეკემბერი 2009

ობამას მიერ არჩეული ხელმძღვანელი, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა GM-თვის მისი ბანკროტად გამოცხადების შემდეგ.

ედ უაიტეკრი
2009–10

AT&T-ის ყოფილი უფროსი, რომელმაც ავტოსაწარმოში სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა უზრუნველყო.



დენ ეიკერსონი
2010–14

ხელმძღვანელობდა GM-ის, როგორც ღია სააქციო კომპანიის, ხელახლა დაბადებას.

მერი ბარა
2014

ათწლეულის შუა ხანებისთვის დასახული ძნელად მისაღწევი მიზნების განხორციელება მას ხვდა წილად.

ჯდებოდა მოლაპარაკებების მაგიდასთან ერთი უდრეკი პოზიციით".

კიდევ ერთი მოკლევადიანი გენერალური დირექტორის (AT&T-ის ყოფილი ხელმძღვანელი ედ უაიტეკრი) მოსვლისა და წასვლის შემდეგ, ბარას წინამორბედი, დენ ეიკერსონი, კომპანიის მოსაწესრიგებლად და აღსადგენად ბეჯით შრომას შეუდგა. ეიკერსონი და ბარა თავიდანვე სიმპათიით განიმსჭვალნენ ერთმანეთის მიმართ. ეიკერსონმა პროდუქტის განვითარებისა და შესყიდვების განყოფილებები გააერთიანა და ბარა ახალი განყოფილების ხელმძღვანელად დანიშნა. ბარამ „იქ გამეფებულ ქაოსში წესრიგი შეიტანა", – ამბობს ეიკერსონი. მან მართვის ნაწილი ჩამოაჭრა მენეჯმენტს და მეტი პასუხისმგებლობა მთავარ ინჟინრებს გადასცა.

გაბანკროტების წყალობით, მილიარდობით დოლარის დავალიანებისგან გათავისუფლებულმა ეიკერსონმა, სწრაფი ტემპით დაიწყო GM-თვის შემუშავებული გეგმების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავდა მეტი ავტომობილის შექმნას უფრო ნაკლები საბაზისო პლატფორმებით, როგორც ეს Ford Motor-სა და Volkswagen-ის შემთხვევაშია. GM-მა ახალი ფინანსური იარაღი შექმნა და 1 მილიარდი დოლარი დახარჯა პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილების ხელახლა შექმნაზე, რომლის სამუშაოსაც მანამდე გარედან მოწვეული პირები ასრულებდნენ. ამით კომპანიას შესაძლებლობა მიეცა, უკეთ მოეგვარებინა მონაცემების საკითხი, რაც უფრო გონიერი გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარებოდა. მაგალითად, GM-ს პირველად მიეცა საშუალება, თვალყური ედევნებინა იმისთვის, თუ რა რაოდენობის ფულს გამოიმუშავებს ის თითოეულ ბაზარზე გაყიდული თითოეული ავტომობილით მთელ მსოფლიოში.

2013 წელს, როდესაც GM-ის დირექტორთა საბჭო მოემზადა ეიკერსონის კომპანიიდან წასვლისთვის, ბარას სახელი იმ ოთხ კანდიდატურას შორის მოხვდა, რომლებიც ამ ყველაზე მაღალ და საპასუხისმგებლო თანამდებობისთვის განიხილებოდნენ. „მინდოდა დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ ბარა აბსოლუტურად სწორი არჩევანი იყო, – ამბობს ეიკერსონი – ის ფაქტი, რომ მერი ქალია, დიდებულია. მან დაიმსახურა ეს პოსტი შესრულების ხარისხისა და პოტენციალის წყალობით".

ხელმძღვანელობა 2013 წლის დეკემბერში მოულოდნელად შეიცვალა, როდესაც ეიკერსონის მეუღლეს, კარინს, სიმსივნის დიაგნოზი დაუდგინდა და მან გადაწყვიტა თანამდებობა დაეტოვებინა, რათა მეუღლეზე თვითონვე ეზრუნა. ეიკერსონმა ოფიციალურად დანიშნა ბარა გენერალურ დირექტორად კომპანიის სხდომათა დარბაზის გარეთ, ვაშინგტონის სასტუმრო Mandarin Oriental-ში, GM-ის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ძრავას სტარტერთან დაკავშირებული პრობლემა კარს იყო მომდგარი, ბარას გენერალურ დირექტორად დანიშვნა მის გაწირვას ხომ არ ნიშნავდა? „რა თქმა უნდა, არა, – ამბობს ეიკერსონი. – თვითონ ბარაც ასე ფიქრობდა და იმ მომენტიდან, როგორც კი ამ პრობლემის არსებობის შესახებ შეიტყო, როგორც მოველოდი, მის გადაჭრაზე დაიწყო მუშაობა. მან მართლაც არ იცოდა ამის შესახებ, შემიძლია საკუთარი თავით ვაგო პასუხი".

„მან დაიმსახურა ეს პოსტი მის მიერ სამუშაოს შესრულებისა და მისი პოტენციალის სანაცვლოდ".

ფოტოებ: © REBECCA COOK / REUTERS; © STR New / Reuters; © POOL New / Reuters

ამ ხუთი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც GM-ი გაკოტრებულად გამოცხადდა, საკუთარი რეაბილიტაციის მისაღწევად კომპანიამ გრძელი გზა განვლო, რაც ბარას მანევრირების საშუალებას აძლევდა. მისი საცალო ბაზრის წილი (საავტომობილო პარკების მქონე მომხმარებელთათვის გაყიდვების გამოკლებით) გაიზარდა, ხოლო გაყიდვების საშუალო ფასებმა, წინა წელთან შედარებით, 2000 დოლარით იმატა. უოლ-სტრიტზე GM-ის საკრედიტო ტარიფები გაუმჯობესდა და საინვესტიციო კატეგორიას მიაღწია, რამაც მის მიერ სესხის აღების ღირებულება დასწია. გასულ წელს, ავტომობილების წარმოების უმსხვილესი ბრენდის, Chevrolet-ს, მიერ გაყიდულმა ავტომობილებმა რეკორდული რიცხვი – 5 მილიონი შეადგინა; GM-მა ასევე გაყიდვების რეკორდი დაამყარა ჩინეთში, მსოფლიოს უდიდეს ბაზარზე. 2009 წლიდან GM-მა 10 მილიარდი დოლარი დააბანდა აშშ-ის ეკონომიკაში.

2014 წელს, მიუხედავად კომპანიის მიერ მიღწეული მოკრძალებული ზრდისა, ბარა შეუპოვრად იბრძვის ეიკერსონის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად, რაც მდგომარეობს შემდეგში: 10%-იანი ოპერაციული მოგების ზღვრის მიღწევა ჩრდილო ამერიკაში, ჩინეთში ყოველწლიური გაყიდვების ზრდა 3.2 მილიონიდან 5 მილიონ ავტომობილამდე და მოგების საშუალო ერთნიშნა ციფრებამდე აყვანა სამხრეთ ამერიკასა და ჩინეთში, მიუხედავად ვალუტასთან დაკავშირებული ხელის შემშლელი ფაქტორებისა და ეკონომიკური კრიზისებისა, რასაც GM-ის უუნარობა ართულებს. ამ მიზნების მისაღწევად ბარამ კომპანიის გლობალური ხელმძღვანელი გუნდის ყოველთვიური სხდომების მოწვევა წამოიწყო – მათთან ერთად არა მხოლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების განსახილველად, არამედ ასევე იმისათვის, რომ მათ უკეთ გაიცნონ ერთმანეთი.

GM აგრძელებს წარმატებულ საქმიანობას აშშ-სა და ჩინეთში, მისთვის ამ ორ უმსხვილეს ბაზარზე. ბარას გეგმაა, აღნიშნული ბაზრებიდან მიღებული მოგებები იმისთვის გამოიყენოს, რომ ინვესტიციების სტრუქტურაში ცვლილებები შეიტანოს და ინვესტიციები სავალდებულო გახადოს მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოგებიანობის მისაღწევად. ეს ამოცანა პრეზიდენტ დენ ამანს ერგო წილად. ის განუწყვეტლივ მოგზაურობს მთელ მსოფლიოში და ცდილობს, იპოვოს გზები უფრო მეტი პროდუქტისა და ცოდნის გასაზიარებლად. იმავდროულად, GM-ის საერთაშორისო გარიგებებზე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი, სტეფან იაკობი, თითოეული ქვეყნისთვის GM-ის პროდუქციის ინდივიდუალურ პორტფელს ქმნის, რაც უფრო მომხმარებელთა მოთხოვნებზე ორიენტირებას ნიშნავს და არა პერიფერიებზე შეუსაბამო პროდუქტებით კონკურენციაზე ფსონის ჩამოსვლას.

ევროპაში, სადაც ეკონომიკურ ნგრევას ამერიკაში GM-ის ნულიდან დაწყების მომენტი დაემთხვა, კომპანია გარდაქმნის პროცესშია (გერმანიაში მისი ერთ-ერთი ქარხნის დახურვის ჩათვლით), ახალი პრეზიდენტის, Volkswagen-ის ყოფილი უფროსის, კარლ-თომას ნიუმანის ხელმძღვანელობით. დასაწყისში GM-ი გეგმავდა თავისი Opel-ის განყოფილების გაყიდვას და Chevrolet-ის გაფართოებაზე კონცენტრირებას, მაგრამ მოგვიანებით, კარგად გაანალიზების შემდეგ, შეცვალა გადაწყვეტილება და ამჟამად ისევ ზრდის Opel-ის სერიას. 1999 წლიდან 18 მილიარდი დოლარის დაკარგვის შემდეგ, GM-ი ამ ათწლეულის შუაში უკვე ევროპის ბაზარზე გასვლასაც კი გეგმავს.

ბარას ასევე ახალი ეროვნული კონტრაქტის დადება ესაჭიროება United Auto Workers-თან აშშ-ში. ამ კონტრაქტის საშუალებით კომპანია ეცდება ის უპირატესობები დაიბრუნოს, რომლებიც მისთვის მძიმე პერიოდში დაკარგა. საბედნიეროდ, ავტომობილების გაწვევასთან დაკავშირებულ პრესაში ატეხილ აჟიოტაჟს სამშობლოში მისი გაყიდვებისთვის ზიანი არ მიუყენებია. აპრილში GM-მა, წინა წელთან შედარებით, 7%-ით მაღალი გაყიდვებისა და მარტის თვიდან მოყოლებული გაზრდილი საცალო ბაზრის წილის თვალსაზრისით, მოლოდინს გადააჭარბა. ისეთი ანალიტიკოსი, როგორიცაა J.P. Morgan-ის რაიან ბრინკმენი, ფიქრობს (შესაძლოა, ჯიუტად), რომ ამჟამად მიმდინარე ავტომობილების გაწვევის ნაკადი, სინამდვილეში, ახალ GM- ს მოდელების გასაღებაში შეიძლება დაეხმაროს, რასაც GM-ის წარმომადგენლობებში უფრო მეტი მომხმარებლის მოზიდვა გამოიწვევს მათი ძველი ავტომობილების შეკეთების მიზნით.

ერთ რამეში ბარას ეჭვი არ ეპარება: რაც უნდა მტკივნეული ყოფილიყო გაყიდული ავტომობილების გამოწვევის პროცესი, ამის შედეგად შექმნილი კრიზისი შესაძლებლობას იძლევა, რომ „ძველი GM“-ის გადმონაშთები, რომლებიც წარსულში მის მიერ სამუშაოს წარმატებით შესრულებას აფერხებდნენ, საბოლოოდ დაინგრეს. „მართლა ასეთი გრძნობა მაქვს – როგორც ჩანს, ჩვენ გვსურს, რომ სწორად მოვიქცეთ და ამის საშუალებით კარგად მოვემსახუროთ მომხმარებელს – მაგრამ ეს ასევე კულტურული ცვლილებების დაჩქარების შესაძლებლობაცაა“.

კაპიტოლიუმის ბორცვზე დაკითხვიდან ერთი კვირის თავზე, ბარა შეხვდა ბევრად უფრო მეგობრულ აუდიტორიას, რომელიც რამდენიმე ასეული ინჟინრისგან შედგებოდა.

განხილვის თემა FORBES-ის ძალების სამიტი

ფელისიტი ჰუფმანი

მსახიობი-დამფუძნებელი, WhatTheFlicka.com

ჩვენ სიტყვა „ფემინისტს“ უწინდელი მნიშვნელობა უნდა დავუბრუნოთ. ცოტა უხალისოდ ვამბობ, რომ ფემინისტი ვარ, იმიტომ რომ, ვფიქრობ, ის ისეთმა ადამიანებმა მიითვისეს, რომელთა ფასეულობებს არ ვიზიარებ. ამიტომ, უკან უნდა მოვითხოვოთ ეს სიტყვა და ეს ძალიან იოლია. ჩვენ უმცროს თაობას უნდა ვათქმევინოთ, „არა უშავს, თუ იტყვი, რომ ფემინისტი ხარ“. და თუ ჩვენ ვიტყვით ამას, მაშინ ისინიც იტყვიან ამას.

ფოტო: REUTERS

ეს იყო შრომითი კოლექტივის კრების სტილში მოწყობილი შეხვედრა, რომელიც GM-ის ტექნიკური ცენტრის სასადილოში, დეტროიტის გარეუბანში, GM-ის ცენტრალური ოფისიდან 18 მილის მოშორებით ჩატარდა. 10 აპრილის შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გადაეცა კომპანიის ყველა თანამშრომელს, მთელ მსოფლიოში. „იმ მომენტისთვის, ალბათ, ისეთი გადაღლილი ხარ საერთო კრებებით, რომ აღარაფერი გინდა, უბრალოდ სამუშაოზე დაბრუნება გსურს", – იხუმრა ბარამ.

მისი მესიჯი ნაცნობი იქნებოდა ათი წლის წინ Detroit-Hamtramck-ში ასაწყობ კონვეიერზე მომუშავე ნებისმიერი თანამშრომლისთვის. „თუ ფიქრობთ, რომ არსებობს რაიმე ინფორმაცია, რომლითაც სხვა ჯგუფი ისარგებლებდა, აიღეთ ტელეფონი და დარეკეთ, ან იმეილი გაგზავნეთ", – თქვა მან.

დაახლოებით მომდევნო კვირას GM-ი გააჟღერებს Valukas-ის გამოძიების შედეგების დეტალებს, რაც, ბარას თქმით, უზრუნველყოფს გამჭვირვალე დასკვნას იმის შესახებ, თუ რა შეცდომები იქნა დაშვებული. ის ასევე განსაზღვრავს მომავალ ქმედებებს, რომლებიც ასევე შეიძლება მოიცავდეს GM-ის იურიდიული განყოფილების საფუძვლიან რეორგანიზაციას. მას სათავეში ჩაუდგება გენერალური მრჩეველი მაიკლ მილიკინი, რომელიც უკვე დიდი ხანია, ამ თანამდებობას იკავებს. GM-მა უკვე დანიშნა კომპანიის ერთ-ერთი წამყვანი იურისტი, გლობალური უსაფრთხოების უფროსის, ჯეფ ბოიერის მრჩეველად სამართლებრივ საკითხებში იმ იმედით, რომ ამით ავტომობილების გამოწვევებთან დაკავშირებული მონაცემთა შეკრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი დაჩქარდება.

GM-ი ასევე ელის ფაინბერგის რეკომენდაციას იმის შესახებ, გადაუხდის თუ არა კომპანია კომპენსაციას დაღუპულთა ოჯახებს და რა სიდიდის იქნება ეს თანხა. შემდეგ ბარა ალბათ ვაშინგტონში დაბრუნდება, რათა გამოძიების შედეგები და განახლებული ინფორმაცია კანონმდებლებს გაუზიაროს.

ჭიშკარშივე წაბორძიკება

გარკვეული დრო დასჭირდა, მაგრამ ინვესტორები კვლავ დადებითად განეწყვნენ GM-ის აქციების მიმართ მას შემდეგ, რაც ის გაკოტრების მერე კვლავ ვაჭრობას დაუბრუნდა.



წყარო: INTERACTIVE DATA VIA FACTSET RESEARCH SYSTEMS.

მაგრამ ამით პოლემიკა არ დასრულდება. GM-ი კვლავ გამოძიების საშიშროების წინაშე დგას, რომელიც აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა უნდა აწარმოოს და კომპანიას შეიძლება ჯარიმა დაედოს იმ 1.2 მილიარდი დოლარის მსგავსად, რომელიც Toyota-მ, კამათის მოგვარების მიზნით, ახლახან გადაიხადა ისტორიული დაგვიანებული გაწვევების მიზეზით. კომპანიას ასევე ხუთი სხვადასხვა გამოძიება და მთელი რიგი სასამართლო პროცესი ელის იმ მომხმარებლების საჩივრების საფუძველზე, რომლებიც აცხადებენ, რომ მათმა ავტომობილებმა ფასი დაკარგეს მას შემდეგ, რაც გაწვევები გამოცხადდა. ბანკროტობის საქმეების მოსამართლე გადაწყვეტს, აღნიშნულ პრეტენზიებს გააჩნიათ თუ არა რაიმე საფუძველი, რამდენადაც GM-მა მისი ვალდებულებების დიდი ნაწილი ბანკროტობის შესახებ სასამართლო პროცესში მოიცილა. ამ პროცესთან ერთად მან ასევე უნდა დააჩქაროს კომპანიაში ცვლილებების განხორციელება და ის გრძელვადიანი მოგებიანობისა და ზრდისკენ მიმართოს.

ეს იოლი საქმე არ იქნება, მაგრამ ბარა, როგორც ჩანს, მზად არის ამისთვის მას შემდეგ, რაც GM-მა ფურორი მოახდინა სათადარიგო ნაწილების მომწოდებლებში. 2013 წელს ვადებისა და პირობების შეცვლის გამო, მათი გამოქვეყნების გარეშე, კომპანიის ხელმძღვანელობა ამ უთანხმოების გადაჭრის გზებს ეძებდა. „მერის მომხმარებელთან უკუკავშირი ასეთ აზრს ატარებდა: 'თუ შეცდომას დავუშვებთ, ვთქვათ, რომ შეცდომა დავუშვით და გავაგრძელოთ გზა", – თქვა გრეის ლიბლაინმა, GM-ის გლობალური შესყიდვებისა და მომარაგების ქსელის ვიცე-პრეზიდენტმა. სწორედ ეს გააკეთა კომპანიამ თებერვალში. „რეაქცია, – ამბობს ლიბლაინი, – განსაცვიფრებელი იყო. მომწოდებლები ჩემთან მოვიდნენ და მითხრეს, 'ეს ის კულტურული ცვლილებაა, რომელზეც გვესაუბრეთ'. ეს სწორი მოქმედებაა. ძველ GM-ში, არა მგონია, ოდესმე ასეთი რამ მომხდარიყოს". F

გამოიწერეთ ყოველთვიური ჟურნალი

Forbes GEORGIA

ყველაზე გავლენიანი
ქართული ბიზნესგამოცემა

ჟურნალის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების პლასტიკური ბარათით გამოწერა უკვე შესაძლებელია ჩვენი განახლებული ვებგვერდიდან:

www.forbes.ge/subscribe

ბეჭდური ვერსია:

6 თვე – 36 ლარი, 12 თვე – 72 ლარი

ელექტრონული ვერსია:

3 თვე – 11 ლარი, 6 თვე – 21 ლარი, 12 თვე – 42 ლარი

.....

ჟურნალის გამოწერა ასევე შეგიძლიათ TBC ბანკის ნებისმიერ ფილიალში: ს.ს. Media Partners.
ბანკის კოდი: TBCBGE 22.
ანგარიშის ნომერი: GE09TB722 563 608 01 00001
ს.კ. 404408690.

ან

ან TBC Pay Box-დან
(სერვისი: სხვადასხვა - პრესა - ფორბსი)

.....

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: ტელ.: +995 (32) 223 77 07

მოელოდეთ შესანიშნავ მეოთხე კვარტალს

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყველაზე ნაკლებად ცნობილ ანომალიებს შორის, არის შუალედური არჩევნების წლის მეოთხე კვარტალის შესანიშნავი ეფექტი.

1925 წლიდან, S&P 500 გაიზარდა შუალედური არჩევნების წლის მეოთხე კვარტალის 22-დან 19 შემთხვევაში. ეს არის კოლოსალური 86,4%. დარჩენილი სამიდან ერთ-ერთი არ იყო უარყოფითი. აქედან გამომდინარე, ის უარყოფითი იყო მეოთხე კვარტალების მხოლოდ 9,1%-ში. ერთხელ მან 5% შეადგინა. ძალიან დავარდნილი მხოლოდ ერთხელ იყო – 16,4%-ით, 1930 წელს – კრახის დროს. თქვენ მოგიწევთ ამის მოწონება.

პოზიტიური მეოთხე კვარტალები ყოველთვის ძალიან მოგებიანი არ არის. ისინი მერყეობდნენ 2%-დან 21,3%-მდე, რაც საშუალოდ 9,5 %-ს შეადგენს, მაგრამ 9,5% კვარტალში ხურდა არ არის.

მე, ათეულობით წლების განმავლობაში, პოლიტიკურ ეფექტებზე ვდებდი ფსონებს და ზოგიერთი მათგანი, როგორც წესი, მუშაობს. მაგალითად, პრეზიდენტის ვადის პირველი ნახევრის წლები პოზიტიურობის ტენდენციას (აგრეთვე შემთხვევების 86%-ში) ამჟღავნებენ. ყურადღება მიაქციეთ – უდიდესი გამონაკლისი 2008 წელი იყო.

ერთი რამ, რაც შუალედურ მეოთხე კვარტალებში განსაკუთრებით მომწონს, არის ის, რომ ისინი ასე პოზიტიურია, მაშინ როდესაც ისტორიულად, შუალედური წლები, საერთო ჯამში, მხოლოდ 63,6% შემთხვევაში იყო პოზიტიური. ეს ზრდა

მნიშვნელოვანია.

ჩემი აზრით, ეს მუშაობს, რადგან ხალხს აზრადაც არ მოსდის, რომ მაშინაც კი, თუ ჩვენ მეტი გამოუვალი სიტუაცია არ გვექნება, არ გვექნება ბევრად ნაკლებიც. ბაზრებს უყვართ, როდესაც მთავრობა ფუნქციონალურად სუსტია. ბიჰევიორალურად, ხალხის უმრავლესობას წაგება სძულს უფრო მეტად, ვიდრე უყვარს მოგება – საშუალოდ, როგორც ორი ერთთან. შუალედური არჩევნები პრეზიდენტის ოპოზიციის გაძლიერების ტენდენციას ამჟღავნებს, ამიტომ ჩვენამდე საბოლოოდ დადის, რომ A-სგან B-სთვის მიცემის მიზნით, დიდი მასშტაბით წართმევა არ მოხდება, იქნება ეს გადასახადების, თუ კანონმდებლობის სახით.

ორივე შემდეგი კვარტალი – პრეზიდენტის მესამე წლის (ან მეშვიდე) პირველი და მეორე – პოზიტიური იყო 86,4 შემთხვევაში, თუმცა ცოტათი უფრო დაბალი საშუალო დადებითი შემოსავლიანობით: 9,1% (პირველი კვარტალი) და 7,2% (მეორე).

ამიტომ ახლა, როდესაც ჩვენ შევდივართ 2014 წლის მესამე კვარტალში, ბედნიერი მგზავრობისთვის მოემზადეთ. ფარმაცევტული და ტექნოლოგიური კომპანიების აქციებში, ერთი ზიგის ტენდენციას ამჟღავნებს, როდესაც მეორე, მოკლევადიან პერსპექტივაში, ზაგს აკეთებს. თუ შევძლებდი მქონოდა მხოლოდ ექვსი აქციის პაკეტის პორტფელი, ეს იქნებოდა სამი ტექნოლოგიური და სამი ფარმაცევტული კომპანია.

მე კომპულსიური და პარანოიკი ვარ, ამასთან მუდმივად ზედმეტ წონას ვებრძოდი. არ ვეწევი და არ ვსვამ. არალეგალური ნარკოტიკები? არავითარ შემთხვევაში! მაგრამ მე უარს ვერ ვამბობ **GOOGLE-ზე (GOOGL, 552)**. ეს არის შეჩვევის გამომწვევი, მტაცებლური მონოპოლია. დარწმუნებული ვარ, მალე ის მოახდენს რაღაც ხელსაწყოს იმპლანტირებას, რომელიც ჩემს ძილს გააკონტროლებს და ამავე დროს ხვრინვის კონტროლის რაღაც სულელურ მოწყობილობას გაყიდის. მე უბრალოდ ვერ ვიტან, რომ ყოველთვის, როდესაც მე მას რეკომენდაციას ვუწევ, Google-ი მკვეთრად იზრდება. მისი აქციები ბოლო დროს ჩამორჩა, ამიტომ ახლა მოიმარაგეთ!

სანამ მონოპოლიებზე ვსაუბრობთ: ერთ დროს ხალხმა წინასწარ განსაზღვრა CDMA ტექნოლოგიასა (ძირითადად ამერიკა) და GSM სისტემებს (ძირითადად ევროპა) შორის გლობალური სატელეფო-

საფონდო მენეჯერის, კენ ფიშერის უახლესი წიგნია „ბაზარი არაფერს ივიწყებს (რასაც ვერ ვიტყვით ადამიანებზე)“ (MARKETS NEVER FORGET (BUT PEOPLE DO)) (JOHN WILEY, 2011). ეწვიეთ მის მთავარ გვერდს მისამართზე WWW.FORBES.COM/FISHER.

ნო ბრძოლა, რომელშიც გამარჯვებულს ყველაფერი შეხვდებოდა. ახლა, მნიშვნელოვანწილად Apple-ის წყალობით, ეს აშკარად ორი სისტემის პარტნიორობაა. **QUALCOMM (QCOM, 79)** ფლობს CDMA-ს. სწორია. ასევე არ არსებობს მისი როგორც მომხმარებელზე დისკრეციულად ორიენტირებული ტექნოლოგიური გიგანტის შემცვლელი. მე ვხედავ მსოფლიოს უმსხვილეს აქციების პაკეტს, რომელიც

შუალედური არჩევნების წლების მეოთხე კვარტალები 86,4% შემთხვევაში პოზიტიურია.

შეიძინეთ მისი ზრდა გონივრულ ფასად, ჩემი პროგნოზით 2015 წლის სექტემბრის სავარაუდო შემოსავლის 13-მაგ ფასად.

ერთ წელზე დიდი ხნის წინ (2013 წლის 15 აპრილი) მე რეკომენდაცია გავუწიე **APPLE-ს (AAPL, 644, ან 92 სპლიტ-კორექტირებული)** $461-ად. ჩემი ლოგიკა? სტივ ჯობსის შემდგომ, ის სამყაროში კრიტიკაზე მაღლა აღარ იდგა, მაგრამ მას ასევე ხშირად სდებდნენ შარს – და ის მეტისმეტად იაფი იყო. ორივე კვლავ ყველა დროის ყველაზე მაღალი დონის გზაზე დგას – კიდევ 35%-ის გამომუშავებით. და ის იაფია, ჩემი პროგნოზით, 2015 წლის სექტემბრის სავარაუდო შემოსავლის 12-მაგ ფასად.

შენიშვნა: **PFIZER-მა (PFE, 30)**, რეკომენდებულმა 20 იანვარს 31-ად, ვერ შეისყიდა **ASTRAZENECA (AZN, 74)**, რომელსაც მე რეკომენდაცია გავუწიე 12 აგვისტოს 48-ად და რომელიც ახლა 54%-ით გაიზარდა. დიდი ხნის მკითხველებმა იციან, რომ ამჟამად მე მსხვილი, მეგაკაპიტალიზაციის მქონე ფარმაცევტული კომპანიები მომწონს. ამ ციკლში მოელოდეთ შთანთქმის ტენდენციას.

მაგალითი? შეიძინეთ **ELI LILLY (LLY, 59)**, ჩვენი მეათე უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანია. ის მომწიფებულია! ამდენი შესანიშნავი პროდუქტი Cialis-ი, Cymbalta და Humalog-ი, რომ არაფერი ვთქვათ მრავალ სხვაზე. ამდენი შემცირებადი ხარჯი! მაგრამ ის აგრეთვე კარგია ყოველგვარი შთანთქმის გარეშე, ჩემი პროგნოზით, 2015 წლის სავარაუდო შემოსავლების 17-მაგ ფასად, 3,3% დივიდენდური შემოსავლით. თითქმის იგივე ლოგიკა შეიძლება გამოვიყენოთ **BRISTOL-MYERS SQUIBB-ის (BMY, 47)** მიმართ, რომელსაც ბოლოს 2012 წლის 16 ივლისს, 34-ად გავუწიე რეკომენდაცია, ან **ABBOTT LABORATORIES-ის (ABT, 40)** მიმართ, რომელსაც რეკომენდაცია გავუწიე 10 თებერვლიდან – მაგრამ არ გაორმაგოთ რაოდენობა. F

დავით ქუტიძე - გადასახადები

დაუბეგრავი მინიმუმი შემცირებული საშემოსავლო გადასახადის ალტერნატივა

2014 წლის პირველი აპრილიდან საქართველოში ე.წ. დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება დაიწყო. დაუბეგრავი მინიმუმის ცნება, საქართველოს საგადასახადო კოდექსში, 2012 წლის 20 დეკემბერს შეტანილი ცვლილებების შედეგად გაჩნდა. ამავე წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალის ამ ინიციატივის არსი შემდეგში მდგომარეობს: ის დაქირავებული ფიზიკური პირები, რომელთა ხელფასი 500 ლარს არ აღემატება (წლიური მაქსიმალური შემოსავალი 6000 ლარი) წლის განმავლობაში ჩვეულებრივად იხდიან 20%-იან საშემოსავლო გადასახადს, საბიუჯეტო წლის ბოლოს კი ისინი საგადასახადო ორგანოში წარადგენენ დეკლარაციას, სადაც დააფიქსირებენ, რომ მათი წლიური შემოსავალი 6000 ლარს (თვეში 500 ლარი) არ აღემატება და მოითხოვენ დაბეგრილი თანხის ნაწილის უკან მიღებას. დეკლარაციის წარდგენის შემდეგ მათ სახელმწიფო უბრუნებს დაუბეგრავი მინიმუმის (თვეში 150 ლარი [საარსებო მინიმუმის ოდენობა], წლიური 1800 ლარი [150×12=1800]) 20%-ს, ანუ 360 ლარს.

აღნიშნული ცვლილების შემოღებისას ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური განმარტავდა: „თუ ადამიანს აქვს 500 ლარი ხელფასი, ის ხელზე იღებს ყოველთვიურად 400 ლარს. 500 ლარის 20 პრო-

ფოტო: SHUTTERSTOCK

ცენტი ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის სახით. წლის ბოლოს ბიუჯეტი ამ ადამიანს 360 ლარს დაუბრუნებს, ე.წ. მე-13 ხელფასის სახით. უხეშად რომ ვთქვათ, პედაგოგი, რომლის ხელფასიც არის 300 ლარი, წლის ბოლოს კიდევ აიღებს 360 ლარს, მაგრამ ეს არ შეეხება მაღალშემოსავლიან ადამიანებს".

მთავრობის ამ გადაწყვეტილებას საპარლამენტო ოპოზიციის კრიტიკა მოჰყვა. „ნაციონალურ მოძრაობაში" აცხადებდნენ, რომ ეს ინიციატივა ვერ ჩაითვლებოდა წარმატებულად, რადგან ის მხოლოდ დაქირავებით დასაქმებულ იმ პირებზე ვრცელდებოდა, რომელთა ხელფასიც წელიწადში 6 ათას ლარს არ აღემატება. ასევე, ის არავითარ შეღავათს არ წარმოადგენდა თვითდასაქმებულებისთვის. ოპოზიციის აზრით, ეს რეგულაცია არ უნდა ამოქმედებულიყო, რადგან, როგორც ვთქვით, ის დაქირავებით დასაქმებულთა მხოლოდ დაბალშემოსავლიან ნაწილს ეხებოდა და წლის განმავლობაში ერთჯერად სარგებელს იძლეოდა.

დაუბეგრავი მინიმუმის შემოღებისას, ზუსტად ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, თუ რამდენი ადამიანი ისარგებლებდა ამ ინიციატივის შედეგად მიღებული შეღავათით. საქსტატის ინფორმაციით, 2013 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, ანუ სამუშაო ძალა, 2 003,9 ათას ადამიანს შეადგენდა. მათგან დასაქმებულად 1 712,1 ათასი ითვლებოდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში დასაქმებულთა 61,3% თვითადასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებოდა და ეს ადამიანები დაუბეგრავი მინიმუმის შეღავათით ვერ ისარგებლებდნენ. რაც შეეხება დაქირავებით დასაქმებულ სამუშაო ძალას, ისინი დასაქმებულთა რაოდენობის 38,7%-ს, შესაბამისად, დაახლოებით 662 600-ს შეადგენდნენ.

ეკონომიკის ექსპერტები, ასევე მთავრობა ვარაუდობდნენ, რომ დღეს საქართველოში 500 ლარზე დაბალი ხელფასი დაახლოებით 400-450 ათას ადამიანს აქვს და დაუბეგრავი მინიმუმით დაქირავებულთა დაახლოებით 2/3 (441 773) ისარგებლებდა, ხოლო სხვა დანარჩენი კატეგორიის დასაქმებულები კი ჩვეულებრივად 20%-ით დაიბეგრებოდნენ. ეს ვარაუდი მიმდინარე წლის ივლისში თითქმის გამართლდა.

დასაქმებულთა განაწილება



წყარო: საქსტატი

საქართველოს შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის 15 ივლისის მონაცემებით, პირველი აპრილიდან დაუბეგრავი მინიმუმი 463 473 ადამიანს დაუბრუნდა. მათთვის დაბრუნებული თანხა კი 126 226 192 ლარს შეადგენდა. ამ მონაცემიდან ჩანს, რომ გასულ წელს, ხელფასის სახით, 6 ათას ლარზე ნაკლები თანხა სწორედ ამ რაოდენობის დასაქმებულმა მიიღო. აღნიშნული თანხის მიღება ფიზიკური პირის მიერ, დეკლარაციის შევსებიდან სამი თვის განმავლობაში ხდება.

როგორც აღვნიშნეთ, მმართველი გუნდის ამ საგადასახადო იდეას ოპოზიცია აკრიტიკებდა. შესაბამისად, საინტერესოა, თუ როგორი იყო მათი ხედვა საგადასახადო პოლიტიკის შესახებ და რა ვითარება იქნებოდა, 2012 წლის არჩევნებში „ნაციონალურ მოძრაობას" რომ გაემარჯვა. როგორც ზემოთ ითქვა, 2012 წლის 20 დეკემბერს დაუბეგრავ მინიმუმთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილება „ნაციონალური მოძრაობის" საგადასახადო ხედვის ერთგვარ ალტერნატივას წარმოადგენდა.

2012 წლის 22 ივნისს, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების გადაწყვეტილების თანახმად, საგადასახადო კოდექსის 81-ე და გარდამავალი - 309-ე მუხლების საფუძველზე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადი 2013 წლის 1 იანვრამდე 20%-ს შეადგენდა, 2013 წლის პირველი იანვრიდან 2014 წლის იანვრამდე იგი 18% უნდა ყოფილიყო, 2014 წლის 1 იანვრიდან კი საშემოსავლო გადასახადი 15% გახდებოდა.

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ ეს გარდამავალი ნორმა გააუქმა. ზემოთ აღნიშნული რეგულაციის ძალაში დარჩენის შემთხვევაში, დღეისთვის ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადი 15% იქნებოდა, რაც ყველა დასაქმებულ ფიზიკურ პირზე გავრცელდებოდა. დასაქმებულებს, საკუთარი ხელფასიდან ბიუჯეტის სასარგებლოდ, ყოველთვიურად უფრო ნაკლები თანხის გადახდა მოუწევდათ. გარდა ამისა, სავარაუდოდ, შემცირებული საშემოსავლო გადასახადი კერძო სექტორსაც წაახალისებდა.

დაუბეგრავი მინიმუმით კი დაქირავებით დასაქმებულები სარგებელს მხოლოდ წელიწადში ერთხელ ნახულობენ და ეს შეღავათიც ყველა მათგანზე არ ვრცელდება. როგორც ვთქვით, დაუბეგრავი მინიმუმი დასაქმებულთა მხოლოდ იმ კატეგორიას ერგება, რომელთა ხელფასიც ყოველთვიურად ხუთას ლარს (წელიწადში 6000 ლარი) არ აღემატება. F

ელისო ბოლქვაძე: „მე არ ვარ ფანატიკოსი პიანისტი, მე თავისუფალი ვარ“

ავტორი: ნინო თარხნიშვილი
ფოტო: ხათუნა ხუციშვილი



ელისოს თეთრი პიჯაკი და შარვალი „თბილისი მარიოტის“ ღია კაფეს ინტერიერს უხდება. მოწნული ავეჯის შინდისფერ ბალიშებზე ელისო კომფორტულად თავსდება. თმა სადად აქვს კეფაზე აწეული. ყელზე ოქროსფერი მრგვალი კულონი ჰკიდია. მგონია, რომ ეს კულონი მისთვის განსაკუთრებული სამკაული უნდა იყოს. ჩვენ გვაქვს ასეთი თვისება: უცხო ადამიანთან შეხვედრისას პირველ რიგში ყურადღებას ვაქცევთ ან ფეხსაცმელს, ან ჩანთას, ან თვალებს... ეს ის შემთხვევაა, როცა არჩევანი არ გაქვს. შეუძლებელია, ყურადღება არ მიაქციო ელისოს ხელებს. ერთი შეხედვით ელისოს სუსტი, ფერმკრთალი ხელები აქვს. მისი ხელების სიფერმკრთალეს ხაზს უსვამს ცისფერი ძარღვები, რომლებიც მის ხელებს სხვა რიგითი ადამიანებისგან განსხვავებით უფრო მეტად ამჩნევია. თუკი უკეთ დააკვირდები ელისოს ხელებს, ხვდები, რომ ეს თხელი და გრძელი ხელის მტევნები სულაც არ არის სუსტი, მეტიც, ელისოს ხელებზე ამობურცული ცისფერი ძარღვები სწორედ იმის მანიშნებელია, რომ ელისოს ძალიან ძალიან ძლიერი ხელები და თითები უნდა ჰქონდეს. სხვანაირად ვერც იქნება. ელისოს თითებიდან წამოსულ ბგერაზე მუსიკალური სამყარო წლების წინ ალაპარაკდა.

მსოფლიოში სახელგანთქმული პიანისტი ელისო ბოლქვაძე თბილისს პარიზიდან ამჯერად მის მიერ დაფუძნებული ბათუმის მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში ეწვია. ფესტივალის შესახებ, რომელიც პირველად შარშან ჩატარდა, ცოტათი მოგვიანებით გეტყვით, მანამდე კი თავად ელისოს შესახებ უნდა მოვყვეთ, რომლის ცნობილი პიანისტობაც მწერალმა და ელისოს მამის მეგობარმა გურამ ფანჯიკიძემ ჯერ კიდევ მაშინ იწინასწარმეტყველა, როცა ელისო შვიდი წლის იყო და, როგორც თვითონ მიყვება, ყოველ დაბადების დღეზე, მამისა და მისი მეგობრების თხოვნით, ფორტეპიანოზე კლასიკური მუსიკის შედევრებს ასრულებდა: „7 წლის რომ გავხდი, ჩემს დაბადების დღეზე, გურამმა დაწერა წერილი, ჩადო კონვერტში და ჩემს მშობლებს უთხრა, 17 წლის რომ გახდება, მაშინ გახსენითო. წერილი მართლაც წლების შემდეგ გავხსენით, სადაც ეწერა, „ეს ბავშვი მსოფლიოს აალაპარაკებსო“, – ასე იხსენებს ელისო პატარა წერილის შინაარსს, რომელიც მისი ცხოვრების ერთგვარ წინასწარმეტყველებად იქცა.

ელისო, რომელსაც არ უყვარდა მეცადინეობა

ელისო ბოლქვაძე 1967 წლის 2 იანვარს ჟურნალისტების ოჯახში დაიბადა. დედა – ნანა დარჩია-ბოლქვაძე ჟურნალ „საუნჯის“ მთავარი რედაქტორი და მთარგმნელი იყო. მამა, ზაალ ბოლქვაძე კი ჟურნალ „ნიანგის“ მთავარი რედაქტორი. როგორც ელისო მეუბნება, მის ოჯახში არავინ იყო განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული, თუმცა ჯერ კიდევ 2 წლის ელისოს უჩვეულო მუსიკალური უნარები მშობლებსა და ოჯახის ახლობლებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ, მით უმეტეს, რომ ელისო ერთადერთი შვილი იყო და მისი განებივრება ოჯახის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს

წარმოადგენდა: „ამ ყველაფერზე ახლა სევდიანად მეცინება, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ოჯახისა და ოჯახის მეგობრებისთვის ლამის ამომავალი ვარსკვლავი ვიყავი. ახლა ვხვდები, რომ ძალიან ძნელია, იყო დედისერთა. ყველა და ყველაფერი შენ გარშემო ტრიალებს და ჩნდება რეალური საშიშროება, რომ გამოუსწორებელ ეგოისტად ჩამოყალიბდე. მით უმეტეს, რომ ტაში და ოვაცია არც სახლში მაკლდა და არც სახლს გარეთ. მაგრამ ალბათ ჩემ სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ ამ ოვაციებსა და აღფრთოვანებას ჩემზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. ეს ოვაციები ჩემთვის უბრალოდ მეტი სტიმული იყო, რათა ჩემი საქმე უკეთ მეკეთებინა“, - მეუბნება ელისო და მისი ანთებული თვალების შემხედვარემ, ძნელია მის გულწრფელობაში ეჭვი შეიტანო.

2 წლის იყო ელისო, როცა მშობლებმა ნიჭიერთა ათწლედში მისი მუსიკალური უნარების

შესამოწმებლად მიიყვანეს. აღმოჩნდა, რომ მას აბსოლუტური სმენა და ბგერის გასაოცარი შეგრძნება ჰქონდა. ფორტეპიანოს შესწავლა კი სამწლინახევრის ასაკიდან, პიანისტ ეკა მუხაძესთან დაიწყო. მისი მეხსიერებაც აქედან მოდის: „მასთან კვირაში ერთხელ დავდიოდი. უნდა ვაღიარო, რომ არც მაშინ და არც მას მერე არასდროს მყვარებია მუსიკის მეცადინეობა. დიდი ხვეწნა-მუდარა მჭირდებოდა, რომ სამეცადინოდ დავმჯდარიყავი. მეც სხვა ბავშვებივით მიყვარდა ეზოში სირბილი, ბურთით თამაში. დედა და ბაბუა გამუდმებით კუდში დამდევდნენ, დაჯექი, იმეცადინეო, მე კი პატარა ვიყავი და ჩემი ფიქრები ჩემს მეგობრებს დასტრიალებდა“, – მეუბნება ელისო და ერთ საიდუმლოსაც მიმხელს, რომელიც იქნებ არც არის საიდუმლო, თუმცა მე ამის შესახებ არასდროს მსმენია: „ყველას ჰგონია, რომ ძალიან ბეჯითი ვარ. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ საშინლად არ მიყვარს მეცადინეობის პროცესი. რაღაც სასწაული უნდა ხდებოდეს, რომ დავჯდე და საათები გავატარო ინსტრუმენტთან“, – ჯიუტი და ცელქი მოსწავლის ტონით ლაპარაკობს მსოფლიოში ცნობილი პიანისტი, რომელმაც ახლა ჩემ თვალწინ დაამსხვრია სტერეოტიპი იმისა, რომ თუ გინდა, წარმატებული მუსიკოსი იყო, მეცადინეობით თავი უნდა მოიკლა.

სირთულე, როგორც გადასალახი ბარიერი და არა შიში

მუსიკალურ ათწლეულში შესვლისთანავე ჩაერთო ელისო სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსში. პირველი მნიშვნელოვანი წარმატება ელისომ ამიერკავკასიის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსში მოიპოვა. მაშინ მან მცირე ასაკის გამო არასაკონკურსო პროგრამაში მიიღო მონაწილეობა და მსმენელისთვის შოპენის პოლონეზი დაუკრა. წარმატებებს წარმატებები მოჰყვა და ამ წინსვლით გულმოცემულმა პატარა პიანისტმა ერთ მშვენიერ დღეს, დასასვენებლად წასულ მშობლებს გამოუცხადა, რომ ის ლაიფციგში, ბახის საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობას აპირებდა. ასეც მოიქცა. სულაც არ შეუშინდა იმას, რომ მასთან ერთად კონკურსში მასზე გაცილებით დიდი ასაკის პიანისტები მონაწილეობდნენ. ბახის კონკურსში ელისომ მეექვსე ადგილი დაიკავა, რაც მისი ასაკის პიანისტისთვის დიდ მიღწევად ითვლებოდა, თუმცა არა პირადად მისთვის: „მივხვდი, რომ უფრო დიდი წარმატება კიდევ უფრო დიდი შრომის შედეგად მოდის. მაგრამ მე ვარ ადამიანი, რომელსაც სირთულეები იშვიათად მაშინებს. სირთულე ჩემთვის არა შიში, არამედ გადასალახავი ბარიერია. ჩემი ეს ხასიათი კონკურსებმაც გამოავლინა. მივხვდი, რომ მე ვარ ძლიერი ადამიანი, კონკურენციის არ მეშინია და პირიქით, ეს მეტ ჟინს მმატებს“, – მეუბნება ელისო ბოლქვაძე.

თითოეულ ინტერვიუში არის მომენტები, რომლებიც ჟურნალისტს განსაკუთრებით ამახსოვრდება. ფრაზები, რომლებსაც ახლა წაიკითხავთ,

სწორედ ასეთი განსაკუთრებულია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. თქვენ შესაძლოა ინტერვიუს სულ სხვა ადგილები ამოირჩიოთ. ელისო სცენის ჯადოქრობაზე ლაპარაკობს: „იცით, მე რა მიყვარს? მე ის მიყვარს, რაც სცენაზე იბადება, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ ეს დაბადება ყოველთვის ვერ ხდება. ეს იშვიათი შემთხვევაა. და ამ იშვიათ შემთხვევებში სცენაზე ისეთი რამ წარმოიქმნება, რაც არასდროს დაიბადება სახლში, რეპეტიციაზე. სცენაზე დაკვრის პროცესში მე თვითონაც ვერ ვაცნობიერებ, სად ვხვდები, რომელ განზომილებაში ვინაცვლებ. მუსიკა, ნოტები, ხალხი – ამ დროს მუსიკოსი შოკურ მდგომარეობაშია, მუსიკოსი ეხება ისეთ რამეს, რაც ჩვეულებრივი ადამიანებისთვის დახურულია. ალბათ ამიტომ, სცენაზე გასვლის წინ ყოველთვის ვღელავ. მინდა, რომ ეს საოცარი შეგრძნება მაყურებელსაც გადავცე. მეტიც, ძალიან იშვიათად ვარ საკუთარი თავით კმაყოფილი, სულ მგონია, რომ უკეთესადაც შემიძლია თავის წარმოჩენა“, – მეუბნება ელისო.

პარიზი-ავსტრია-პარიზი

მსოფლიო კლასიკური მუსიკის ელიტის მოხიბვლამდე ელისოს მარტივი გზა არ გაუვლია. 90-იანი წლების საქართველო იყო ერთ-ერთი მთავარი ბარიერი, რომელიც მის კარიერას დაემუქრა: „მე რომ ამერიკაში წასასვლელად ვემზადებოდი, თბილისში ბომბები გავარდა. ჩაბნელდა ქალაქი. ჩაბნელდა სცენაც – არც კონცერტი, არც კონკურსი... მივხვდი, რომ სხვა ადამიანების მსგავსად მეც ურთულეს სიტუაციაში აღმოვჩნდი. ჩემი შემოქმედება დეგრადაციისკენ მიდიოდა“, – იხსენებს პიანისტი.

სწორედ მაშინ გადაწყვიტა ელისომ პარიზში, მარგარიტა ლონგის საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მიღება. პირველივე ნოტები საკმარისი გახდა იმისთვის, რომ ახალგაზრდა პიანისტი პრესამ კონკურსის ფინალისტად გამოაცხადა, სწორედ ამ კონკურსზე მოისმინა ელისოს მიერ შესრულებული მოცარტი ცნობილმა მუსიკოსმა მიშელ სონიმ, რომელიც ელისოს ბგერამ, ტექნიკამ მოხიბლა და თავის სასწავლებელში, ავსტრიაში მიიწვია. ასე აღმოჩნდა ელისო ვილა შინდლერში, სადაც სამი წელი დაჰყო. იქ გატარებულმა წლებმა ელისოს ცხოვრება და შემოქმედება ძირფესვიანად შეცვალა. შეიძლება ითქვას, რომ თავდაყირა დააყენა: „მიშელ სონი თავის მიერ დაფუძნებულ მუსიკალურ სასწავლებელში პიანისტებს განსაკუთრებული მეთოდით წვრთნის. იქ სულ სხვა ინფორმაცია შემოვიდა ჩემში, დიდი ძვრა მოხდა ჩემს ფსიქიკაში, მენტალიტეტში. მიშელ სონი მუშაობს ხელოვანის პერსონის გათავისუფლებაზე და ბოლოს აღმოაჩენ, რომ სულ სხვა ადამიანად იქეცი. ის, რაც ჩემში დაფარული იყო, საუკეთესო გზით განვავითარე. იმ სამი წლის განმავლობაში, რაც ავსტრიაში, მიშელ სონისთან დავყავი, არც კარიერაზე მიფიქრია, არც კონცერტზე გამოვსულვარ. ჩემი მოვალეობა იყო მხოლოდ მეცადინეობა, კითხვა, სეირნობა, ცხოვრებით დატკბობა... იქ თითქოს ზღაპარში, არარეალურ სამყაროში ვცხოვრობდი და სამი წლის თავზე მივხვდი, რომ ამჯერად რეალობა მიხმობდა. მე პარიზში დავბრუნდი.

პარიზი – ეს ის ქალაქი იყო, რომელიც ელისოს დაუსწრებლად, ბავშვობიდან უყვარდა და ფიქრობდა, რომ იქ აუცილებლად ბედნიერი იქნებოდა. ასეც მოხდა. არც პარიზი აღმოჩნდა ახალგაზრდა პიანისტის მიმართ გულგრილი. დროთა განმავლობაში ელისომ ფრანგულიც ისწავლა და ეს სამყარო მისთვის ბოლომდე გაიხსნა.

ელისო ბოლქვაძე უკვე სამი წელია, რაც სახელოვნებო კომპანია IMG artists- ის წევრია. ეს არის კომპანია, რომელიც მსოფლიოს წამყვან მუსიკოსებს აერთიანებს და ხელს უწყობს მათი კარიერის წინსვლას. როგორც ელისო მეუბნება, კონკურენცია საკმაოდ დიდია, თუმცა მან კომპანიაში უკვე დაიმკვიდრა თავისი ნიში როგორც შემოქმედებით, ისე ქველმოქმედებით.

ქველმოქმედება ახალგაზრდა ტალანტების აღმოსაჩენად

და რაკიღა სიტყვა ქველმოქმედებაზე ჩამოვარდა, მაშინ აუცილებლად უნდა ვახსენოთ ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდი „ლირა“, რომელიც 2012 წელს დაფუძნდა და რომლის მიზანიცაა,

მუსიკოსი ეხება ისეთ რამეს, რაც ჩვეულებრივი ადამიანებისთვის დახურულია. ალბათ ამიტომ, სცენაზე გასვლის წინ ყოველთვის ვღელავ. მინდა, რომ ეს საოცარი შეგრძნება მაყურებელსაც გადავცე.

გამოავლინოს და მხარი დაუჭიროს ახალგაზრდა ქართველ პიანისტებს: „სამწუხაროდ, პიანისტ ბავშვებს ამ ეტაპზე საქართველოში ძალიან მცირე პერსპექტივები აქვთ. არადა, თუკი დასაწყისშივე არ დადგებიან ეს ბავშვები სწორ გზაზე, მერე უკვე რთული იქნება მათ განვითარებაზე ფიქრი. სწორედ ამიტომ ჩვენი ფონდი აფინანსებს მოსმენებს, კონცერტებს. მე თვითონაც ვმართავ კონცერტებს, რათა შემდგომ შემოსული თანხით ფონდმა გაძლიერება მოახერხოს. ამ ფონდის ფარგლებში უკვე შერჩეული მყავს ორი პატარა პიანისტი, რომლებიც წელიწადზე მეტია, საფრანგეთსა და შვეიცარიაში დაგვყავს, ისინი მართავენ კონცერტებს, მონაწილეობას იღებენ მასტერკლასებში და ა.შ.“

ელისო ბოლქვაძის კიდევ ერთი წარმატებული პროექტია ბათუმის მუსიკალური ფესტივალი, რომელსაც საფუძველი შარშან ჩაეყარა და წელს უკვე მეორედ გაიმართა. ფესტივალში მონაწილეობას იღებენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ცნობილი და ნიჭიერი შემსრულებლები. როგორც ელისო ამბობს, ფესტივალში მონაწილე ყველა მუსიკოსი გამოირჩევა თავისი განუმეორებელი ინდივიდუალურობითა და შესრულების უმაღლესი დონით. წელს ბათუმის ფესტივალი საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასები, Batumi Music Camp-ი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მუსიკოსებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

ელისო ბოლქვაძე განსაკუთრებული აღფრთოვანებით მელაპარაკება ერთ სიახლეზე. ის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაია ფანჯიკიძემ, იუნესკოს კეთილი ნების ელჩის კანდიდატად წარადგინა. ამბობს, რომ ეს მისთვის დიდი პატივია.

ამჟამად ელისო ბოლქვაძე მაღალანაზღაურებად პიანისტად ითვლება და შეუძლია თავს იმის უფლებაც მისცეს, რომ მუდმივად „ჩემოდნებზე არ იჯდეს” და გამუდმებით კონცერტებზე არ ფიქრობდეს: „მე არ ვარ პიანისტი, რომელსაც უყვარს წოწიალი. მე ეს არც მჭირდება. მე მაქვს ძალიან სერიოზული კონტრაქტები და ეს შემოსავალი მყოფნის იმისთვის, რომ უზრუნველად ვიცხოვრო. არ მინდა, რომ გამოვიფიტო, დავიღალო. მე არ ვარ ფანატიკოსი პიანისტი, რომელიც დღედაღამ ზის და უკრავს და უკრავს. მე მინდა სხვა რამეც ვაკეთო, თუნდაც საქველმოქმედო საქმიანობით დავკავდე.

მე მაქვს ძალიან სერიოზული კონტრაქტები და ეს შემოსავალი მყოფნის იმისთვის, რომ უზრუნველად ვიცხოვრო. არ მინდა, რომ გამოვიფიტო, დავიღალო. მე არ ვარ ფანატიკოსი პიანისტი, რომელიც დღედაღამ ზის და უკრავს და უკრავს.

თუმცა საქველმოქმედო საქმიანობის პარალელურად, მას უახლოეს თვეებში რამდენიმე სერიოზული ტურნე ელის. ოქტომბერში მას დაგეგმილი აქვს სოლო-კონცერტი იაპონიაში, რასაც მოჰყვება სოლო-გამოსვლები ლონდონში, იტალიაში, ავსტრალიასა და ჩინეთში.

ცოტა რამ ელისოს პირად ცხოვრებაზე

ელისოს უყვარს კინოში სიარული, უყვარს ფეხით სეირნობა, ოღონდ მარტოს. და საერთოდ – ელისოს მარტოობა უყვარს: „ჩემი ბუნებრივი მდგომარეობაა მარტო ყოფნა. პერიოდულად მჭირდება ხოლმე საკუთარი თავით შევსება... როცა ვიღლები ადამიანებთან ურთიერთობით, მერე ვცდილობ, რომ მარტო დავრჩე“, – ამბობს ელისო და თითებით ყელზე ჩამოკონწიალებულ კულონს ათამაშებს.

- ამ კულონში დევს რამე? – ვეკითხები ელისოს, ის მპასუხობს:

- არა, მაგრამ ალბათ ჩავდებ შიგნით იმ ადამიანის სურათს, ვინც მე ძალიან მიყვარს და ძალიან მენატრება. ის მამაჩემია.

ელისო თავისუფლებაზეა შეყვარებული. ალბათ ამიტომაცაა, რომ პასუხისმგებლობა, რომელსაც პირადი ოჯახი მოითხოვს, ამ დრომდე ვერ აიღო საკუთარ თავზე: „ძალიან მაქვს განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა. ოჯახის შემთხვევაში სხვა პრიორიტეტები გიჩნდება და ვგრძნობ, რომ ამისთვის ჯერ არ ვარ მზად. მეტსაც ვეტყვით, მე არ მეშინია მარტოდ დარჩენის. მე არ მესმის, როგორ შეიძლება ადამიანი დარჩეს მარტო, როცა ის ცოცხალია, როგორ შეიძლება მოიწყინო მარტო ყოფნით, როცა იმდენი რამ არის გასაკეთებელი, იმდენი რამ ხდება შენ გარშემო“... F

გვიპოვეთ ყველგან:

facebook.com/
forbesgeo

twitter.com/
forbesgeorgian

youtube.com/
forbesgeorgian

pinterest.com/
forbesgeorgia

linkedin.com/company/
forbes-georgia

instagram.com/
forbesgeorgia



გვეწვიეთ განახლებულ ვებგვერდზე

www.forbes.ge

ზურმუხტის სანაპიროს ახალი მარგალიტი

ნიკარაგუის პირველი მდიდრული კურორტის – მუკულის გახსნით მეწარმე კარლოს პელასმა კაპიტალი თავისი ქვეყნის მომავალში დააბანდა.

ავტორი: ენ აბელი

„ჩემთვის უდიდესი მოტივაცია მუკულის ასაშენებლად, ინვესტიციების სფეროში დაბრუნება არ ყოფილა, – ამბობს ნიკარაგუელი მეწარმე კარლოს პელასი, რომელიც ქვეყნის პირველი, ჭეშმარიტად მდიდრული ზღვის კურორტის სულისჩამდგმელ ძალას წარმოადგენს – როგორც სულიერს, ისე ფინანსურს. – ჩემთვის მთავარი მოტივაცია მდგომარეობდა საოჯახო მემკვიდრეობის შექმნაში, რომელიც ჩემს ქვეყანას სიღატაკიდან გამოსვლაში დაეხმარებოდა“.

მუკული, რომელიც გასულ წელს ნიკარაგუის ზურმუხტოვან სანაპიროზე გაიხსნა – სერფინგის მოყვარულთა მექა და წყნარი ოკეანის თვალწარმტაცი დაისების სანაპირო – საბოლოოდ პელასის $250-მილიონიანი ოცნებად იქცევა; ეს იქნება დახურული პლაჟის კომუნა, რომელშიც შევა 37 მთავარი კურორტი (სადაც პლაჟის ვილებისა და შედარებით უფრო პატარა, ბორცვზე განლაგებული bohio-ების ფასები 500 დოლარიდან დაიწყება), საცხოვრებელი სახლების უბანი, მდიდრული სპა, დახურული პლაჟის კლუბი, ჩაშენებული დამატენიანებელი მოწყობილობა, David McLay Kidd-ის გოლფის სათამაშო მოედანი და სადეგუსტაციო ოთახი, რომელშიც პელასების ხუთი თაობის საკუთრებისა და ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შეფასების მქონე ლათინურამერიკული რომის გასასინჯადაა განკუთვნილი.

პელასს სურდა, რომ მუკული (მაიას ტომების ენაზე „საიდუმლოს“ ნიშნავს) სანიმუშო ადგილი ყოფილიყო ნიკარაგუის საგანძურში, რომელიც მოიცავს რომს, სიგარებს, ყავას, ბალახით გამოკვებილი ძროხის ხორცს და ხელოვნებას – სახლის მოწყობილობისა და ავეჯის 90%, მთელი კურორტის მასშტაბით, ადგილობრივი მხატვრებისა და ხელოსნების მიერაა შექმნილი. პელასს, ნიკარაგუის ერთ-ერთ უმდიდრეს კაცს, ყველანაირი საფუძველი აქვს იმისათვის, რომ ქვეყნის ლოკომოტივის როლი შეასრულოს. 1985 წელს BAC Credomatic-ის ფინანსური ქსელის შექმნისა (რომელიც, ფაქტობრივად, მთელ ცენტრალურ ამერიკას ემსახურება) და 2010 წელს მისი გაყიდვის შემდეგ (რომელიც ცენტრალური ამერიკის ისტორიაში უმსხვილეს ფინანსურ ოპერაციად ითვლება), ის ხელმძღვანელობს ოჯახურ ბიზნესს, რომელშიც 18 ათასი ადამიანია ჩაბმული ისეთ სექტორებში, როგორიცაა: გადაზიდვები, კომპიუტერები, შაქარი, ეთანოლი, რომი და Vivian Pellas Hospital-ი („ვივიან პელასის საავადმყოფო“), სადაც ყველა სექტორის გაყიდვებით მიღებული მთლიანი თანხა წელიწადში 1,2 მილიარდ დოლარს აღწევს.

სტენფორდში განათლებამიღებული Grupo Pellas-ის („ჯგუფი პელასი“) პრეზიდენტი ამ კონგლომერატს 5 მილიარდი დოლარის აქტივებით მართავს. მაგრამ ნიკარაგუაში მის დიდ გავლენას მხოლოდ მისი კორპორაციული ცხოვრება არ განაპირობებს. ის ასევე INCAE-ის დირექტორთა საბჭოს პრეზიდენტია. INCAE-ი დაფუძნდა ჰარვარდის უნივერსიტეტში და მას América Economía-ს მიერ ლათინური ამერიკის საუკეთესო ბიზნესსკოლის რეიტინგი მიენიჭა. ის ასევე მსახურობს არასამთავრობო ფონდის American Nicaraguan Foundation-ის („ამერიკა-ნიკარაგუის ფონდი“) დირექტორთა საბჭოში, რომელიც ხელს უწყობს ნიკარაგუის მოსახლეობის უღატაკეს ჯგუფებს და მონაწილეობას იღებს დღეში 100 000 კაცის დაპურებაში. ის ასევე საკუთარ მეუღლესთან, ვივიანთან ერთად Nicaraguan Burned Children Care Foundation-ის („დამწვრობების მქონე ნიკარაგუელ ბავშვებზე ზრუნვის ფონდი“) თანადამფუძნებელია. ეს ფონდი 1991 წელს დაარსდა, მას შემდეგ, რაც მან და მისმა მეუღლემ ძლიერი დამწვრობები მიიღეს მცირე ზომის თვითმფრინავით ფრენისას ავიაკატასტროფაში მოყოლის შედეგად. დაარსების დღიდან ფონდი 128 000 ბავშვს დაეხმარა.

პელასს მიაჩნია, რომ ის 130 მილიონი დოლარი, რომელიც მან აქამდე კურორტ მუკულის მშენებლობაში დააბანდა (გოლფის სათამაშო მოედნები და ბინების მშენებლობა), ნიკარაგუელების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ემსახურება. „ჩვენ მუკულსა და გუაკალიტოს განვიხილავთ – ტერიტორიას, სადაც კურორტები შენდება – როგორც გრძელვადიან პროექტს: მის განაშენიანებას 10-15 წელი დასჭირდება. ჩვენ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი“.

ჯერჯერობით კი ის ამაყობს ერთი ნაწილის განაშენიანების დასრულებით. ამჟამად მომსახურე პერსონალი, ისევე როგორც 1500 მუშა, რომლებმაც სამი წელი იმუშავეს კურორტის მშენებლობაზე, ახლომდებარე დასახლებებიდან არიან. „როდესაც დავიწყეთ, რეალური დასაქმება ამ არეალში პრაქტიკულად არ არსებობდა. ხალხის უმეტესობას არაოფიციალური სამსახურები ჰქონდა“, – იხსენებს ის. ამიტომ მან, იქვე ახლოს მდებარე სოფელში, სასტუმროს საქმის სკოლა გახსნა. – ყოველდღიური სწავლება კვლავ ტარდება. ჩვენ ვეხმარებით ადგილობრივ სკოლებს, გავაშენეთ პარკები და გავხსენით საავადმყოფო. ამასთანავე, მცირე

ნიკარაგუის წყლები: მუკულის 23 bohio-დან თითოეულს აქვს ხედი ოკეანეზე და თავისი საკუთარი მცირე ზომის ღრმა აუზი.

სესხებს ვთავაზობთ ადგილობრივ კომპანიებს". ცენტრიდან 4 მილის დაშორებით აეროპორტიც შენდება, რომელიც მომავალი წლიდან კერძო თვითმფრინავების მიღებას შეძლებს, ასევე დაინიშნება სეზონური ფრენები მანაგუიდან, ლიბერიიდან და კოსტა-რიკიდან, რაც მეტ დამსვენებელს მოიზიდავს. (ახლა კურორტი მანქანით ორი საათის სავალზეა მანაგუიდან, თუმცა, ასევე შესაძლებელია ვერტმფრენით ტრანსფერების ორგანიზება).

„მუკული და გუაკალიტო მდგრადობის ჭეშმარიტი მაგალითებია, – აღნიშნავს პელასი, – რადგან ადგილობრივი დასახლებების განვითარება დიდწილად განსაზღვრავს კურორტის ზრდასა და წარმატებას".

ის ფაქტი, რომ გამოცდილება, რასაც ამერიკელი სტუმრების უმრავლესობა მუკულში დასვენებისას იღებს, საქველმოქმედო პროექტის შთაბეჭდილებას ტოვებს, არანაირ ცუდ გავლენას არ ახდენს ტურისტებზე. ეს კურორტი თავისი არქიტექტურითა და მომსახურებით მეტოქეობას უწევს მექსიკისა და კოსტა-რიკის საუკეთესო კურორტებს. Cocina NiKul-ის („ნიკულის სამზარეულო") ვრცელი მენიუები, რომლებიც ადგილობრივი ინგრედიენტების ერთობლიობას წარმოადგენს, ლათინური და ხმელთაშუაზღვისპირეთის სამზარეულოების აქცენტებს ატარებს და ძალიან გემრიელი კერძებით გამოირჩევა. კურორტის გასართობები მოიცავს როგორც სერფინგის კერძო გაკვეთილებსა და ადგილობრივ რეინჯერებთან ერთად საფეხმავლო ტურების ჩატარებას, ასევე სათევზაო ჩარტერებსა და ერთდღიან ვერტმფრენის ტურებს გრანადაში, სერო-ნეგროს ვულკანზე და Flor de Caña-ს არყის სახდელ ქარხანაში.

ამ კურორტზე შედარებით მცირე ზომის საცხოვრებელი ფართებიც გვხვდება – ფერდობებზე მდებარე „bohio"-ები – 600 კვადრატულ ფუტზე მეტი ფართობით, რომლებიც „ხეზე-სახლების" შთაბეჭდილებას ტოვებენ; მათი უზარმაზარი ფანჯრებიდან თვალწარმტაცი ზღვის ხედები იშლება. შთაბეჭდილებას ახდენს ისეთი მცირე დეტალები, როგორიცაა კედელში ჩაშენებული ყინულის გასაკეთებელი აპარატები (ასე რომ სტუმრებს სასტუმროს მომსახურე პერსონალის გამოძახება არ მოუწევთ მათ მენიუში დამატებით შემავალი Flor de Cana-ს რომის ყინულით გასაგრილებლად). შედარებით მოზრდილი, ერთ- და ორსაძინებლიანი პლაჟის ვილები, თავიანთი მასშტაბებით საცხოვრებელი სახლის კატეგორიას მიეკუთვნებიან. მათ საკუთარი აუზები, ბაღები და ეზოს საშხაპეები აქვთ. ხოლო ექვსსაძინებლიანი, 20 000 კვადრატული ფუტის ფართობზე გაშენებული Casona Don Carlos-ი – სადაც პელასის ოჯახი ჩერდება, როდესაც აქ იმყოფება და რაც საკმაოდ ხშირად ხდება – ნამდვილად მდიდრულად გამოიყურება. მას აგვირგვინებს 80 ფუტის სიმაღლის palapa-ს ჭერი და მისი შიდა და გარე დიზაინის დიდი სივრცე.

კურორტზე ყოფნისას პელასი საკუთარი ვილის კედლებში არ იმალება, არამედ სტუმრებთან შეხვედრას და მათთან ერთად ნიკარაგუის საგანძურის გაზიარებას ამჯობინებს. „ამ ჯადოსნური საპლაჟო კურორტის შექმნა ნაკარნახევია ჩემი სურვილით, რომ დავტოვო მემკვიდრეობა, რომელიც ხელს შეუწყობს ნიკარაგუის გარდაქმნას ტურისტულ ქვეყნად, რითაც ჩვენი შვილები და ჩვენი შვილების შვილები იამაყებენ, – აცხადებს ის. – ამ ავთენტური და საპასუხისმგებლო ტურისტული განვითარების მეშვეობით ჩვენ პირველ ნაბიჯს ვდგამთ ქვეყნის გარდასაქმნელად, რომელმაც ამდენი მისცა ჩვენს ოჯახს ბოლო 140 წლის განმავლობაში". F

კინოს შესახებ

როდესაც ადამიანები მეკითხებიან, დავდიოდი თუ არა კინოსკოლაში, მე ვპასუხობ: „არა, კინოთეატრში დავდიოდი“.

– კვენტინ ტარანტინო

ფილმის გადასაღებად არაფერი არ გჭირდება, გარდა ქალისა და იარაღისა.

– ჟან-ლუკ გოდარი

Happy End-ი, რაღა თქმა უნდა, დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის შეწყვეტ ამბავს.

– ორსონ უელსი

სინამდვილეში ამერიკას კინოწარმოება მართავს მას შემდეგ, რაც იგი გამოიგონეს. კინო გვაჩვენებს, რა გავაკეთოთ, როგორ გავაკეთოთ, როდის გავაკეთოთ, რა ვიგრძნოთ და როგორ შევხედოთ იმას, რასაც ვგრძნობთ.

– ენდი უორჰოლი

კინომ უნდა დაგავიწყოს, რომ თეატრში ზიხარ.

– რომან პოლანსკი

არასოდეს განსაჯო წიგნი მისი სახელობის ფილმის მიხედვით.

– ჯეი-დაბლიუ იგანი

ჭადრაკს აქვს კავშირი კინოწარმოებასთან. იგი გეხმარება მოთმინებისა და დისციპლინის გამომუშავებაში ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთებისთვის – იმ დროს, როცა იმპულსური გადაწყვეტილება ძალიან მიმზიდველად გეჩვენება.

– სტენლი კუბრიკი